3. მსგავსი სახელწოდებით („საეკლესიო ისტორია“) აღწერილია გაიოზისავე ნათარგმნი ხელნაწერი A—1117 (შდრ. „აღწერილობა“ A IV, გვ. 121). ეს ორი ხელნაწერი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან: A 1117-ში დანაყოფები განაწილებულია საუკუნეების მიხედვით: I—VIII (იხ. „აღწერილობა“, შენ. 2), S—1184-ში კი წიგნების მიხედვით. უჳანასკნელი ხელნაწერი ბევრად უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო პირველზე. თბრობაც მასში უფრო დეტალურია.

ანდერძი (მთარგმნელისა): 1. დასასრული პირველისა ტომისა. სრულ ვჰყავ წელსა 1790, ნოემბერსა 23 ბენდერს. გაიოს. დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა. ყოველთასა, ამინ.“ (გვ. 218).

2. „დასასრული მეხუთისა წიგნისა. დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოველთასა. სრულ ვჰყავ წელსა 1790 სექტემბერსა 20, ბენდერს. გაიოს.“ (გვ. 110).

3. „ვიწყე წელსა 1790, სექტემბერსა 5. გაიოს. ბენდერს“ (გვ. 1).

(569)

1185 ა

### ათანასე ალექსანდრიელის. სიმბოლოსათვის. XVIII

21 ფ.; 21,5×17; ქალაღი, აკინძულია ამავე ნომრის ბ და გ ხელნაწერებთან ერთად ყავისფერ ლედერინგადაკრულ ყდაში; ბოლონაკლული (დაუმთავრებელი); მხედრული; [XVIII]; დაუწერელია 4v.

[ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოსათვის“] „სიმეოლო წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ათანასე ალექსანდრიელი პატრიარქისა. სიმეოლო რომ თქვა, ბერძული ენაა, ქართულად ითარგმანება ვითამც მრწამსო ეს სარწმუნოება ათანასე ალექსანდრე(!) პატრიარქის თქმულიაო წმიდათაგანისო. უნდა ვიცოდეთ, რომ აღმოსავლეთში ოთხი საპატრიარქო ადგილია...“ 1r—4r.

მთავრდება: „...თუ ახლა იქმნება კაცთა შორის სათნოება, ვაუა კაცთა ღმერთთან, მაგრამ ქრისტეს მოსვლამდისი არ გაუიღოდა...“

1185 ბ

### სამღვდელთმთავრო კონდაკი (ფრაგმენტი) XVIII

12 ფ.; 22×17; ქალაღი; აკინძულია ამავე ნომრის ა და გ ხელნაწერებთან ერთად ყავისფერ ლედერინგადაკრულ ყდაში; თაენაკლული; მხედრული, ტექსტის ზოგიერთი ნაწილი სინგურით; [XVIII]; დაუწერელია 12v.

[კონდაკი] „... განაგდებენ და არცა აღიარებენ და ერთარსებასა უარჰყოფენ და სამსა გვამოვნებასა განყოფენ და სამსა პირსა ერთად შეაერთებენ...“ 1r—12r.

შენიშვნა: 1. ფრაგმენტში აღწერილია მწვალებელთა და მაჰმადიანთა მიერ კეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღიარების წესი.

2. ფრაგმენტი დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც 1185გ.

1185 გ.

### ზიარებისათვის—ხეფისკვერისა და ღვინის შემზადების შესახებ (ფრაგმენტი). XVIII

3 ფ.; 22×17; აკინძულია ამავე ნომრის ა და ბ ხელნაწერებთან ერთად ყავისფერ ლედერინგადაკრულ ყდაში; თაე-ბოლონაკლული (დაუმთავრებელი); [XVIII]; დაუწერელია 3rv.

„... და შეორგულებასა შინა ერთა შეიყვანო. და ცხადსა ბრძვილსა დავოწყებისასა ჰყოფს ამისა მიმართ სანთელნი მწველნი...“ 1r—2v.

წყდება: „...კუალად შევსწირავთ შენდა, უფალო, რომელმან ყოვლად წმიდა სული შენი ფსალმუნებითურთ კრავსა ზედა რა იტყოდეს შესრულებასა შინა განწმედისა და ყავ უკუე პური ესე პატიოსანი ჯორც ქრისტეს...“

შენიშვნა: დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც 1185-ბ.

(564)

1186

## ფენი. XVIII

134 ფ.; (268 გვ.); 32×20,5; მოცისფრო ქალაღი, რესტავრირებული, აკინძული; თავ-ნაკლული, აკლია შიგადაშიგაც; მხედრული, სათაურები სინგურით; კვირნიშანი [17]88 წ (გვ. 13, 17); დაუწერელია გვ. 38, 260.

[თ თ უ ე ნ ი] „... [შეკრ]ულნი მოციქულნი [ლღესა] მეუფისა ყმასა(!) შორის თუსსა [განმკუ]თნტლნი შუტნიერთა მათ ფერკთა დაიბანღეს. მახარებელთა მშუდობისათა...“ გვ.1—259.

შენიშვნა: 1. „თთუენი“ მისღვეს ანტონი I რედაქციას (შღრ. S — 1464) ოღონდ ალაგ-ალავ შიგ საკითხავები უღრო ვრცღაღა მოცემული.

2. ერთვის: „ღის მშობღისა აღღგომისა რუტა ჳმათა ზეღა“ (ბოღონაკლული, გვ. 261—268.)

3. „თთუენი“ შეიცავს მასღას 13 მაისიღან წღის ბოღომღე, ე. ი. 31 აგვისტომღე.

(565)

1187

## ანტონ I. გრამატიკა. 1801

106 ფ.; 34×22; მოყვითაღო და ცისფერი ქალღღი; ტყავგაღკარული ტვიფრული ხის ყღა, ყღას აქვს საცავი ფურტღები; მხედრული, სათაურები მთავრულით; დაშლიღი (ნაწიღობრივე); გაღამწერი—ღიმიტრი აღექსის ძე (გვ. 209, 64); 1801 (გვ. 209, 210); ქალღღს აქვს კვირნიშანი თარიღით 1796 (თეთრი ქალღღი, გვ. 50; 52), 1799 (ცისფერი ქალღღი, გვ. 146 და 139, 181 და 168); დაუწერელია გვ. 4, 7, 8, 86, 152, 210, 211.

[ანტონ I] „თ ჳს კეღოვნებღსა ღრამმატიკოსობღსა. ნაწიღი პირუღელი, რომეღსა შინა მარტივად მღღებარე არიან თითოეულნი ნაწიღნი სიტყუათანი მავალითებთურთ, რომეღნიცა ჳეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაღსა მოწაღე-ქმნიღთა. თავი პირვეღი: ბრუნუთათღს სახეღთასა. § 1. რიცხუღა შორის ჩუენ მიერ განსჯიღთა შემოყუანიღნი ბრუნვანი სახეღთანი არიან რუტა მარტივისა ანუ ჳრთუღისანი...“ გვ. 9—209.

შენიშვნა: 1. ტექსტი ანტონის გრამატიკის მეორე რედაქციისა.

2. ტექსტს მიუძღვის „შეყუანიღება. წიგნისა ღრამმატიკაღსა“ (გვ. 1—2) და „პინაქსი ღრამატიკისა“ (გვ. 2—6).

3. მეორე რედაქციის ტექსტი გამოქვეყნებულია: ქართული ღრამმატიკა, შეღღენიღი ანტონ I-ის მიერ. თბიღისი, 1885.

ანღღერძი (გაღამწერისა): „სრულ იქმნა ძალითა ღმრთისათა კეღითა ექტის რვეულედ წერიტ და სრულიად გამართვის სკოღის ღრამმატიკის ტრიფიღე ხოფღის წინამღღურის გარღაწერიღს ღრამმატიკასა ჳეღა აღექსისძღის დიმიტრისათა, რომეღიცა ჳემორე რუტულნი უწურთეღის მწერიღისაგან ყყო ნაწერი და ფრიად შრომაღ მომეცა კანონზედ გამართუტ, რომეღნი ისწავებღდეთ კეთიღსა ამას საღრამმატიკოსა კეღოვნებასა შრომიღსა ამას შინა, გუტღრიტ, რაღთა სიმკაცრით იზმარნეთ, მით რომეღ ღრამმატიკისა მწერაღი არა მრავალ არნ და არცა აღღელ საწერი. მაისის ვ. კქს უპოტ“ (გვ. 209).

შინაწერებღ: (გაღამწერისა) I. „გამართულია წღღსა ჩუ, თუეღსა მაისისა კა“ (გვ. 210).

II. „საღაც ჳმნის სქესები თავს ღრღებთურთ მკვღრით იყოს ნაწერი: ყოვეღთვის, საღაც დაგბუღღესტ, სულ ნოტრის კაღმით იუწყეთ. თავს წყაღი ვერა გაეღინება, გამოუტღღელისაგან არის ნაწერი და მეტათ გარყუნიღი არის. რაც შე-

მიძლიან, ვმართამ კანონზედ. უღირსი დ ი მ ი ტ რ ი. მხოლოდითიცი და მრავლო-ბითიცი ნოტრით“ (გვ. 64).

III. „უღირსი დ ი მ ი ტ რ ი ს ი ა ვ ა რ“ (ქვედა ყდის შიგნით მხარეს).

IV; „ლოცუჲა გაკუთისა ყრმათათჳს სხოლათა შინა.

1. მიუწოთმელო ბრწყინებულბაო, ნათლისაგან ზესთ ღმერთმთავრობითისა თვთებისა, მხოლოდსა მამისაგან გაბოსრულო, ხოლო გარდამოსრულო სიონ ტეცხლისა ენებას. სახედ ქადაგთა შენთა მოციქულთა ყოვლისა სოფლისათა, სულო ყოვლად წმიდაო ღმერთ მთავარო, მოვედ ყრმათა შენთა ზედა და მოგუეც ნიქთა შენთა ყოვლადთა მდიდართაგან მადლი სიბრძნისა და გულისხმისყოფისა და წინა მდებარისა ამის სწავლისა ზედმიწევნილებისა, მხოვებითა ყოვლად წმიდისა ღმრთობლისათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, ამინ.

2. შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, ანგელოსთა კრებული და კაცთა ნათესავი. ტაძარო სიწმიდისაო, სამოთხეო სიტყვერო, ქალწულები-სა სიქადულო, რომლისაგან სიტყუა განწოციეღდა და ყრმა იშუა პირველ საუკუნეთა ღმერთი ჩუენი, რომელმენ საშო შენი საყდრად გამოაჩინა და მუცელი შენი ცათა უგრცელეს ჰყო. შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, დიდება შენდა.

3. ღმრთის მშობელო ქალწულო, გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, [უფალო] შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გჳშეც სულთა ჩუენთა“ (გვ. 212).

V. ზემოყდის საცავ ფურცელზე სულ ხან-საბა ორბელ ი ა ნ ი ს ლექსიკონი-დანა მოწერილია ცალკეულ სიტყვათა განმარტებები (ასამდე განმარტება).

VI. (სხვა ხელით). „ქ. ვიწყევით ღრამატიკა იენის ათს [...] დიკონმა ვალერიან ე მ დ ა თ ა ნ ა მოწაფემ ჩემმა დ ი მ ი ტ რ ი მ. ქკს უპო. მეორე ნაწილი ვიწყევით აგსტოს კე,ქს უპო“ (ხემოყდის შიგნით).

(566)

1188

### მოხე ხონელი. ამირან-დარეჯანიანი. XVIII—XIX

110 ფ; 33,5×22,5; უყდო, თავ-ბოლონაკლული; ამოცენალია ფფ. 7,32, 39, 104—110; მონაცრისფრო-მოცისფრო ქალაღი; ხელნაწერს აქვს გვერდობრივი და რვეულობრივი სათვალავი ტექსტის ხელით; მხედრული, კარების სათაურები სინგურით; ქალაღს აქვს ჰვირნიშანი, თარიღია 1798 (ფფ. 22,24, 102); [XVIII—XIX]; გადამწერი—[დავით] (59r); დაუწერელია 5v, 6r.

[მოხე ხონელი, ამირან-დარეჯანიანი]. <კარი პირველი; აბესალომ ჰინდოთა მეფის ჰამბავი> „...არცხენასა მგარ იგი სამნი ჰაბუენი ეწერნეს. გამოვიდეს სახლისაგან, მინდორსა შიგან ძვალი იღვა კაცისა...“ (ს. კაკაბაძის 1939 წ. გამ. მიხედვით, გვ. 4,19) 1r—110v.

წყდება: „... ეგრეთვე ბალხამ ყამისძე წავიდა ვერ ჯობნისათვის და-ღრეჯილი. მეორესა დღესა კვლავ კაცი გამოეგზავნა: ხვალე ომი არის შენი და ჩემიო და თუ კარგი ჰაბუენი ხარ...“ (გამ. მიხედვით, გვ. 175,7 ქვ.).

შენიშვნა: ს. კაკაბაძის მიერ აღნუსხული რედაქციული სხვაობების მიხედვით (იხ. მისი გამ., გვ. XII—XV), ხელნაწერის ტექსტი ეკუთვნის პირველ რედაქციას. მინაწერები: (ტექსტის ხელით) 1. (ტექსტში მოხსენებული „აჯაბთა“ სიტყვის გასწვრივ): „აჯაფთა(!) სხვათა ენა არს, ესე იგი საუცხოოთა! დავით“ (59r).

2. „შეცთომით არის გაშვებული ეს გვერდი, თვარა არა აკლია, რა“ (5v, 6r).



(567)

1189

## გრიგოლ ღვთისმეტყველი. კრებული. XIX

20 ფ.; 34,5×22; ცისფერი ქაღალდი, ლედერინის ახალი ყდა; მელნით დალაქ-  
ვებული. ბოლონაკლული. მხედრული. სათურები სინგურით; ჭვირნიშანი [18]11  
(ფ.10).[XIX]. 1rv, 2rv. 20rv დაუწერელია.

1. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგორი ღვთისმეტყვე-  
ლისა სიტყუათა მიმართ და ივლიანესგან განმასწორებელისა თანა-მოსწავ-  
ლე მისი ყოფილისა, წინა დღესა ქრისტეს შობისსა აღწერისათჳს.—რამ არს  
მძლავრება, რომელითა სიყუარულისაგან მარადის ვიმძლავრებით, რამ ჩემი  
სიბრძნე და ჳელოვნება...“ 4r—7r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები,  
V, გვ. 36).

2. „თთჳსა ღეკემბერსა კე. წმიდათაგანისა მამისა ჩნისა გრიგორი  
ღვთისმეტყუელისა სიტყუა შობისათჳს მაცხოვრისა.—ქრისტე იშჳშბის,  
ადიდებდით: ქრისტე ზეცით მიეგვებოდეთ(!)...“ 7v—11v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე  
ეტიუდები, V გვ. 31).

3. „თთჳსა იანუარსა ა. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგორი  
ღვთისმეტყუელისა სიტყუა ეპიტაქიად დიდისა ბასილისათჳს.—ეგულე-  
ბოდა სადამე მარადის მრავალ მიზეზთა სიტყუათასა წინა დამდებელსა ჩნდა  
დიდსა ბასილის...“ 12r—19v.

მთავრდება: „... და დავით თჳსითცა განჳყო ჰრჩეულად და სიბრძ-  
ნის მოყუარებით. სულისა გულის სიტყუთა. სხუა ყოფად ჟამსა სულმოკლე-  
ბისა“.

შენიშვნა: 1. თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები,  
V, გვ. 36).

2. კრებულს წინ უძღვის „პინაქსი“ (3r-v).

3. „პინაქსი“ დასახლებულია 43 სხვადასხვა ნაწარმოებში, რომელიც გადამწერს  
ალბათ უნდოდა კრებულში შეეტანა, მათგან გადაუწერია მხოლოდ სამი. ხელნაწე-  
რის აკინძვამდე უკანასკნელ ნაწერ ფურცელს მოსდევდა სამი დაუწერელი ფურცელი  
(აკინძვის დროს 2 ამოიჭრა). ეს გვევარაუდებინებს, რომ კრებული დამთავრებული  
არაა.

(568)

1191

## კანონიკური კრებული. 1808

239 ფ.; 16,5×10,5; ცისფერი ქაღალდი; ტვიფრული ტყავადაკრული ხის ყდა;  
ფფ. 61—63 ამოცვენილია; მხედრული, სათურები სინგურით; ჭვირნიშანი—1806 წ.  
(ფ. 8 და 9, 28), 1808. (204v); გადამწერი—იეროდიაკონი გრიგორი (204v); მომგე-  
ბელი—იეროდიაკონი იოსტოს (204v); გადაწერის ადგილი—მრავალმთის მონასტე-  
რი დავით გარეჯაში (204v); დაუწერელია: 1—4, 206—210, 238v—239v.

1. „წესი და განგებაჲ და სჯულის კანონი მეექვსისა  
კრებისა ას სამეოცდა რვათა წმიდათა მამათა, რომელნი

შეკრბეს კოსტანტინოპოლის ახალსა რომსა... ამან წმინდამან. მეექვსემან კრებამან...“ 5r—129v (100 თავად).

2. „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მარხველი ეწოდებოდა.—უწყებულ იყავნ, ვითარმედ...“ 129v—156v.

შენიშვნა: ეს ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. Н. А. Заозерский и А. С. Хаханов. Номоканон Иоанна Постника. М. 1902 г. стр. 2—92.

3. „კანონნი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მარხველისა მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა(!).—უკუეთუ ვისმე შეემთხვიენნ ბუნებითნი ცოდვანი...“ 157r—190r.

4. „კანონნი დღითი-დღეთა ცოდვათანი, ვითარცა წმინდამან მამამან ჩვენმან ვასილი განაწესა.—პირველი მძსვლად გულის სიტყვისა, რომელ მოუჭდეს“ 190v—195v.

5. <მონასტერსა შინა წესიერებისათჳს>.—„მონასტერსა შინა ყოველნივეცა წესიერად არიან. მონაზონმან, რომელმან ჰფიცის სახელი ღთისა...“ 195v—199v.

შენიშვნა: ერთვის „ხანდუკი წიგნისა ამის“ (200v—204r).

6. „თქმული იოანე კლემაკისისა.—წყარონი ცრემლთანი უდიდესნათლისღებისა არიან...“ 205r—v.

მთავრდება: „...და ნუ დასცხრები მისგან, ვიდრემდის აღგამაღლოს ყოველთაგან სოფლისა საქმეთა და განწმედილი ქრისტესა წარგადგინოს.“

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ამონაწერს იოანე სინელის „ალემაკისის“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანიდან. შდრ. А—285 (79v—80r).

7. „ქეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობითი.—მრწამს ერთი ღმერთი, მამა უშობელი და ძე...“ 211r—218r.

8. „ათნი მცნებანი, რომელნი მიეცნეს ღმრთის მხილველს მოსეს, თითითა ღთისათა წერილნი, რომელნი თანა-გვაცს ყოველთა ქრისტეანეთა დამარხვად.—ძე ვარ, უფალო ღმერთო, შენი...“ 218r—219v.

9. „წიგნი აღსაარებისა.—მოძღვარმან მოწაფე ეკლესიად მოიყვანოს, ანუ სენაკად, და სთქვას: „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი...“ 219v—237v.

ანდერძები 1. (მთარგმნელისა): „რომელნიცა ამას სჯულის კანონსა იკითხავდეთ, ლოცვასა მომიკსენეთ გლახაკი ევთიმი, რომელმან ვსთარგმნე ესე ბერძელისაგან ქართულად, ამინ.“ 200r.

2 (გადამწერისა): „აღიწერა წიგნი ესე ჰსჯულის კანონი მონასტერსა მრავალმთისა დავით გარესჯას მორჩილებითა იეროდიაკონის იოსტოსისათა ჩემ უღირსისა მიერ იეროდიაკონის გრიგორისითა. სრულ იქმნა სეკდებრისთ, წელსა ჩჳმ. მხილველთაგან ცთომის შენდობას მოქენე“ (204 v).

მინაწერები: 1. „არხიმანდრიტს ნიკიფორეს მიერთოს ესე აღსარების სათქმელი წიგნი იეროდიაკონისა გრიგორის მიერ სახსოვრად ჩემდა“ (238r).

2. „ნოდარო(!) არხიმანდრიტის ნიკიფორესი არს ესე“ (237v).

[XIX]; ჰეირინიშანი 1828 წ. (229, 262, 283); ავტოგრაფი; დაუწერელია 5v, 69v, 283v, 284rv.

<პეტრე ლარაძე. დილარიანი.> „თავი პირველი. წიგნი პირველი ჰამბისა ამის, რომელსა უწოდებენ მსმენელთა საამოსა ამას მოთხრობასა დილარიანად. შაირი:

ჰგებდა აბაშეთს დილარ მძღე, ჯელმწიფე გვრგვინოსანი,  
ღთისა მიერის. დიდებით სკიპტროსან-პორფიროსანი“... 6r—282v

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ მიუძღვის „პირველი შესავალი წიგნისა დილარიანისა, რომელნი არიან შაირად და ყარიბულად ლექს ტკბილად“ (2r-5v).

2. ერთვის ავტორის [ბოლოსიტყვაობა] შაირი:

„ვიყავ რა მწირად პეტრე ბურღს, სვისაჯან განმწარებულნი,  
სამწუხაროსა ჰაზრთაგან შეშთობილ-დაკვეთებული,  
ბოროტი ვინმე შეიქმნა ჩემზედ ბრძალგამებებული,  
პირსა ვხადოდი უფალსა, მარად ცრემლ მოზირებული.  
უქმობის დანხნად ქელს ვიპყარ კალამი სევდის ნალაში,  
სადა ეჭსჯდი, იყო ადგილი, თვალთა ცრემლითა ვალამი,  
დილარის ამბის გამოთქმად აღვაბი თეთრი ალამი,  
ჰაზრისა მოსაგონებლად გონებას მივე სალამი.  
შევაწყვე, შევანაწყვერე, დავსწორე. ვიპყარ შავადა,  
მეწადა თეთრად შემემკო, მკითხველთ არ საზრახავადა,  
ეცნა მეფის ძეს იონეს(!), მობრძანდა სანახავადა,  
იგ მან მიმტაცა, უფრორე შემექმნა სახრუნავადა.  
ესეცა მესმა, მას თჳსი სახელი შთაუწერია.  
ესწუხვარ სამისოდ, სიცრუე რა მისი შესაფერია.  
ამას ვინა იქმს, მიბრძანეთ, თუ არ გონება შტერია,  
ცუდ დიდებობა არ უწყის, რომე სულისა მტერია.  
აწ ესე დილარიანი შემზადე ტურფა გვარადა,  
სხვადასხვა გვარის ლექსების შერთვა არ დამეზარა და  
მხილველთ საამოდ, საშეგოდ, და გულთა გასასარადა,  
ვინცა ისმინოს, უცილოდ შეექმნას შესაყვარადა.  
გიორგის მეფის ძემან, იონემ მან სახელით,  
პირველ-შრომილი არ სრული მტაცა, მყო გონებით ჯელით,  
ცუდად იქადის, ამაოდ მალლისა ჯმისა მძაქელით,  
ამად მას არლა მრეხედე, არცალა ჯელნი ვაჯილით.  
ესე სხვა ახლად შევამკვე, ვით მჩილი ყვავილიანი,  
იგ ამას არ ჰგავს, ვით ვარდსა გოგშო თავ-სხვილ ჯელიანი,  
ესე არს დიდად ნალუაწი, ჩემგან ჯმნილ დილარიანი,  
ჯელმწიფებითა მაღალი, ლომგული, მკლავ მყარიანი“ [282v—283r].

ანდერძი (ავტორისა): „ჩემგან ახლად შემზადებულსა წიგნსა დილარიანსა ზედა მრავალი ლეწლი და შრომა მივიღე, ჰამბისა მოგონებასა და შეწყობასა ზედა, მხილველნი, გთხოვთ კურთხევით მომიხსენიებდეთ: პეტრე ყარიბი ლარაძე, სრულ იქმნა დიდება მას სამწმიდა არსებით მეორეთა ნათელთაგან დიდებულსა, ბამასა და ძესა და წმინდასა სულსა, ერთსა ღმერთსა აწ და უქუნისამდე, ამინ“ (283r).

შინაწერი: „წიგნი ესე დილარიანი გამოგზავნილი ჩემდა თბილისით თავადისა გიორგი ივანატის-ძისა თუმანოვის მიერ, ჯელითა ძისა თჳსისა ალექსანდრესითა, მივიღე ჩულგ-სა წელსა სექტემბერსა გ-სა რიცხვსა შინა მოსკოვის. და შევამოსინე თოვსა ამასე ლა-სა რიცხვსა გ. ავალოვ მან“ (1r).

(570)

1195

## მარმონტელი. ველიაზარ. XIX

115 ფ; 22,5×18; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული თავების აღნიშვნა და აბზაცების საწყისი სიტყვები სინგურით; თარგმნილი არხიმანდრიტ გაიოზის მიერ კრემენჩუკს (1r, 114r). [XIX]; კვირნიშანი 1828 წ. (ფ. 105, 98, 78); დაუწერელია: 114v, 115rv.

<მარმონტელი, ველიაზარ.> „თავი ა. მოუძღვრებული განგრძელებულითა მძრტსლობითა ჰრომის იმპერია (საგელმწიფო) დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულობისათა დაუახლოვდა უკუტ სრულსა შემუსრუასა...“ 2r—114v-

შენიშვნა: წინ უძღვის თავფურცელი: „ველიაზარ. ქმნილი უფლისა მარმანტელისგან, რომელიცა იყო წვერი ფრანცუზისა აკადემიისა, თარგმნილი რუსულად მისის იმპერატორების დიდებულების ეკატერინა მეორისა იმპერატრიცასი და თუმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა ვოლგასა ზედა. ხოლო რუსულით ქართულსა ზედა ვიწყე თარგმნად არხიმანდრიტმან გაიოლს-წყლსა ქრისტესით 1787, თვდომბრის 14, კრემენჩუკს“ (1r).

ანდერძი: (მთარგმნელისა) „სრულ ვჰყავ წელსა 1787, თჳშსა დეკენბერსა, რიცხუსა 14, კრემენჩუკს გაიოსმან.“ (114r)

მინაწერი, „წ. კოსტა დვალისა“ (114r).

(571)

1197

## ოთხთავი. XV—XVI

III ფ.+438 გვ; 9×6; ეტრათი; ძველი ქსოვილგადაკრული ხის ზემო ყდა, გატეხილი, ჰიანაჰამი, შემორჩენილი აქვს ცალი შესაკრავი: ბოლონაკლული, ალაგ-ალაგ გაყვითლებული; ამოცვენილია გვ. 423—424, 437—438; ნუსხური, გაცხოველებული, სათაურები მრგვლოვანით, სინგურით. ნაწერი 2 სვეტად, თითოში 21—23 სტრიქონია; დასურათებულია მინიატურებით (მაზარებელთა გამოსახულებანი გვ. 27, 146. 222, 340); ამათგან პირველი და მესამე ძალზეა გაფუჭებული, საღებავი გადასულია, ასე რომ მხოლოდ მინიატურის ფერადი კონტურებიღა ჩანს; [XV—XVI]; დაუწერელია ფფ. I—III, გვ. 18—20, 26—28.

„სახარებაჲ მათესი, თავი ა. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისა. აბრაჰამ შვა ისაკ.“ გვ.29—429.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს გააჩნია რვეულებრივი აღრიცხვა.

2. ტექსტის დასაწყისში მოთავსებულია: ა) ობისტალე ევსებისი კარპიანეს მიმართ.—ევსები კარპიანეს, საყუარელსა ძმასა ქრისტეს მიერ, გიკითხავ“ (გვ. 1—3); ბ) წითელი და ყავისფერი მელნით დახატული ულაზათოდ შესრულებული კამარები კანონებით (გვ. 4—17); გ) მათეს საზარების თავების საძიებელი (გვ. 21—25).

3. ოთხთავის ტექსტს ბოლოში ერთვის საკითხავთა საძიებელი, რომელიც ბოლონაკლულია (გვ. 429—438).

მინაწერი (გვ. 340): გადაშლილია, იკითხება მხოლოდ „ბერუას“(?).

(572)

1203

## სხვადასხვა ლექსთა კრებული. 1826

34 ფ; 22×18; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ჭუჭყიანი, გაყვითლებული. ალაგ-ალაგ დალაქავებული; ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით. 1826 (27r) გადამწერი—ევსტათი (27r).

1. „გაბაშვილის იოსების ნათქომი მოძღვრის ზაქარიას ძისა ანბანთქება ელისაბედ ბატონიშვილზედ მეფის თეიმურაზის მეორისა ასულზედ.—

აღკაზმე არე, ასპიროზ, ამარტა ასად აგეა...“ 1r-v.

2. „გაბაშვილის ზაქარიას მოძღვრისაგან თქმული თორმეტს ეტლზედ, რომელ არიან ზოდიაქონი ბურჯნი, ლექსად თქმული ოთხ ტაეპოვანი.—

ვერძი მარტსა ოცდახუთსა მიითვალავს მზისა სპერსა...“ 2r.

3. ლექსი [„მამაო ჩვენო“]—

რომელი მყობ(!) ხარ მალალთა შინა, სახელ წმინდაო მამაო ჩვენო...“ 2r.

4. „ანბანთქება ჩახრუხაულად თქმული.—

არს კაცთა ტომი დიდებით მჯდომი, შორის ჰაერთა ცას სამყაროსა...“ 2v.

წყდება: „ტარიგი ღმრთისა, ძე დავითისა, მტერისა ჭელთა უძღვევლია...“

5. [ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი შაირად]. „განო, გარჯილო სოფლისაგან, სევდა მჭირს მოუთმინალი...“ 3r.

თავდება: ნაპრო(!), პირმზეს მო-რა-ვმორდი, გაეხდი, მით ვარ აღარ ნელად...“ 3r.

შენიშვნა: სათაური აღდგენილია ხელნ. S—1512: 13-ის მიხედვით.

6. ლექსი.—„ქ. მოვა შევენება, არის ვაღება მიჯნურთ კარისა...“ 3r.

7. ლექსი.—„აქა იმორჩებს ყვავილი, იგი უფასრს სადარია...“ 3rv.

8. ლექსი.—„სოფლისა უპიროდ ქცევამან შესცვალოს ახლად სხვად რადმე...“ 3 v.

9. ლექსი.—„ამას სახესა, კეკლუცთ მახესა, ემგზავსა საქმე კეკლუცთ ნაბდისა...“ 3v.

10. [ბესიკი. „სევდის ბალს შეველ შენაღონები.]—

ქ. ვარდი რა გამიწყრა, ნარგიზს მიემართე,

ენახე ნარგიზი შებრალებითა...“ 3v.

თავდება: „ნაცვალი მოგხვდა დანახსენებითა(!).“

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია, იხ. ბესიკი. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურაძის რედ., 1932, გვ. 3—4.

11. [თეიმურაზ I] „ქ. წამება ქეთევან დედოფლისა შაბაზისაგან(!) თეესა სეკდემბრის ზგ, წელსა ქრისტეს აქეთ ჩქკდ, ქალაქსა შინა შირაზს.— ღმერთო ცისა და ქვეყანისა(!), ნაბრუნავითა მაქცევო...“ 4r—12v.

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოცემულია (ნ. თეიმურაზ პირველი, თხზულება-თა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. ჯაკობიას რედაქციით. 1932, გვ. 126—137.)

2. „ქეთევანის წამების“ ტექსტში (10v) ჩართულია ლექსი სამ სტროფად: „დედოფალი ვით შეამკვეს მათ უღვთითა, სჯულის მტერთა“ (40v), რომელსაც წინ მიუძღვის შენიშვნა ტექსტის ხელით: „ეს სამი ლექსი საბა ორბელიანის ნათქვამია.“ (10r).

12. „ქ. ესე ამბანთ(!) ქება უცხო და შუენიერ, თქმული ვახტანგ ორბელიან ქაფლანის შვილისაგან არს.—

ქ. აქა ამბათ აღვამაღლოთ აწ ალვისა ანავობა...“ 13r-v.

13. მეფის არჩილისაგან ნაბრძანები ანბანთქება შაირად.—  
აღმძრა ბაგე, გული დადვა, ეს ვის ზე შე თამაშობდეს...“ 13v—14r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. „არჩილიანი“ I, 1936, გვ. 273.

14. ლექსი.— „... შენი ღმერთი გვირწმუნია, მას პირი და ფიცი მისცეს;  
მეფე ბრძანებს: შე ვაზირხო, აწ იგი ვქნათ, რაცა ჯამსა...“ 14r-v.

შენიშვნა: ლექსში მოთხრობილია მეფისა და დედოფლის გაჭრისტიანების ამბავი. ტექსტი თავნაკლულია, წინამავალ ლექსს პირდაპირ მისდევს მისი დასაწყისი რომელიც სტროფის უკანასკნელ სტრიქონს წარმოადგენს.

15. „ცხოვრება და მოქალაქობა ალექსი კაცისა ღმერთისა, ახლად  
შაირად გარდათარგმნული მარგებელი მსმენელთა, შკითხველთათვისცა თქმული  
[იოსებ] სააკაძის თბილელისაგან.—

ღმერთო, შენ გაქვებ, ყოველთა ვინ უმეტეს ხარ ძლიერი...“ 14v.

წყდება: „... არავის ძალუცს კაცთა ტომსა, მას არ ეთქმის ქება  
სრული...“

შენიშვნა: ა) სათაურს ზევით მიწვრილია (ტექსტის ხელით): „ალექსი კაცისა, ღმრისა ხსენება მოვა მარტს ივ“. (14v). ბ) სრული ტექსტი პოემისა იხ. S—1511, გვ. 683—704. შდრ. დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1939 გვ. XXIX.

16. „ქება და დიდება წმინდისა და ერთარსისა სამეგობისა და  
ღვთაების ბუნებით განუყოფელისა სამგვამებით განყოფილისა კრებათაგან  
დამტკიცებული, ლექსად თქმული მეფისა პატრონის თეიმურაზ პირვე-  
ლისაგან.—

აღვალო პირი, სიბრძნე და ძვირი, ზესთა ძალისა ჩემისა მზობად...“  
15r—16v.

წყდება „... იგი უსასყიდლო ძალასა სამკვლროდ უფროსად(!)  
მისცემს, არ თუ ქრთამითა...“

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული  
კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. 161—167.  
გამოცემაში ლექსს აქვს სათაური: „შვიდთა კრებათათვის.“

17. [არჩილი]. „პირველის მეფის თეიმურაზისაგან თქმული-  
გლოვა დედოფლისათვის.—

ჩამი გარდახდა შვენებისა, მოვიდა გლოვა, წუხილი...“ 17r—18r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 45—46.

18. „ანი და ჭკულად მეფის თეიმურაზისგან თქმული ჭვისიკუ-  
რად(!).—

აღმძრა ბაგე გულის დადებით ეუწყავის ზედ ესრეთ თქმულვებ...“ 18r.

შენიშვნა: ამ ლექსს, რომელიც თეიმურაზ II-ს ეკუთვნის; გადამწერი შეცდო-  
მით თეიმურაზ I-ს აკუთვნებს, შდრ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული  
კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939, გვ. 125.

19. „ფისიკტურად(!) ანბანთქება მეფის დავითისგან, რომელსა  
უწოდენ იმამ-ყული-ხანად.—

ქ. აღამ ბრძანების განგებულებით დაბადა ევა, ვინ ზმნა შერს თანად...“

18r.

20. „ქ. ეს მეფის ვახტანგის ნაბძანებია, საუკუნოთ იყავნ საქსენებელი სუფევით.—

ქ. მე, უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად...“ 18v.

შენიშვნა: ეს ლექსი ვახტანგ VI-ისად იყო მიჩნეული, იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით. 1947, გვ. 64. ამჟამად გარკვეულია, რომ ლექსის ავტორია გივი თუმანიშვილი, იხ. გ. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, ტფ. უნივ. შრომები. ტ. 43.

21. „შ დანი, რუსთვლის ნიკოლოზის თქმული სფისტიკურად(!)

ჭოვსნი, ჰათხაზნი, ჯიქ-ქადელები, ხედავ ქარალელთ, წირდალს ძრავს ცაცა...“ 18v.

22. [ქება და წამება წმიდისა მარინასი, თქმული შაირად. ხოლო ესე იდი ქალწული მოწამე წმიდა მარინა აღესრულა თთჳსა იულისსა ათშვიდ-მეტსა, დასაბამითგან წელსა 5770 სუთიათას შუდას სამოცდა ათსა].—

„... მიგცე მხეტა შესაქმელად, სხვა სასჯელი შენთვის ვყო.

პრქუა მას წმიდამან მარინა: ნუ ჰგონებ ბოროტთათო,

მე არ ვეშინვი სიკვდილსა, რაზომცა მჭრიდე ხორცთაო...“ 19r—27r.

შენიშვნა: 1. სათაურო აღდგენილია S—1511-ის მიხედვით, სადაც მოცემულია (186r—194r) პოემის სრული ტექსტი. კ. კეკელიძე იმოწმებს ამ ხელნაწერს და პოემის ავტორად მიიჩნევს იოსებ სააკაძე—ტფილელს, იხ. ქართ. ლიტ. ისტ. II, გვ. 480. ამავე აზრს იმეორებს გ. ლეონიძე, იხ. დიდმოურავიანი გ. ლეონიძის რედაქციით, 1939. გვ. XXI. ე. თაყაიშვილი, რომელსაც აღწერილი აქვს პოემის ორივე ზემოთ დასახელებული ხელნაწერი, ავტორს არ ასახელებს, იხ. Описание, т. II, გვ. 194 და 216.

2. პოემას ერთვის ანდერძი (გადამწერისა): „შ წმიდაო მარინა, რომელმან სიბოროტივ მძლავრისა მის უსჯულსა ლომბრიოზისა ცულ ქმენ, რომელმან სეგტი ჯორციითა და დაწვა ცეცხლითა დაითმინე. რომელმან ვეშაი განხეთქე და ვეშაკი შემუსრნე(!), წყლითა აღვსებული შენდა მოსაშთობელი შენდა ემბაზის ნათლისღებად შესწვალე(!), მეოხად. მცველად და მფარველად ექმენი მონდობილსა და მონასა შენსა და მოსავსა შენსა ევსტატის. შეიწყალე, ამინ და კირიალეისენ(!)

აღმიწერია ცოდვილსა წმინდისა წამება-ქებანი,

მე სატანასგან დამიხსნას, არ მინდა მისი ხლებანი.

სულსა ცოდვილსა მიღხინე, ზეცათა მიყავ რებანი.

ვინც წაიკითხოთ, მიბრძანეთ შენდობა, ლოცვით გებანი.

[...] ივლისისავე დასრულდა წელსა 1826“ (26v—27r).

23. „ქ. იესეს ძირთაგან აღმოცენებულსა და დავითის რტოდ აღმოცვრევილისა(!) და სოლომონის ტომად სიბრძნით საჩინოსა და ღთის მეტყველისა მალლისა ღირს-ქმნილისა ღვთივ გვირგვინოსნისა მეფედ(!)-მეფისა და თვით ხელმწიფისა თეიმურაზის მიერ აღთქმული წმინდათ ქება ამბანაზედ(!) ლექსად თქმული.—

ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი...“ 27v—29v.

წყდება: „... ჩვლნი წმიდანი ვადიდნეთ ბაბილა(!). მოწაფენი მე, ჩემ კცა(!) სინას რაითას მომწყდარნი რაოდენიმე...“

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. 145—149.

24. [ისაკმცირე. კატის ომი].

„სატევარს ხელი მოივლო, ყიას დადგა ღიჭი, ღიჭი,  
თავგი მოხლტის; ბერი, ბერი, კატას ვეკნიწო წვერი: წვერი,  
იოლ ვერი, ვერი, გაუხიო ყ... ი, ყ... ი...“ 30r—33v.  
წყდება „... კისკასად ძრულო, ბუნბერაზმულო, გამარტებულო, გან-  
მარტებულო(!) შეჭკარ ძნეულო,  
ტანო მწყაზრულო, დასდევ საწყულო, მოიგე სრულო, გულისა  
მტრეთო(!)...“

შენიშვნა: 1. პოემის სრული ტექსტი მოცემულია S—1512-ში, გვ. 519—535.  
სათაურია: „ბრძოლა ძლიერი კატისა თავტთა მიმართ, და თავტთა სამთა სხტთა  
გჳართა ცხოველთა თანა შეწეწინთა კატისა მიმართ, რომელი იქმნა მეფობასა სპარ-  
სთა შორის ძლიერისა მეფეთ მეფისა შაჰუნ შაჰსა(!), რომელსა ნადირშაობითცა  
უხმობდენ კაცი სპარსეთისანი, თქმული შაირად ისა კ მ ც ი რ ის ა მიერ, რომელ-  
მან დალექსა პირად-პირად მოთხრობანი ჰამბავთა მისთანი.“

2. პოემის ტექსტი ნაწილობრივ გამოქვეყნებულია, იხ. ქართული სიტყვა-კაზმუ-  
ლი მწერლობის ანთოლოგია, II, 1928, გვ. 232—237.

პოემის ავტორობის შესახებ იხ. ტ. რ უ ხ ა ძ ე, XVIII საუკუნის ქართული სა-  
ტირის ისტორიისათვის, კრებულში: საიუბილეო კრებული კ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე ს, 1959,  
გვ. 295—303.

3. ხელნაწერი აღწერილია: იხ. E. Такашвили, Описание рукописей Об-  
щества распространения грамотности. ტ. II, № 148 (გვ. 192).

4. ხელნაწერი უწიგნურადაა გადაწერილი, დამახინჯებულია სიტყვები, რაც  
აზრსა და ლექსთწყობას არღვევს.

5. ხელნაწერს ჰქონია რვეულებრივი სათვალავი. შემორჩენილია ე, თ, ი, იბ, იგ,  
ილ, კა—კე, კზ, კწ და სხვა (უნომროდ) რვეულთა ნაწილები.

ანდერძი (გადამწერისა): იხ. შენიშვნა 2. № 22-თან.

მიწიწერები: (6r, 7rv, 8rv, 10r, 11v, 12rv, 15rv, 16v, 18rv, 19v, 20v, 26r, 27v,  
28r, 30r, 33r, კრიპტოგრაფა—6v).

(573)

1204

### ქაშნ-გულანი. XVII—XVIII

237 ფ.; 21×14, ქალღი; ამჟამად რესტავირებულია, მოთავსებულია ლედე-  
რინის ყდაში; ნაკლული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII—XVIII]; გადამ-  
წერი—მღვდელი ნიკოლოზ (220 r).

1. [ქაშნი] „... მონანი. შენნი. რაოდენცა რა სოფელსა შინა ცოდეს,  
შეუნდეუ(!), რამეთუ არა ვინა არს უცოდველ...“ 1r—62v.

2. „იბაკონი წმიდისად ღთის მშობელისანი, რომელსა დაუჯდომელი-  
ეწოდების.—ზეშთა მბრძოლისა ჩემისათს და მოღვაწისად უძლეველისა...“  
63r—82v.

3. „ლოცვანი ყოველთა შვდელთა დღეთანი, რომელიცა ვინ ჰყოფ-  
დეს აღსარებასა თუსთა ცოდვათასა. კვრიაკესა სათქმელი, თეოფანესგან  
თქმული.—აღვიარებ შენ, მამო უფალო ცათა და ქუეყნისაო...“ 82v—116v.

4. „დაუჯდომელი წმიდისანი ბერძენთაგან(!) თარგმანებული  
ქართულად.—ზეშთა მბრძოლისა ჩემისათს და მოღვაწისათს უძლეველისა-  
ჯუარისა...“ 116v—119v.

5. „დაუჯდომელი წმიდისა გიორგისა. გიხაროდენ, გიორგი,  
რომელმან აღაშენე სახლი შენი კლდესა ზედა სარწმუნოებით...“ 119v—120v.  
წყდება: „...გიხაროდენ გიორგი, რომელმან...“



6. [მარხვანი და ზატიკი]. „... აღდგომასა ღირს იქმნენ ხოლო, სხუანი კულად გუშმითა...“ 121r—198v.

წყდება: „... ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუა უფლისაჲ და დაიმარჯონ იგი. ამინ...“

7. [პასქალიის ცხრილი] 199r—201v.

8. [საეკლესიო კალენდარი] „... მ ორმოც. ნ ორმოცდაათ. ა სამოც, თ სამოცდათ(!), პ ოთხმოც. ჟ ოთხმოცდაათ...“ 202r—205v.

9. [სხვადასხვა შელოცვები და ლოცვები] „... ო ლწისაო, სახელით ვისაცა სჭირდეს მას, ლოცვაჲ მჯდომისა ბოროტისაჲ. გამოვიდა ხილობისასა, ვითარცა კურო...“ 206r—217v.

წყდება. „... თუ ყრმა არა ესვას, წა მიქელ ანგელოზსა ევედროს, თუ ყრმა არა დადგრებოდეს, გაბრიელ ანგელოზსა ევედროს; სულისა აღმოსვლისა ჟამსა წა ეკატირინეს ევედროს...“

10. [საკითხავები] „... მოდგენ სამოსლითა შეურაცხითა წინაშე მათსა...“ 218r—219v.

წყდება „... ჳ წმიდანო მოციქულნო, მოავლინეთ ჩემ ზედა მადლი თქუენი...“

11. [ქრისტიანულ დარიგებათა ფრაგმენტი] „... დობა უნდა. ერთსა ომსა, მეორეს მისსა ბატონის უდასტუროთ ქნასა, მესამესა უღთოთა კაცი-სა(!) მოყრობასა, მეოთხესა უღმრთოთა ქადილსა...“ 220r.

12. „შენდობის წიგნი.—საზომისაებრ ჩემისა, მადლისაგან ნიჭისა და ჭელმწიფებისა ყოვლად წმიდისა და ცხოველისა სულისა მიერ მოცემულისა მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ...“ 220v.

13. „სასწაულობაჲ ჟამთა და თუშთაჲ, მნათობთა, მზისა და მთვარეთა(!) დაბნელებისა, ცისსარტყელისა, ძრვისაჲ და ქუხილისაჲ. თუესა იანვარსა თუ მთვარე დაბნელდეს, მეფე ვინმე აღმოსავლეთით გამოვიდეს...“ 221r—224v.

14. [სიზმრის ახსნა] „... ლისა, ის ომი არის. თუ ვინმე ტაიქსა ზედა ჯდეს, მეფემან გაადიდოს.“ 225r-v.

15. (ქვირა დღის საკითხავი) ქვირაიკისა საკითხავი მცნებაჲ უფლისა ჩუენისაჲ იესუ ქრისტესი...“ 226r—228v.

შენიშვნა: ერთვის კვიმატი დღეების ნუსხა.

16. [ბიბლიურ ადგილთა თარგმანება (აპოკრიფული)] „... პატიე-სცემენ. და სული წმიდაჲ წინაჲ მოეგებვის და ეტყვს: გიხაროდენ, სულო მართალო...“ 229r—232v.

წყდება: „... აწ ესე ვთქვათ, მართალთაჲ და ცოდვილთა არაჲ არს საქმე ერთი, არამედ კეთილი(!) მოლუაწეთა არა ესრეთ სტანჯვენ, არამედ წინაშე უფლისა აღიყვანებენ და ანგელოზნიცა...“

17. [ეპიკური თხზულების ფრაგმენტი] „... ამა ჩემსა ქალაქებიდან მუნ შეიქმნა ჯოცა დიდი,

სამსა ბერსა კაცი ვერ ნახეულა(!), სიკვდილისა გარდამკიდი...“ 233r.

18. „ცათ მოხილვა ყოვლად წმიდისა ღთისმშობელისა.— გარდამოჲდა ზეცით დიდი იგი მთავარანგელოზი, რაათა მიუთხრას ზეცისა და ქუეყანისა...“ 233v.

7. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II.

წყდებთ: „ესე არიან, ყოვლად წმიდაო, უამის მწირველნი საყდართა წმიდათა მდგომარენი ოდეს. და ნაწილნი, ჯორცი და სისხლი ქრისტესი, ნაბრძული სცვიოდეს და საშინელი...“

შენიშვნა: 1. 234—237 ფურცლების ადგილი ვერ მოიძებნა; ესენი შეიცავენ ძირითადად საკითხავებს ფსალმუნიდან და სახარებიდან.

სელნაწერი თავდაპირველად უფრო ვრცელი ყოფილა. ამჟამად შემონახულია ა—იზ, მმ, ნე—მე, ია—ოდ რვეულები (მთლიანად ან ნაწილობრივ). ცალკეული ფურცლები და რვეულები ერთმანეთთან დაკავშირებული (გადაწებებული) ყოფილა ტექსტისავე ფურცლების ფრაგმენტებით.

3. 25v-ზე სინგურით სწერია: „ეს არსების ხატი ზერძენთ. არა აქს, ქართველნი ბის] თქმულთა და ამისთჳს არ დავაგდევით.“

4. კვკლასის სტრიქონებ შუა (199r—201v) მოთავსებულია შემდეგი ქრონოლოგიური ცნობები (ქრონიკონების მანვენებული სათვალავი, რომელიც კვკლასს გვერდზე მიჰყვება, ყველგან სწორი არ არის; რადგან კვკლასი ნაკლებია, სათვალავს გასწორებაც არ ხერხდება. ამიტომ შესაძლოა ქრონიკონი ყველგან ზუსტი არ იყოს).

ჩრლბ [1444] აქა კოსტატინოპოლი დაიჭირეს თათართა.

სმდ [1556] აქა შაჰთამაზ ჩადგა ქართლს და სომხეთს და აღაოჯრძს რულად ხვეთამდის.

სმმ. [1560] აქა გურიელი როსტომ გარდაედა. მისი ძე გიორგი გურიელი დაეჯდა.

სნწ [1569] აქა სკმონ მეფე ქართლისა დაიჭირეს თათართა ომშიდ.

სნთ [1571] აქა ლეონ დედნიანი ცხენმან მოკლა.

სმგ [1578] აქა შაისმელი გარდაიცვალა.

სო [1582] აქა ათაბაგს აწყუღოს ულალატეს; გემარჯვა, თათარი გაიქცა.

სოე [1587] აქა ახალციხე აშენეს ურ[უ] მთა [დას]აბამითგან წელთა შვიდი ათას ოთხმოცდა ათოთხმეტია(!), ნახეთ ამას უკან საქმე როგორ მოევა.

სოვ [1588] აქა განქა(!) აშენეს.

სოთ [1591] აქა გურიელს მამიას აფხაზეზე გამარჯვა.

სპე [1597] აქა დედოფალი ათაბაგის ქალი მოიყვანეს.

სპმ [1600] აქა დიდი გურიელი გიორგი მიიცვალა.

სჟდ [1606] აქა სკმონ დაიბადა ბატონისშვილი.

სჟწ [1609] აქა დედოფალი თინათინ მი[ი]ცვალა; აქ აშენეს ბაქეთოს საყდარი.

სჟმ [1610] აქა მამია გურიელმან აჭარა დაიჭირა.

სჟთ [1611] აქა დადიანი მანუჩარ ცხენმან მოკლა.

ტ [1612] აქა მანუჩარ ბატონისშვილი მი[ი]ცვალა.

ტპ [1640] აქა ვახტანგ გურიელი მი[ი]ცვალა, ქაიჯოსრო გურიელი დაეჯდა:

ტდე [1647] აქა მოიყვანეს დედოფალი ხუარამზე.

ტლთ [1651] აქა დაიბადა ბატონისშვილი გიორგი.

ტინდ [1656] აქა მოიყვანეს დედოფალი თამარი.

ტნწ [1669] აქა დაიბადა ბატონისშვილი ქაიჯოსრო.

ტოგ [1685] აქა როკეთს(!) შეიბენ, გიორგი გურიელი მოკლეს. მისი შვილი ქაიჯოსრო დაეჯდა.

ტოვ [1688] აქა მამია გურიელი დაეჯდა ბატონად.

ტოზ [1689] აქა მოიყვანეს დედოფალი ელენე აბაშიძის ქალი.

ტფგ [1695] ამა ქრონიკონსა [..] ათანასე ნიკოლოზის შვილნი.

ტჟმ [1700] აქა ბატონისშვილი გიორგი დაიბადა.

ანდერძი (ტექსტის ხელით): „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ნიკოლოზ მღვდელი.“ (220r).

(574)

1205

ქა 86 ა XVII

183 ფ.; 7,5×10: ქალაქი, ახლად რექტავირებული—ლედერინის ყდაში; თავ-ბოლონაკლები; ნუსხური; სათაურები სინგურით; [XVII].

[ქამნი] „... საწყალობელი და ფრიად შეცოდებულო. ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო, განდევნენ ბოროტნი იგი გულის სიტყუანი...“ 1r—180v. წყდებ: „... წმიდითა გამოთქმითა პროხორე, ნიკანორა და პარმე...“

შენიშვნა: 1. ფფ. 181, 182 და 183 (უკანასკნელი მცირე ფრაგმენტია მხოლოდ) ამოვარდნილია და მათი თავ-თავის ადგილს მოთავსება არ ხერხდება.

2. სინგურით ნაწერ სათაურებში იკითხება: „ქამნი პირველ მზისა“ (1r), „ქამნი [შუად]ისანი“ (2r), „ქამნი ცხრა ქამისა“ (6v), „ქამნი მწუხრისა“ (14r), „ქამნი დიდისა სერობისანი“ (20r), „ქამნი მცირე სერობისა“ (32v), „ლოცვა, რაკამს ვგულგბოდეს დაძინება. ეს თქუ“ (39v), „ოხითა იბაკონი შუდელთან—ორშაბათისაჲ.. სამშაბათისაჲ...ოთშაბათისაჲ.. ხუთშაბათისაჲ.. პარასკევისაჲ.. შაბათისაჲ“ (41v—43v), „ოხითა იბაკონი აღდგომისა (43v·47v), „სახარებანი საცისკრონი ათერთმეტნი“ (47v—63v), „ლოცვა ღამისა ა ქამისა“ (64r), „ლოცვა ღამისა ბ ქამისა (64v), „ქამისა გ“ (64v), „ლოცვა ღამისა დ ქამისა“ (65v), „ლოცვა ღამისა ე ქამისა“ (66r), „ლოცვა ღამისა ვ ქამისა“ (66v), „ლოცვა ღამისა ზ ქამისა“ (66v), „ლოცვა ღამისა თ ქამისა“ (67r), „ლოცვა ღამისა ი ქამისა“ (67v), „ლოცვა ღამისა ია ქამისა“ (68 r), „ლოცვა ღამისა იბ ქამისა (68v), „ლოცვანი დიდისანი იბ“ (69v—77v), კვრიაკისა ცისკრად“ (77v), „...ლი ეწოდების (79), „ლოცვა დღითი დღე საქმეთაყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა მიმართ. უკუეთუ გსურის ხილვა მისი ქამსა სულისა შენისა განყოფისასა“ (85v), „ლოცვანი სვედრებელნი ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა“ (88r), „პარაკლისი ახლად თარგმნილი(!) ბერძელის წესითა სვედრებელი ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა ვისაცა ენებს“ (91v), „ოხითა იბაკონი მარხვათა და ზატიკიანი მწუხრისა და ფარისეელისა კვრიაკისა“ (97 r), „უძლებისა კვრიაკისა“ (97r) „წორციელისა შაბათისა ვსენება წმიდათა სულთა“ (97r), „წორციელისა კვრიაკისა მეთრედ მოსღვისა“ (97v), „ყველიერისა შაბათსა ვსენება წმიდათა მამათა“ (98r); „ყველიერისა კვრიაკისა ადამის ექსორიობისა“ (98v), „პირველსა შაბათსა მარხვათასა წმიდისა ღმრთისა“ (98v), „პირველსა კვრიაკისა თაყუანისცემა ზატათა“ (99r), „მეთრესა კვრიაკისა“ (99v), „მესამესა კვრიაკისა თაყუანისცემა პატიოსნისა ჯუარისა“ (99v), „მეთხესა ოთშაბათსა“ (100r), „მეთხესა კვრიაკისა ავაზაკთა მოწყულელისა!“ (100r), „მეხუდესა(!) ხუთშაბათსა“ (100r), „მეხუთესა შაბათსა დაუჯდომელთა“ (100v), „მეექუსესა კვრიაკისა უწყლოსა მდიდრისა ღმრთისა და ზარეს გლახაკისა (100v), „მეექუსესა შაბათსა წმიდისა ღმრთისა და ზარესა“ (100v), „დიდსთა(!) ორშაბათსა, სამშაბათსა და ოთშაბათსა ცისკრად ალილოსა ზედა“ (101v), „დიდსა სამშაბათსა ცისკრად“ (102r), „დიდსა ოთშაბათსა ცისკრად“ (102v), „დიდსა ხუთშაბათსა“ 102v. „დიდსა პარასკევისა“ (103r), „დიდსა პარასკევისა მწუხრი“ (103r), „წმიდახა დიდსა შაბათსა ცისკრად“ (103), „წმიდისა და საზრულევისანი“ (!) აღსებისა ქამნი სერობისა ვდ(!) ახალკვრიაკემდე ესრეთ ილოცებიან“ (104r), „ქამნი პირველ მზისა“ (105v), „ქამნი სამ ქამისა (105v), „ქამნი მეექუსე“ (105v), „ქამნი მწუხრისა“ (106r), „ქამნი მცირე სერობისა. (106 r), „შაბათსა მწუხრი იწყებთან ქამნი.“ (106r), „მესამესა კვრიაკისა აღსებითგან წმიდისა იოსებ მართლისა და ნიკოდიმოსი და წმიდათა მენელსაცხებლეთა დედათა“ (106v), „ქამნი სამქამისა“ (108v), „მეთხესა კვრიაკისა „განრდელისა“ (110r), „ოთშაბათსა შუა ზატიკისა“ (110v), „მეხუთესა კვრიაკისა მარხულისა“ (111r), „მეექუსესა კვრიაკისა შობითგან ბრმისა“. (111r), „ოთშაბათსა ვ. შვიდეულისასა სამ-, შაბათსა მწუხრი და ოთშაბათსა“ (111v), „ხუთშაბათსა ვ. ამაღლება უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტისი“ (111v), „მეშვიდესა კვრიაკისა ტყე წმიდათა მამათა ნიკელთა“ (112r), „მეშვიდესა პარასკევისა“... (112v), „კვრიაკისა მერგასესა დღესა

მოსლავა სულისა წმიდისა მოციქულთა ზედა“ (112v), „კვირიაკესა ქსენება ყოველთა წმიდათა“ (113r).

თ ვ ე თ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა : 1 სექტემბრიდან 28 ივლისამდე (114v—180v).

3. 166v-ზე სინგურით წერია; „ამასვე დღესა (ე. ი. 30 ივნისს) წმიდისა მამისა ჩუენისა გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ე ვ ლ თ ა მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა .“

4. ხელნაწერში ზნობია აჲს ხმარება აჲს ნაცვლად, ძველი ქართულის გრამატიკული ნორმებიც დარღვეულია.

(575)

1206

### არხიმანდრიტ პაფნოტის ტანჯვა მთიულთა მიერ. XIX

20 ფ. (40 გვ.); 22×18; ცისფერი და თეთრი ქაღალდი; უყდო, ხელით შეკერილი, მხედრული; [XIX] კვირნიშანი 1821 (გვ. 18); მთარგმნელი—იერონიმე ალექსი—მესხიშვილი (გვ. 40).

„აღწერა ვნებათა ლარგვისის არხიმანდრიტის პაფნოტისათა, რომელნიცა მოითმინა მან აჲს აგვისტოთგან ვიდრე კვ-სს ნოენბრადმდე ჩყდ-ს წლისა მოჯანყეთა მთიულთაგან.—ჩყდ-სა წელსა თუქსა მაისსა საქართველოს მთავარმმართველად ყოფილმან განსვენებულმან თავადმან ციციანოვმა, წარმართველმან ერევნად მხედრობითურთ დასაპყრობელად გარემოთა ადგილთა ერევნისათა, წარგზავნა სევასტოპოლის მუშკატერის პოლკის მაიორი მელლა ორის როტითა და ორით ზარბაზნითა და თავადი შანშე ერისთოვი.“ 1—40v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი რუსულ-ქართულია. მელნის ხაზით ორ სვეტად გაყოფილი ფურცლის მარცხენა მხარეს სწერია რუსული ტექსტი: „Описание страданий Архимандрита Ларгвиского Пафнутия, претерпанных имъ съ 1-го Августа по 26-го Ноября 1804-го Года отъ Бунтовавших Тиулетинцовъ“ საქართული ტექსტი რუსულის თარგმანს წარმოადგენს.

2. შესაძლოა ტექსტი გადაწერილი იყოს მთარგმნელისავე მიერ.

ანდერძი (მთარგმნელისა): „ითხოვს წარმკითხველთაგან დაუმზარხველობასა მთარგმნელი კოლლეგსკი ასესორი იერონიმე ალექსევი-მესხიევი“ (გვ. 40).

(576)

1211

### ხულხან-ხაბა ორბელიანი. ლექსიკონი. XVIII—XIX

419 ფ; 21×17; ქაღალდი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; ტყავი დაზიანებულია; ყდის საცავი ჭრელი ფერადი ფურცლები; ფ. 1 ამოვარდნილია; მხედრული, ალაგ-ალაგ ნუსხური, სალექსიკონო ერთეულების დასაწყისი ასოები (171v-დან); და აშიაზე მიწერილი ზოგიერთი განმარტება სინგურით; ზოგიერთი უცნაურობა სიტყვა-სქალადა გადაშლილი შავი მელნით; 8v-ზე ფერად მოხატულ თაღში ჩასმული დიდი ა, ისიც ფერადი, ორნამენტით შესრულებული, ცხოველური ორნამენტითაა შესრულებული ზოგიერთი სახედაო ასოები: მ, ნ, ე, ო, პ, რ, ს, ტ, უ, ქ, ღ, ჩ, ც, ხ, ჰ, ჭ, ფ. დანარჩენი ასოები არ არის; ზოგიერთისათვის დატოვებულია თავისუფალი ადგილი (ფ, შ, ძ, წ, ფ, ჯ), დანარჩენ შემთხვევებში კი ტექსტი გადაბმით სწერია და სახედაო ასოებისთვის ადგილი აღარ რჩება. ორნამენტი შესრულებულია საკმაოდ ფაქიზად, გაფერადება კი უხეშია; ზოგიერთ გვერდზე ტექსტი ჩასმულია მოწითალო მელნით შემოკლებულ ჩარჩოში; არის ნახაზები და სქემები (211v „ნათესავი“, 219v „ქარი“) [XVIII—XIX]; დაუწერელია 177v—178r, 419r-v.

[სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართულისა ენისაჲსა: ანი არს პირველი ასო და ვმბანი და ართრონი მრავალრიგად...“ 8v—415r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წამდღვარებული აქვს: ა) „ანბანი პირველა(!) სასწავლონი(!) ყრმათანა“. (1r-v); ბ) „რიცხვი ქართულთა ანბანთანი“ (1v—4r); გ) „საქცევნი ხუთთა კმიანთა ასოთანი და სხვათა თავ-ბოლოთანი“ (4v—8r)

2. ტექსტს ერთვის: ა) ავტორის ანდერძი (Curriculum vitae 415r-v; ბ) ვან-ტანგ VI-ის ლექსი „სიყრმიტგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი“ (416r); გ) საბას ლექსი „ამ ლექსიკონის ნაგები თუ ბრძენმან დამიწუნოსა“ (416r); დ) „მთხელნი, რომელ არიან ქართულნი, რომელთამე არღარა უწოდეს და დავიწყებინეს და სხვა თურქთა ენითგან მოუღიეს მათად ნაცვლად“ (416r—417r); ე) „განჯაფისა და მისის თამაშობის სახელები ქართულად და თა[რთულად (417r—418r); ვ) კაცი გ, კენჭი კდ. ადექ, ბეჟან, შავი ცხენი ქიტას მიეც. (419v).

3. ლექსიკონი A რედაქციისა.

მინაწერი: 1. (ტექსტის ხელით): „მისცა ჩუხჩერაბობა მარტუშანსა(!) ძესა ჩუხჩერა-ჩისასა. ქართლის ცხოვრუ(!)“ (358v).

2. „იქორწინა სვიმონ წელსა ქორონიკონს 1813, თებერვლის ცამეტს და მიიცივალა იმავე წელსა გიორგობისთვის ოცდასამს მეუღლე მისი“ (8r).

3. „დაიბადა გიორგი ქორონიკონსა 1813 წელსა გიორგობისთვის ოცდასამსა იმერეთსა შინა სახელით ბოსლევს. ათას რვაას ცამეტისა გიორგობისთვის ოცდასამიდან ქრისტეშობისთვის ოცდახუთს ათასრვას თოთხმეტში გადადღა. ღმერთო, შემწე და მფარველ ექმენ მადლითა შენითა“ (211r).

4. „ესე ლექსიკონი ფარსადან მაჩაბლის მეუღლის ქეთევან აბაშიძის ქალისა არის; ღმერთმან მშვიდობაში მოახმარეს შვილთა და მომავალთა სახლისა მისისათა. ამინ.“ (178r).

5. „ესე ლექსიკონი მაჩაბლიანთი არის“ (178r).

6. სამხედრო ფორმაში ჩაბმული კაცის მელნით ულაზათოდ შესრულებულ მონახბს ქვემოთ: „Зуранъ Мачабели“ (177v).

7. „არს ლექსიკონი ესე მაჩაბლის სვიმონის მოსახმარისად ლექსთა საჭიროთათჳს“ (418r).

8. „Сие написалъ Князь Симонъ Мачабели“ (418 v).

9. „კუდიანი ვარსკულავი გამოჩნდა 1853 აგვისტოსა 18-სა დღესა“ (419 v).

(577)

1216

### ხრონოგრაფი. XVIII—XIX

340 ფ; 20×20,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ამოტიფრული ხის ყდა; ყდა მოცილე-ბულია; ზედა გატეხილია; ნაწილობრივ დაშლილი, თავ-ბოლონაკლული; მხედ-რული, თავების სათურები სინგურით; ტექსტის ბოლოს ამოჩხვლელი, შემდეგ წითელმელან შემოვლებული გამოხატულება გაბრიელ მთავარანგელოზისა ჩართუ-ლი წარწერით (336v). [XVIII—XIX]. მთარგმნელები: ბაგრატ სოლოლაშვილი და არჩილ მეფე.

[ხრონოგრაფი] „... მუნ დაჰყოფენ სამყოფთა და საკმართა მისთა ყოველთავე, რაოდენიკა ეგმარების მას და მაშინ მოვალს შეფეცა იგი“... 1—336v.

შენიშვნა: ტექსტს ერთვის „ხანდუკი წიგნისა ამის (337r—340v). იგი ბოლო-ნაკლულია. წყდება. „როზ. მეფობა თეოფილესი“.

მინაწერი: 1. „ქალაქიდან მოიტანა ლა[ცაბიძემ] სადღესასწაულო და სხვა წიგნები და ავდასტი(!) ავდასტის ხელი ვიარ(!) დიდი სინი და პატარა სინი მოი-ტანა სამ[...]. ერთი გრძელტარაინი ყავდანი(!). ამის მოწამე გლახაყ არის, თამარიც“. (ზედა ყდის შიგნით მხარუს).

2. „წელსა ჩულობ-სა მოსვლით(!) თავადის იოვანე აბაშიძისას სადაცა მოვდა დიდი თოვლის(?) მოსვლა(?) ბრუნდებოდა რა სახლსა შინა მამისა ძმისა თავისისა, კნიაზ აბაშიძისა დათ მისით კნენინა ქეთელან, პალკოვნიკის წყურგთლის და იმერეთის სარდლის ქაიხოსროს და ასულით მისით სალომეკნენინა ლენერალ-მაიორის და კავალერის კნიაზის აფხაზოვისა, რომელიც დაქვრივდა მყოფი ოცდამეორესა წელსა ასაკისა მისისა ჩულა წელსა, აგვისტოს ლასდღესა და მე მნახევდა(?) ესე აქუნ გულსა ჩემსა უნუვემო მწუხარებად. მღვდელი ოქროპირ (ქვედა ყდის შიგნით მხარეს).

(578)

1218

## ჟამნ-გულანი XVII

418 ფ; 21×15; ქალაღი, უყდო, თავბოლო ნაკლული, აკლია შუაშიც; დაშლილი, კიანჭამი, შემოცვეთილი, დალაქევებული, ალაგ-ალაგ ფურცლებიც დაზიანებულია; ნუსხური, სათაურები სინგურით [XVII] ქალაღდს აქვს ჭვირნიშანი (299).

1. [ჟამნი]: „...ერთი რლ[...]გქს სამებაო წთ ერ... ბითა და განზრახვით მხოლოდ მარ. [...] განუყოფელო ღო შეგვზღუდენ ჩრ...“ 1r—95v.
2. [იბაკონი და ლოცვანი ღმერთის მშობლისანი]. „იბაკონი წმიდისა ღის მშობლისანი, რომელ არს დაუჯდომელი, ხოლო ბერძულად კატკსთო.—ზეშთა მპყრობელისა ჩემისათვს და მოღვაწისა უძღვევლისა...“ 96r—104r.

3. „ლოცვანი სინანულისა და აღსრულებისანი... ლოცვა აღსარებისა კქსა ღღესა სათქმელი. აღვიარებ შენ, მამაო, უფალო. ცათა და ქუეყანისაო...“ 104v—108r.

4. [კვირეული საკითხავი] „ორშაბათისა საკითხავი სავედრებელი წმიდათა მთავარანგელოზთა. ღმერთო მრავალმოღუაწეო, ამისთვს მოვივლტი შენდა, რამეთუ არაეინ განაგდე...“ 108r—143r.

შენიშვნა: სხვა მასალათა შორის, საკითხავებში მოყვანილია ლოცვები იოანე დამასკელისა, იოანე ოქროპირისა, ბასილი [კესარიელისა] წმიდა ვერემისა და თეოფანესი.

5. [ლოცვანი]. „ლოცვა თქმლი წმიდისა იოანე ოქროპირისა; რომელმან უწინარეს ჟამის წირვისა წარიკითხოს თავისა თვისისათვს, ხოლო მონაზონ ყოველსავე ჟამსა იტყოდეს. ესე ლოცვა უკუეთუ ვინმე ღმობიერად წართქუს, გულითა წმიდათა გურწამს, ვითარმედ ყში(!)მეცოდებანი მისნი აღუჯოცნეს ღმერთმან ვედრებითა წმიდისა იოანე ოქროპირისათა. გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო...“ 143r—190v:

შენიშვნა: სხვა მასალასთან ერთად, მოყვანილია ლოცვები იოანე ოქროპირისა, იოანე დამასკელისა, ბასილი [კესარიელისა] მაკარი [მეგპეტელისა].

6. [სადღესასწაულო.] „თა სეკდენბერსა აქს დღელ, დღეთა აქს ჟამი იბ, და ღამეთა ჟამი იბ. თა სეკდენბერსა ა—დაწყება ინდიკტიონისა, ესე-იგი არს ახლისა წელიწადისა...“ 191r—263v.

7. [მარხვანი და ზატოკი] „ოხითა იბაკონი მარხვათა და ზატოკითანი. მეზუქრისა და ფარისეელისა კვრიაკესა. ოხითა აღდგომისა რომელიცა ხუდებოდის. იბაკო. არა დააკლ(!) ღთო ყოვლისა მპყრობელო, უწყი საღმრთოდ ძალი ცრემლთა...“ 269v—310v.

შენიშვნა: მარხვანსა და ზატის წინ მიუძღვის „ოხითა იბაკონი აღდგომისანი“, (263v—268r) და „ოხითა იბაკონი მსგეფისანი“ (268r—269v)

8. [ს ა ს წ ა უ ლ ო ბ ა ე ქ ა მ თ ა ე] „... ხუთშაბათსა თუ დადგეს იანვარი ზამთარი იყოს აღვილი...“ 311r—313v.

9. „რვაე ჯმაე კვირადალი ბრწყინვალისა და ნათლით შეგოსილისა აღდგომისანი. ჯმაე ა. სამწუხრონი ლოცვანი ჩნნი შეიწირენ, წმიდაო ღმერთო...“ 313v—365r.

10. [გ ა ლ ო ბ ა ნ ი ს ი ნ ა ნ უ ლ ი ს ა ნ ი]. „კვრიაკესა მწუხრი დასდებელნი სინანულისანი. ო რ ლ ს ი. ჯმაე გ. თვთა მწუხრისა ვალობისა შევესწირვეთ, ქრისტე, საკუპეველითა და შესხმითა სულიერითა ვილადადებთ, შეიწყალენ, მაცხოვარო, სულნი ჩუენნი...“ 365r—396v.

11. [შ ო ბ ა დ ლ ი ს წ ი რ ვ ა]. „... მოვალს შემდგომად ჩემსა, რომლისა იგი არა ღირს ვარ განჯსნად ჯამლთა ჭერჯთა მისთასა...“ 397r—417v.

წყდებთ: „... და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქვნ(!) ნაზარეთ, რადთა აღესრულოს თქმული იგი წყლისა, ვითარმედ. „ნაზარეთ ეწოდოს“. კრქსი მოგუმდლნთა და ჰბა...“

შენიშვნა: 1. ფ. 418 ადგილი არ იქებნება. ფ. 384-ის შემდეგ ზოგიერთი ფურცლების ზუსტი თანამიმდევრობა საეჭვოა (ტექსტის ნაკლებუქვანების გამო).

2. რვეულაობრივი აღრიცხვის მიხედვით, ამჟამად შემორჩენილია (მთლიანად ან ნაწილობრივ) ხ, მ, ია-მმ, ნ-მდ რვეულები.

მინაწერი: ა) „ქე, შეიწყალე ცოდელი გიორგი“. 335v.

1. (ტექსტის ხელით) „ეს რვეული ორი ფურცელი არის“ (190 v.).

(579)

1222

## გეოგრაფია. 1782

182 გვ; 17×10,5; ქალაღი, ტეიფრული ტყავადაკრული მუყაოს ყდა; ყდის სატავი ფურცლები ყვითელი ფერისა; ჰქონია ორი შესაკრავი, შეტრჩენილია ცალი ჰვირნიშნიანი ქალაღი; მხედრული; სათაურები; თავებისა და პარაგრაფების დასაწყისი ასლები სინგურით. 1782 (გვ. 169); მთარგმნელი— გაბრიელ გელოვანი. (გვ. 1,159); გადამწერი—ალექსის ძე დავით [რექტორი]—(გვ. 168). დაუწერელია გვ. 2, 16, 73—76, 107—109, 123—126, 133—140, 147—148, 160, 170—182.

<ღე ო ლ რ ა ფ ი ა ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგულისთეს აღწერა>. „პირველი ნაწილი, რომელსაცა ეწოდება ევროპად.—ევროპას რამეთუ რომელნიმე იტყვიან აქვს თვისი სახელი ასულისაგან მეფისა აღენორისაგან...“ გვ. 17—146.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე სწერია: „ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგულისათეს აღწერა, პირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო აწ მეორედ რუსულთა(!) ენისაგან ქართულთა(!) ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანისა მიერ, რომელიცა დაბეჭდილ არს ბრძანებითა დიდის ველმწიფის, მეფეთ-მეფის პეტრე ალექსისძისა მიერ წულსა განხორციელებითგან სიტყვას ღთისა ჩღ, თვესა მარტსა პირველსა, სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვსა“.

2. ტექსტს მიუძღვის შესავალი: „მოკლედ გამოიჩინება გარემოს ქვეყნისა და განყოფილება ყოვლისა ნაწილებისა მისთვის, რომელნიცა საკლმწიფო(!) რომელსამე ნაწილსა შინა არიან. და ყოველსავე საკლმწიფოსა სამძღვრისა დიდება—ვის შორის უფროს არს ძალითა, სიმდიდრითა, მუდახილითა ანუ სხვითა რომლითამე წარმარტებითა.—საუკუნემ და ყოვლად შემძლებელმან ღმერთმან პირველად სიბრძნითა თვისითა მიუწოდებლითა დაგებადნა ჩვენ...“ (გვ. 3—15).

3. ტექსტს ერთვის მთარგმნელის ვრცელი ანდერძი—გვ. 149—159. იგივე ანდერძი ხელნ. A —1007 მიხედვით, რუსული მთარგმანითურთ გამოქვეყნებული აქვს მ. ჯანაშვილს. იხ. Описание т. III, გვ. 261—269. დაბეჭდილია აგრეთვე ხელნ. S—1131 აღწერილობაში. ანდერძის ბოლოს: „... მოველ რუსეთს და შევეგნ მცირესა ენასა რუსთასა, მაშინ ვიხილე წიგნი ესე მოკლედ ქუეყანისა აღწერა და ფრიად მიმზიდა და მივიხიდე, ხელ-ვჭყავ და რასაცა ოდენ შემძლებელ ვიქმენ, ეთარგმნე მე, კნიაზ გვლოვანმან გაბრიელ, კრისტეს აქეთ ჩლლზ. სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვის.“ (გვ. 159).

4. ხელნაწერის ბოლოს, ზანდუკის წინ მოთავსებულია ტაბულა, ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის მდებარეობის (სიგრძედ-სიგანედის მიხედვით) მაჩვენებელი. „ტაბლიცა ამას შინა აღიწერება სიგრძე და სიგანე ღრადუსებისა ქალაქებთა გამოჩენილებთათვის ქვეყნის სიმგვარგვლესა ზედა მოკლედ წიგნისა ღეორაფიისაგან ესე სიტყვები. ქვეყნის აღწერილება ფილიპპე ფერარარის მიერ გამოწერილი.“ (გვ. 161—166).

ანდერძი: „სრულ იქმნა სადიდებელად ღთისა სვედემბერსა 6, წელსა 1782, დაეშვერ ამის გარდანუსხვით ალექსისძე დავით. გამართულია“ (გვ. 169).  
 შინაწერები: (გვ. 67, 79).

(580)

1223

## ჩარდავრიშინი, XIX

36 ფ; 23,5×19; ქალაღი, უყდო, დაშლილი, ნაკლული; მხედრული; [XIX].

[ჩარდავრიშინი დავრიშთ ანბავი და დიდის ხელმწიფის კონსტანტინებოლის მპყრობელის და ძლიერისა] „...სინანული არას გარგებსო. არ მოვეშვი, დავიფიცე. მითხარ, თორემ ცოცხალს არ გაგაშვებ მეთქი...“ 1—36r.

წყდება: „...მაშინვე ჩემი ქალი მივე. მას აქეთ აქ არის ჩემთან და შვილისაგან უფრო მომეტებულად მიყვარსო. ხელმწიფე დავარდა და თაყუანი...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერს თავისი პაგინაცია ჰქონია. მის მიხედვით აკლია გვ. 1—1, 43. 44, 65, 66, 71, 72. ხელნაწერი ამჟამად იწყება გვ. 32-ზე, მთავრდება 108-ზე.

2. ტექსტი იწყება მეორე კარიდან; უძველესი, ნ. ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი სრული ხელნაწერის მიხედვით (A 860) გვ. 247v. წყდება მეშვიდე კარზე— 272v.

3. სათაური აღდგენილია A—860-ის მიხედვით (240r).

4. ჩარდავრიშინის ტექსტი გამოცემულია 1876 და 1890.წწ. ტექსტი შემოკლებულია და შეცვლილი. იხ. კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II\*, გვ. 338.

(581)

1224

## მცირე სერობა. XVIII—XIX

4 ფ; 15,5×10,5; ქალაღი, ყდა სქელი ქალაღის, ყდის საცავი ფურცელი—ტექსტის ქალაღისა; თანაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII—XIX] გადამწერი—ალექსისძე დიმიტრი (3r).

<მცირე სერობა> „... სული ჩემი და წყალობითა მოჰსრნე მტერნი ჩემნი და წარჰსწყმედნე ყოველნი მაჭირჰშებელნი სულისა ჩემისანი...“ 1r—3r.

ანდერძი. (გადამწერისა): „დასრულდა მცირე სერობა. ალექსისძის მიერ დიმიტრის უღირისა“ (3r).



მინაწერები: 1. (გადამწერისა): „მაღალ ბრწყინტაღეო უფალო და სიწმიდისა ჭურო. აღთქმული მიხედ, ვრ მონათ მონისა შენისაგან და ირწმუნეთ, თუ ღამით არ მეწერა და არა მჩქარებოდა, უკეთეს ხელს დაგიწერდით. ძილი ცალკე მაწუხებდა და ცული მეღანი უფრო. ჯერ ეს გახლდესთ და მერმე, თუ ღმერთი ინებებს, უკეთეს(!) დაგიწერ. თქუშინ უსარწმუნესი მეგობარი და მონა დ ი მ ი ტ რ ი“ (3v).

2. „ჩუჟ-სა წელსა თავადის გ ი ო რ გ ი ს სუფრავის ძე თ ა დ ი ა დაიბადა აპრილის 8. მთვარისა იყო ე, ქკს უოშ“ (4r).

3. „ჩუშ-სა წელსა ივნისის 3 იქორწინა თ. საგარეჯოს მოურავმა თ ა დ ი ა ჩოლაყო-ზა(!) ქსნის ერისთვის ე ღ ი ს ბ ა რ ი ს ა ს უ ლ ს ქეთევან ზედე ქკს უჟვ.“ (4r).

4. „ჩუჟ-სა წელსა ივლისის 3 დაიბადა თავადის თ ა დ ი ა ჩოლაყოვის სა-გარეჯოს მოურავის ასული ანა, მთვარისა იყო იე, ქკს უჟდ“ (4v).

5. „ჩუიბ-სა წელსა ფებერვლის 3 ვ დაიბადა თავადის საგარეჯოს მოურავის თ ა დ ი ა ჩოლაყოვის ასული ნინო. მთვარისა იყო [...] ქკს უჟ“ (4v).

§(582)

1226

## ბაუმეისტერი, ლოგიაკა. XIX

16 ფ; 22×19; ცისფერი ქაღალდი, უყდო, დაშლილი, დაფურცლული, ნაკლული; მხედრული; [XIX]; კვირნიშანი (ფ. 15).

[ბაუმეისტერი, ლოგიაკა] „ხოლო მარტივთა არსებათა კუალად განვსწუალავთ გულისხმიერად და უგულისხმოდ, მაშინ ესევეთარი განყოფა იწოდების ახალგანყოფად (ანუ ზეგანწუალებად)...“ 1r—16v.

წყ დ ე ბ ა : „...განკარგულებამ განცხადებულთა ამით ჰსწავლათა სათანადო არს დატუად, ესრეთ რომ პდ დაიდუთა იგი, რომლისა მიერცა შემდგომნი ადვილ გულისხმის-ყოფად შესაძლო არიან...“

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი განსხვავდება იმავე თხზულების თარგმანისაგან, რომელიც ანტონ კათალიკოსის ეკუთვნის (ნ. „აღწერილობა“, H—II, № 853) ტექსტი, ანტონისეულ თარგმანთან შედარებით, შემოკლებულია, პარაგრაფების რაოდენობა ნაკლებია, ენაც უფრო სადაა. ასეთსავე შემოკლებულ თარგმანს წარმოადგენს H—231 (1837 წ.), თუმცა იგი კიდევ უფრო შეკვეცილია.

§(583)

1227

## ლექციონარი. XII—XIII

124 ფ; 225×17; ეტრატი, უყდო, დაშლილია 8-8 ფურცლიან რვეულებად; თა-ბლონაკლული, აკლია შიგნითაც; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XII—XIII]; გადამწერი—გიორგი(?) 65v).

შენიშვნა: 1. შედგება 9 ნაწილისაგან: ა. „ფლორინოვის გამოჩენილი იეკონომია ვითარცა კეთილმოსახლეობა“ (3 რ — 28 რ); ბ. სახლის შენობაზედ, ანუ რა მასალები მოუწოდება: გამოთვნიერება დარისა, ანუ რა სრულსა წელსა ზედა, გინა ყოველსა თვესა რა შექმნელობა გმართებს“ (29 რ — 26 ვ); გ. მიწის მსაქმელობა, რომლისაგან აღძვეალი არს კეთილი საქმე და სარგებელი“ (87 რ — 141 ვ); დ. „ბაღებზედა და ყურძენზედა“ (115 რ — 136 ვ); ე. „ცხენებზე და რზომაზე“ (137 რ — 157 ვ); ვ. „აბრეშუმის კიახედა და მათსა განმრავლებაზედა. შერმე ფუტკარზე, თაფლზე და წმინდა სანთელზედა. ტებზე და თევზედაცა“ (158 რ — 162 რ); ზ. „გამოცობაზე შავის. პური-სა, მოაარშვაზე ფივისა, ანუ იგინი. როგორ შეინახო, დამარილიანება ჯორცისა, ეგრეთვე მომზადებულება სასმელებისა, ხოლო სახელით კაფე, ჩაი, შვეკოლათი და სხვაცა“ (163 რ — 166 რ); თ. „კაცის ანტიმონიაზე, რომელსა ქვეიან კაცის გამო-შიგენა და მისი ყოვლის ასოების დასინჯვა და მისი შესაფერი წამლებიცა“ (167 რ — 184 რ); ი. „სახარეულობაზედა“ (185 რ — 188 რ).

2. წინ უძღვის: ა: თავფურცელი წარწერით: „ზ ღ ო რ ი ნ ო ვ ი ს ი კ ო ნ ო მ ი ა ფ რ ა ნ გ უ ლ ი თ გ ა ნ თ ა რ გ მ ნ ი ლ ი რ უ ს უ ლ ს ე ნ ა ზ ე . და ბ ე კ უ დ ი ლ ი ა რ ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ . მისის იმპერატორობის დიდებულობის ყოველთმომწყალის, დიდის კელმწიფის ან ნ ა ი ო ა ნ ე ს ა ს უ ლ ი ს ა , ყოვლის მპყრობელს დიდის რუსეთისა, პ ე ტ რ ე ბ რ უ ხ ს ა , ა მ სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა კ ა დ ე მ ი ს მ ა ს წ ა ვ ე ლ ე ლ ა გ ა ნ . 1771 წ ე ლ ს ა “.

ბ. რუსულ ენაზე მთარგმნელის სერგეი ვოლკოვების (აკადემიის სწავლი; მდივანი) მიმართვა იმპერატორიკა ან ნ ა ი ო ა ნ ე ს ა ს უ ლ ი ს ა დ მ ი (1V—3r).

3. 47r, 48r, 49r, 56r, 141v, 142r, 167v-ზე დატოვებულია თავისუფალი ადგილები სურათებისათვის, რაზედაც მიუთითებს ფურცლებზე გაკეთებული სათანადო წარწერები.

ანდერძები: 1. ქ. საქართველოს მეფის ბაქარის ბრძანებითა გადმოითარგმნა რუსულისაგან ქართულად წიგნი ესე იეკონომია, რომელი არს მოსახლეობა უმცირესისა მათის სიმაღლის მონისა ჯელითა სვიმონ მაკაცარიძისაგან განსრულდა, დ ბ ა ლ ო ს ა , ქ კ ს უ ლ გ . დასაბამითგან ვიდრე აქანომდე 1748 წ ს ნ გ “ (189r).

2. „სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, წელსა, 1772. მათის მაღალის მღვდელმთავრობისაგან. ა ლ ა ე ვ რ დ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს ა ნ ი კ ო ლ ო ხ ი ს ა მიერ მებრძანა მე წიგნისა ანის აღწერად, რომელი არს ი კ ო ნ ო მ ი ა . და აღესწერე წიგნი ესე მისის მაღლისა მღვდელმთავრობისა უმცირესმან მონამან და მსახურმან გიორგის შეიღმა ზ ა ქ ა რ ი ა მ ა შ ა ლ ვ ა ო ვ მ ა . გვედრები მკითხველთა ყოველთა, უკეთუ ჩემიერ შეტომილი ჰპოეთ რამე. ნუ მწყვეთ სიყუარულისათვისა ლთისა“ (189r).

მიწაწერი: „ზ. კიკინაძესი“ (1r).

(670)

1391

### ქ. ბაუმეისტერი. მეტაფიზიკა. 1819

198 გვ.; 29,3 × 20; ქალაღი (ყდა და 1—8 გვ. თავისი მიერ არის დაღრღნილი, დალაქავებული); ქალაღის ყდა (დაზიანებული); მხედრული, სათაურები და დასაწყისები ასომთავრულით; 1819წ. (193 გვ.); კვირნიშანი აქვს: გადამწერი: ზაქარია გაენათის არხიმანდრიტი (193 გვ.); მთარგმნელი: ანტონ I (გვ. 3); დაუწერელია: გვ. 4, 194 — 198.

[ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი . მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა]. „ზედდადგინებანი მეტაფისიკისანი. წინასიტყუაობა ბუნებისათვის და აზსებისა მეტაფისიკასა. § 1. დაღათუ გულისმსიტყველობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათამი სხოლათა შინა აზნაურთა სწავლათა მსწავლელთა არ სათანადო არს გარდამოცემად მეტაფისიკისა...“ გვ. 5 — 193.

შენიშვნა: 1. მეტაფიზიკა შედგება 4 ნაწილისაგან. ხელნაწერის კიდევზე მოთავსებულია მთარგმნელის, ანტონ I, და გადამწერის ზაქარია გაენათის არხიმანდრიტის სკოლიოები.

2. წინ უძღვის „პინაქსი მეტაფისიკასა“ გვ. 1—3. პინაქსის ბოლოს მიწერილია: „მეტაფისიკა შრომილი ანტონის მიერ პატრიარხისა ყოვლისა საქართველოესა მეფის-ძისა“ (გვ. 3).

ანდერძი: „იყავნ სადიდებულად შენდა სიტყუაო და სიბრძნეო ღისაო და უბიწოდ მშობელისა შენისა. 18<sup>10</sup> 19. მდაბალმან გაენათის არხიმანდრიტი.

ტ მ ა ნ ზ ა ქ ა რ ა ა ლ ვ ა მ წ ე რ ე ს ნ ე ტ ა ფ ი ს ი კ ა და რ ა ო ლ დ ე ნ ი მ ე ს ხ ო ლ ი ო ნ ი ზ ე და და ვ რ თ ე და სა კ ი რ ო ლ ვ რ ა ა ზ ე . და თ კ ვ ე ნ , სა კ უ თ ა ო თ ა ს ი ბ რ ძ მ ნ ს - მ ო ყ უ ა რ ე ბ ი თ თ ა ნ ა ზ ი ა რ - თ ა , უ კ ე თ უ სა თ ნ ო გ ი რ ი დ ე ს თ , ლ ო ც ვ ი თ , მ ო მ ი გ ო ნ ე თ “ (გვ. 193).



(671)

1393

## ისტორია ფრანცილ ვენციანისა და რენცივენასი. XIX

1 + 116 გვ.; 22 × 18; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 1r-v, გვ. 52—53, 113—116.

„ისტორია ვაშკაციისა და გოლიათისა ფრანცილ ვენციანისა და შეენიერის კაროლის ასულის რენცივენასი. — ლიშპანიის საკოროლოში იყო კაროლი, სახელით ბრამბეუზ, ქებული ყოველს საველმწიფოში და ვაშკაცი სამხედრო საქმეში“... გვ. 1—112.

(672)

1398

## სამოციქულო. X

146 ფ.; 25 × 20; ეტრატი, (ფ. ფ. 129—146 დალაქავებული და დაზიანებული); უყდო, დაშლილი; თავბოლონაკლული; ნუსხური; ორ სვეტად, სათაურები სინგურით; [X საუკ.]; მომგებელი: თეოდორე (76 v).

1. [პავლეს ეპისტოლენი]. „... ცუმულ-არს და მეს სოფლისა. მოსეს საადუმლოასა...“ 1r—76r.

შენიშვნა: შემონახულია შემდეგი ეპისტოლეები: 1. წიგნი ეფესელთა მიმართ (1r—11r);

2. წიგნი ფილიპელთა მიმართ (11v—18r); 3. წიგნი კლასელთა მიმართ (18r—25r); 4. წიგნი თესლონიკელთა მიმართ ა (25r—31r); 5. წიგნი თესლონიკელთა მიმართ ბ (31r—39v); 6. წიგნი ებრაელთა მიმართ (34r—57r); 7. წიგნი ტიმოთესა მიმართ ა. (57v—65r); 8. წიგნი ტიმოთესა მიმართ ბ (65v—71r); 9. წიგნი ტიტუსა მიმართ, (71v—74v); 10. წიგნი ფილემონისა მიმართ (75r—76r).

2. „საქმე წმიდათა მოციქულთა. საკითხავი ა. პირველად ესტყუად ვყავ ყოვლისა მისთს...“ 77r—146v.

წყდება: „... ესმა ჩუენთჳს და მოვიდეს შე...“

შენიშვნა: ამ ხელნაწერის შესახებ იხილე „საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1950 წ., გვ. 018—019 ანდერძი: „დიდება ღმერთსა, ყოვლისა კეთილისა მიზეზსა, განსრულდა პავლემ. იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე სუფევათა მონად შენი თეოდორე მონაგებელი ამის წიგნისა, ამინ“ (76 v).

მინაწერები: 1. (ნუსხური) „სულსა თადეოზისა შეუნდოს ღმერთმან“ (45 v).

2. პავლე მოციქულისა მადლო და პეტრე მოციქულისა მადლო, მიშულე ხენაპრო ცოდვილთა უცოდვილესსა დათჳცსა იონესა. და მშობელნი მისნი დაიცვენ. უფალო ღმერთო, ამინ. წმიდაო გიორგი, თქუენცა ექმენ შემწე და მფარველ. სუეტისა ღრისმშობელო, თქუენ ნუ განიშორებთ თქუენის მარჯუნისაგან (!)“ (76v—77r).

3. „ღმერთო, აცხოვენი ამისი მწერალი იობი. დიაკონო, კარგი საქმე მოგვარე ამინ და კირიალესონ...“ (97v—98r).

4. „ღო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იასე, ღმერთო შეიწყალე“ (1r).

(673)

1399

## ოთხთავი (ფრაგმენტები). XIII

20 ფ.; 22,5 × 20; ეტრატრ; უყდო, დაშლილი, ნაკლული; ნუსხური, ორ სვეტად, დასაწყისები სინგურით, ასომთავრულით; [XIII საუკ.].

[ოთხთავი]: „... საქორწინე. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუშდ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი დუმნა...“ (მათე, 22, 11—12) 1 r—20 v.

წყდება: „... და მე გეტყვ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაგამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ შე...“ (ლუკა 16,9).

შენიშვნა: ხელნაწერი წარმოადგენს მათეს და ლუკას თავის ფრაგმენტებს.

(674)

1400

## ვახტანგ VI, კეიკელისი. 1749

50 ფ.; 19,8 X 15,5; ქაღალდი; შერჩენილი აქვს ქვემო ყდა (მუყაოზე გადაკრული ტვიფრული ტყავი); ამოკვენილია ფ. ფ.: 148, 50; მხედრული (კალიგრაფიული); ხელთა (1 r), თეგვის გამოსახულება (48 r); 1749 (1 r, 47 v), კვირნიშანი აქვს; გადამწერი: ნძეველი გიორგი ლუკაძე (47 v); დამკვეთი: ლავრენტი ბერი (47 v); დაუწერელია: 50 v.

„უწყოდეთ, ესე კიეკელისი არს ყოველთა მარხვათა, სხნილთა (!), მთოვარისა გამოცვლისა და თვის დადგისა და ხმა სახარებისა, როდისაც დღესასწაულს სახარება აქვს მათი შეტყობა უტყურად აღწერილი. და უტყუეთუ ვისმე ენებოს სწავლა ამისი, პირველად ეს უწყოდეთ...“ 3 r—46 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. ხელთა ასეთი წარწერით: „ქ. ეს კელთა რომ დავხატე, დასაბამითან იყო აქამდინ ვსნვ, ქრისტეს აქეთ ჩემთ, ქართული ქორონიკონი ჯდებოდა უღვ. ამ წელს კელთა მაქვს მარცხენის კელის შუვა თითზედ“ (1 r).

ბ. წრეში ჩახატული დღესასწაულები: გამოსანაგარიშებელი სქემა განმარტებიოთურთ (2 r-v).

2. ბოლოს ერთვის ვახტანგ VI-ის: ა. ლექსი:

„მიწა ვართ კაცი ყოველი, მიწისგან დანაბადია,

სახელოვნება კაცისა კვაშილია განზნევადია,

ბოლო ყოველთა ნაცარი, ვინც ვისმე მწუთა ხადია,

და მაშ რაღას ვსწუხვართ, თუ ცოდვა შემქონდეს განახადია.

საწუთოა, საცთურითა ვარ საქმისა უნაწილო,

მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გაგზე სასაცილო;

ჭაში გზივარ უსაბლოსა, არვირა მყავ ამაცილო,

და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწბილო.

რალა დარჩათ სევდის წამლად, რომ არ მეთქვა სულიერი,

ზღაპრობას შლის ესაია, მცნება არის ზეციერი,

თუცა იყო თემსა ჩვენსა კიეკელსეზი წესიერი,

და ეს მათშიგან ვახტანგ შეერთე სახსოვარი ჩემიერი.

ქება მესმა ბევრთ კაცთაგან აქაური, მრავალფერი,

ტკბილია და მოალერსე მუნებური ყრმა და ბერი,

ვინც მიენდოს, არ უტყუონ, პატივი სცენ შესაფერი

და რა მართლა თქვენს, მატინანეს მათთანც არი დასაწერი“ (47 v):

ბ. ანდერძი: „ოდეს გარდაემატე ცოდვათა ტომსა მას ჩემსა მანასესს, ამისთვის მზავსად მისა მივეცი მე კელთა უცხო თესლთათა. ქრისტეს აქეთ ჩიბი, აპ. კბ წამოველ ტფილისით და ივლისის დ მოველ ისპაანს და აწ ვიმყოფები აქა. დაღაცათუ პატივცემულ ვარ, არამედ მიწა ვარ. წესია ჩემებრთა მწირთა თავისწინობა და ხალვა. ვინათგან ესე ესრეთ არს, უქმად ყოფასა ეუფლების მოწყინება და ვინათგან მოწყინება დედა არს ყოველისა ცოდვისა, ნუუკვე შევსძინო ცოდვა ცოდვასა ზედა, აღვიღე კელთსაქმარად წინამდებარე ესე, უკეთუმცა არს ქართლსა შინა კიეკელისი, კელთა და ქორონიკონი მიზეხითა მრავალნი ვერა

სცნობენ და არცა იცნობება რაოდენი ამაშია წერილ არს; დაღაცათუ სხვანიცა იწიგებოდა საქმენი უქმობისა წამლად; იტყუას მოციქული: შეეწოდეთ ურთიერთსა. თუცა ხმისა მის მსმენელნი ჩემთვის თემთა და ძმათა ჩემთაგანი არავინ არს და განგდებულ ვიქმენ, ვითარცა მკვდარ მიძაგებულნი მათგან, ხოლო მე არავე დამავრალ ვარ შეწევნასა მათსა, რაოდენი რა ძალ-მიც, ხოლო ქელთსაქმარი ჩემნი აქათვან ვერა რომელი ესრეთ შეეწვიან, ვითარ ესე. და ამაღ დავშვერ და აღსწერ-რე და გამოვიღე თვით თავით ჩემით მე, მეფემან ვახტანგ. ვინც გამოიყენოთ. რასმე შენდობას ყოფდეთ ჩემთვის, ქრისტეს აქათ ჩლიგ. ჩემდაცა ჯერ-იყო აღწერა, ნუჟევე რისხვასა შინა არა მოიხსენოს წყალობა, ასე მოიხსენოს საქმე, სამღდელოთაგანი აღარავინ მყვანდეს“ (47 რ-ვ); (ეს ლექსი და ანდერძი გამოქვეყნებული აქვს თ. ჭყონიას საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერის (ფონდი 233/8 № 484) მიხედვით „ლიტერატურულ ძიებან“-ში ტ. VI, 1950 წ., გვ. 288—291).

ანდერძი: (გადამწერისა) „ქ. ეს კინკლოზი ლავრენტიმ ბურნაძემ, დო-უბნელმა ბერმა. მე, ნეძველს გიორგი ლუკაძემს, მეფის კინკლოზიადმ-გარდამაწერინა წელსა ქრისტეს აქეთ ჩლმთ. ვინც წარიკითხედეთ, შენდობას გვი-ბძანებდე. არის ნაწერი ფურცელი 83“ (47 ვ).

მინაწერები: 1. „ქ. იოანე ნებითა ღთისათა და უბიწოდ მშობელისა მისისათა წარემართა ტფილისით რუსეთად წელსა 1792 ქკს უპ, თვესა ოკტომბერსა კმ, დღესა ე, ჟამსა მწუხრისსა, მთავარის რიცხვსა კდ, ზედნადები იდ, ნაკი“ (1V).

2. „ქ. სადიდებულად წმიდისა სამებისა დაიბადა ძე იოანე ლარაძისა პა-ტარა მერკვირი თვესა იანვარსა 1 იზ. ქკს უპა, დღესა ბ, ჟამსა აღამისასა, მთავარის რიცხვს ივ, წელსა ჩღვგ“ (47 ვ).

3. „მეფე გიორგი მეათსამეტე. ძე ირაკლი მეფისა, მიიცვალა წელ-სა ქრისტესით ჩყ, დეკემბერსა კმ, დღესა პარასკევსა ქკს უპმ“ (48 რ).

4. „ჩემი ერთგული გიორგი გარდაიცვალა წელსა ჩყ, მარტსა კზ, დიდი შა-ბათი რა განთენდებოდა, ღთნ საუკუნო განსვენება მისცეს. ქკს ფმ“ (48 ვ).

5. (სინგურით) „ქ. ღთით ყოვლად წმიდის ბარების დეკანოზის გიორგი ლა-რაძის შვილების დაბადება: დავით დაიბადა იენისის (კბ) დღესა კვირიაკესა წრისა დღესა ვესევისასა. მთავარისა რიცხვსა იზ, მეფობასა ცხებულისა მეფისა თეიმურაზისასა. ქალაქსა ტფილისსა, ქკს უშე“.

„ქ. პეტრე და პავლე მარხბივნი დაიბადნენ აგვისტოს მ, ქრისტეს აქეთ-წელსა (ჩღა)“.

„ქ. იოსებ დაიბადა ნოენბერს (გ), ქკს (უნ)“.

„ქ. იოანე დაიბადა მარტის (კზ). ქკს უნგ, მთავარის იზ“.

„ქ. მეორე იოსებ დაიბადა ნოენბერს (თ), ქკს აქეთსა წელსა ჩღაზ, მთავარ-ის ლ“.

„ქ. მეორე პეტრე დაიბადა იანვარს(კგ), კლიმიობას, მთავარისა რიცხვსა (თ), მეფობასა კეთილმსახურისა მეფისა ირაკლისასა, ქალაქსა ტფილისი-სასა ქკს აქეთსა წელსა (ჩღო) ქკს (უნმ)“.

„ქ. ნინა დაიბადა იელისის (რე), დღესა კვირიაკესა, ქკს (უგ), მთავარის კზ“ (49 რ).

6. „ქ. სადიდებულად წმიდისა სამებისა, დაიბადა შესაკუთრებული მამისა თეი-სისა იოანე ლარაძისა ძისა, ბარების ეკკლეუსის დეკანოზის გიორგი ლა-რაძისა პატარა, ახლად ფუნჩილი პაატა, მეფედ ყოფასა მეფის ირაკლი მეორისასა, თთვესა იენისას“ (თავზედ აწერია „მკათათვესას“). „(გ), წელსა ჩლპ, ქკს უოგ, მთავარის ა“ (49 რ).

7. „ქ. ბატონის შვილი ვახტანგ მიიცვალა ყვავილითა ფებერლის ა-რიცხვსა, ქკს აქეთ ჩღა. ქართულსა ქორონიკონსა უმმ. დღესა გ.“ (49 ვ).

8. „ქ. ბატონი ბანგუა მიიცვალა იელისის კთ, დღესა შაბათსა, ჟამსა განთი-ლისასა, ქრისტეს აქეთ წელსა ჩღვგ, ქკს უნდ“ (49 ვ).

9. „ქ. თამარი მიიცვალა იანვარს კბ, ქკს უნვ“ (49 ვ).

10. „ქ. ქეთევან მელიქის რძალი მიიცვალა მარტის იმ, ქკს უნვ“ (49 ვ).

11. „ქ. მელიქის შვილი გიორგი და იოანე მოსწყდნ ლევთაგან-იელისის კბ, ქკს უაე“ (49 ვ).

12. „ქ. რევაზ სარდალი მიიცვალა ნოემბერს კგ, ქკს უნვ“ (49 ვ).

13. ქ. „დიმიტრი ყაფლანისშვილი მოიკლა ლეკთაგან იენისის მ.“ „ქკს უფ“ (49 v).
14. „ქ. მეითარი იოანე მიიცვალა ივლისის ვ. ქკს უფ“ (49 v).
15. „ქ. იოანე ჩაჩიკაშვილი მიიცვალა იენისის მ, ქკს უფ“ (49 v).
16. „ქ. პატიოსანი მღუდელი ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ შიიცივალა წელსა ჩყი, მარტის ა, ქკს უფ“ (49 v).
17. „ქ. ხარების ეკლესიას მიყვეს ხელი დასაქცევად რუსთ წელს ჩყი, მარტის ა“ (49 v).
18. „ქ. ნეტარად ხსენებული მეფის თეიმურაზის ასული ანნა ბატონიშვილი მიიცვალა დეკემბერს (დ), ქკს უფ“ (50 r).
19. „თავადი ჯანდიერი ველისციხის მოურავი სუმეონ მიიცვალა დღესა ოთხშაბათს, თვესა ივლის მ, წელსა ჩყი“ (50 r).
20. „ქ. დიდის ეგროსის ჰალაში ჩვენის სასახლისა და საყდრის დაწერილობა არის აგურის ლორფინზედ. იქ მოძებნეთ სლ<sup>ის</sup> წის მისავალსა წინ მოწამე“ (50 r).
21. „ქ. ხორეშან დაიბადა დეკემბრის თ, ქრისტეს აქეთ წელსა ჩლდ“ (50 r).
22. „ქ. მეფის ირაკლის ასული ქეთევან და იმისი სძალი ივლონის მეუღლე წარვიდნენ რუსეთსა დღესა კვრიაკესა პირველსა, თვედრობისასა მარხუთასა, წელსა ჩყი, ქკს უფ“ (50 r).

675)

1401

## ოთხთავი (ფრაგმენტები). XII—XIII

9 ფ.; 23 × 18; ეტრათი; უყდო, დაშლილი, ფრაგმენტები; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; ტექსტი 5 v-ზე გადასულია და არ იკითხება; [XII—XIII]; დაუწერელია: 2 r, 5 r.

[ოთხთავი]. ფრაგმენტები: ა) კამარა 2 ფურცლად (1 v, 2 v); ბ) სამი მახარებლის სურათი: მათე (3 v), მარკოზი (4 v), ლუკა (5 v), გ) სახარების წაკითხავების ნუსხა-საძიებელი (6 r—9 r).

შენიშვნა: ხელნაწერი დაბრუნებულია სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

მიწვევები: „როც ვკითხვიდეთ უფროსსა, უმცროსისაგან ედვას პატივი და უმცროსთა უფროსისაგან ედვას პატივი. თომელმანცა ესე წიგნი სიმრუდითა გავტებოთ, პატრონი და ქვეი ცალკე დაგრაზომოდეს და ნამულისგან და სახლისაგან გამოსრული იყოს და პატრონსა შემცოდე...“ (1 r).

2. „ქ. ესე საამაღლებო არის და აწ ესე საღთისმშობლოდ პატრონის კეკელუცასა სულისათვის ერთი ზოზა, ერთი ცხური და მისი პური და ღვინო და სანთელი, და თუ ვინ მოუშალოთ, ღწ მისად და ჩემად. გიკითხოს“ (4 r).

3. „ქ. ბერებისათვის სასენაკოდ და სალოცურად გაგუიჩენია ათი კოკა ღვინო და რვა გუერდი პური სრული. ნუ ვინ მოუშლით ღთისადაღლსა და ამ ჯუარცმის ხატსა“ (4 r).

4. „მისი ამა სოფელსა და მას საუკუნოსა აწ ორად ზოზად და ორად ცხურად შემეძინა. ვინცა დაგაკლოს და წესი არა ქნას. შენ მას ჰკითხე შენით რისხვითა. ჩვენ არა ოდეს დაგაკლებთ, შენმან მაღლმან. ერთი ზოზა და ერთი ცხური და მისი სანთელი ახლად შეუმატე ბატონის კეკელუცას სულისათვის, ნუ ვინ, მოუშლით...“ (4 r).

5. (ნუსხური): „ოთხთავი თავნო სახრება, შეიწყალე სლი შალღესა, ვახტნგის შლისა“.

6. „ქ. არის მონასტერს ხუთი ... ხატი, ოცდაექვსი სხვილი მოქედილი ხატი. არის ხატს ზედან ოცდათერთმეტი ... კანდელი ვერცხლისა. და ერთი კიქისა. ერთი ბარძიმი ვერცხლისა. კამარაი ვერცხლისა. თეფში ვერცხლისა, სამი სიწ-

მინდისა, სამას... ხუთი სასანთლე, ორი სურაი, ერთი კოდი, ერთი მაშრაბი ჭიქისა-  
ერთი თეფში ჭიქისა. ერთი მაშრაბი და ერთი... .. ორი თეფში ბურსულის... ერთი...  
დიდი ბელქაში სპილენძისა... სამი... .. საცეცხური ვერცხლისა, ერთი ... ..  
ერთი მარხუანი, პალაკლიტონი ერთი... .. ოქული, ერთი სვინაქსარი ... .. ჯუარ  
ცმის საკითხავი... .. მეტეხისა მთავარ... .. ბასილსა დამიწვრია“ (9 v).

იხ. აგრეთვე მინაწერები: 3 r, 7 v, 9 v.

(676)

1407

## ლოცვა ხნეულისა. XIX

1 ფ.; 21,2 × 17; მოლურჯო ფერის ქაღალდი; დახიანებული და დალაქავებუ-  
ლი; უყდო; მხედრული: (XIX ს.), ჭვირნიშანი აქეს.

[ლოცვა ხნეულისა].— „მკურნალო სულთა და ჯორცთაო, ვედრე-  
ბითითა. შემუსრვილითა გულითა შეგივრდებით შენ და სულთქმით გიგა-  
ლობთ...“ 1 r-v.

მინაწერი: „ესა წიგნი გაბრიელს ბერს მიერთვას, ი. ფ.“ (1 r).

(677)

1408

## კრებულბ. 1823

26 ფ.; 22 × 18; ქაღალდი (ლურჯი ფერის, დაცვეთილი); უყდო, დაშლილი,  
ნაკლული; მხედრული: 1823 წ. (11 v), ჭვირნიშანი აქეს; დაუწვრელია: 8 v.

1. [ლექსი იობზე]. „... იობ იყო მღვთის მლოცავი, აქა ჰყვანდა-  
მრავლის გზისა,

მეტის-მეტი სიმართლითა თავზე ოქროს თმა ესხმისა...“ 1 r—2 r.

2. [ამბავი ჯუმჯუმ ქელმწიფისა]. „ესე ანბავი ჯუმჯუმ ქელ-  
მწიფე დიდისა მდიდრისა. ჯერ ჯორციელობისა მოყვარე იყო, არც ღმერთი  
იცოდა, არც მოძღვარი“... 2 r—11 v.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის ანდერძი: „დაიწვრა ესე წიგნი... კაცთათვის.  
დამწერს ღმერთთან უშველოს. დაიწვრა ქრისტეშობის იგ-სა, ქქს ფია, წელსა  
ჩუკგ-სა“

3. [მანანას თქმულნი შაირნი].

„[ევა] გარდახდა მცნებასა, ჭამა ურჩივის ხილია,  
წაშლო, ადამ მიაართო, ნახე როგორი ტკბილია...“ 12 r.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის, ალბათ, გადამწერის მიერ მიწერილი სტროფი:

„ეინც ამისი ძალი შეიტყოთ, ნურავინ გაიკმარებთა,  
თუ გულით მოვიწადინე, მეც ლექს დავაწყოთ ხანებსა.

ესე წერილი დასრულდა დღე იანვრის ცამეტსა

ქორთონიკოსაც მოუხსომ ფარსა, ინსა და ანებსა“.

4. [ხილთ-გაბრჭობა] „ქ. ახლად გამოღება ლექსისა სალაყბო რდა-  
შესაქცეველი ხილთ-გაბრჭობა მოსკოვს დაღელი ჭაბუკაშვილი.  
გიორგისაგან.

მაშინ ვთქვი, ოდეს მოსკოვსა ვიყავ სენთაგან ვნებული,  
ნალევლმა ფიქრმა მიმწურა, ვიყავ გულ-ცეცხლმოკიდებული,

წამლად ვარჩიე ეს საქმე, ვიყავ-რა შეწუხებული,

და ეგები რამე მეკურნოს, სევდაზედ ვიქმნა შევებული...“ 19 v.

წყდება: „... ღვინისა სმულნი მრავალნი გონგაყოფილი ჭკვისაგან,  
და ეგები ვინმე გენახოსთ გასვრილიყოს ლაპისაგან.  
ზღმარტლმა...“

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს: „Описание,“ т. II  
გვ. 389—390.

(678)

1409 ა

## აღსარების წიგნი. XIX

7 ფ.; 17,9 × 11; გახუნებული ლურჯი ქაღალდი; უყდო; ფ. 1 მოვარდნილია;  
მხედრული; (XIX ს.); დაუწერელია: 7 v.

[აღსარების წიგნი]. „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, რომელსა  
ნებაეს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებისა ჭეშმარიტებასა მოსვლა.  
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ...“ 1 v—7 r.

მინაწერი: „წერა-კითხვის საზოგადოებას ი. ფ.“ (1 r)

1409 ბ

## აღსარების წიგნი. XIX

7 ფ.; 17,5 × 10,8; გახუნებული ლურჯი ფერის ქაღალდი; უყდო; დაშლილი,  
აკლია 6-სა და 7 ფურცლებს შორის; მხედრული; [XIX ს]; გადამწერი: ოქროაძე  
დიმიტრი (7 v).

[აღსარების წიგნი]. „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, რომელსა  
ნებაეს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოს-  
ლუა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ...“ 1 r—7 r.

მინაწერები (ტექსტის ხელით): 1. „იოანეს მღვდლისა ვარ, თუ წამიღო  
ვინმე, ღწ ანმარნეს სიგარძესა შინა დღეთასა, აჰინ და კიოიღვისონ“ (7 v).

2. „კარგი რო დაგიწერე, განა, კარგს ტყავებს გამომიგზავნი ბატენისას ან ხუთ-  
სა და ან ექვს. თალ... და თქვენებს ყველას წოკითხუა ნოგახსენეთ, ოქროაძე  
მღვდელი დიმიტრი“ (7 v).

(679)

1410

## ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. XIX

56 ფ.; 22,5 × 17,6; ქაღალდი, დალაქავებული და დაზიანებული: ფ. ფ. 52—53  
გახეულია; უყდო; ნაკული; ამოცვენილია ფ. ფ.: 53—56; მხედრული, დასაწყისები  
სინგურით; [XIX ს.], ჭვირნიშანი აქვს.

[ვახტანგ VI. სამართლის წიგნი]. „... ს, და უბრალო იქნების.  
მათ იციან და მათმან სულმან და მან საუკუნომან. გ. პირველ ესე, რომე  
მოსამართლე...“ (მუხ. ბ), 1 r—54 v.

წყდება: „... ხვ. თუ დიდებულმა და სხუა თავადმან, გინა აზნაურმან  
ერთი მეორეს ჯოხით ან მარახით თავი გაუხეთქოს, მისი საკმე ასრე იქნას,  
თუ დიად დიდი დაკრულობა ქონდეს; რომ ან დიდად აჩნდეს, ან იმითი დი-  
დი სნეულემა გარდახთოდეს, ის გამონახეთ ბჭეთ კაცთაგან...“

- შენიშვნა: 1. ბოლოში ერთის ხანდუკი. 55 რ—56 ვ.  
 2. ხელნაწერის კიდებზე გვიან გაუკეთებიათ მინაწერები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ მუხლის შინაარსზე.  
 3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს, იხ. „Описание“, т. II, вып. 1—4. 1906—1912 г. გვ. 624.

(680)

1411 ა

## წმიდის გიორგის პარაკლისი. XIX

16 ფ.; 18 × 11,2; ქალაღი, გაყვითლებული; უყდო; მხედრული; [XIX ს.], კვირ-ნიშანი აქვს; დაუწერელია 16 ვ.

„წმიდის გიორგის პარაკლისი. მღუდელმან: კურთხეულ-არს. შკითხველმან: ამინ, უკეთუ ამალეებამდის ენებოს—ქრისტე აღდგა, სამ-გზის...“ 1 რ—16 რ.

1411 ბ

## წმიდის გიორგის პარაკლისი. XVIII—XIX

8 ფ.; 18 × 11; ქალაღი, გაყვითლებული; უყდო, თავ-ბოლონაკლული; ფ. 7,8 ამოცვენილია; მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVIII—XIX ს.].

[წმიდის გიორგის პარაკლისი]. „... წერა, ღირს მყვენ ლოც-ვითა შენითა. ა. დიდებით დიდებულო, ღვი ბრწყინვალეო. დედოფალო მა-რიამ, წრისა მოწამისა ლოცვითა დიდებისა შენისა ხილვად ღირს გვიჩინე...“ 1 რ—8 ვ.

წყდება: „... ოხითა შე...“

შენიშვნა: ბოლო გვერდი (8 ვ) ძნელად იკითხება.

(681)

1412

## საეკლესიო კალენდარი. XIX

8 ფ.; 15,6 × 10,5; ლურჯი ფერის ქალაღი. დალაქავებული; უყდო, თავ-ბოლო-ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]. კვირნიშანი აქვს; შემოწირულია ფურცელამისაგან

[საეკლესიო კალენდარი]. „... აღდგომას უკან ორმოცდაცხრა დღე დასთვალე, ყველიერის ღამე იქნება. იმას უკან სწორი, ჯორცის აღების ღამე იქნება...“ 1 რ—8 ვ.

წყდება: „... ქორნიკონს ფ, ნაკი, ზედნადები ოცდახუთი, შობა უფლისა-ორშაბათს, დიდი აღება...“

მინაწერი: „წერა-კითხვის საზოგადოებას ფურცელამისაგან“

(682)

1413

## ქალ-ვაჟიანი. XIX

16 ფ.; 17 × 11; ქალაღი (თეთრი და ლურჯი ფერის); უყდო; მხედრული [XIX].

[ქალ-ვაჟიანი] „ერთი ხემწიფე იყო მდიდარი, მრავლის მქონებელი. და მოხუცებულნი იყნენ ცოლი და ქმარი...“ 1 ვ—16 ვ.

თავდება: „... ის ქალი ცოლათ შეირთო ყრმამა, დედაცა დაიხსნა და მამაც დაიხსნა ყრმამა, დიალ დიდათ გამდიდრდა“.

(683)

1414

## თარგმანი საუფლო ლოცვისა. 1820

12 ფ.; 17,5 × 11; ქალაღი ლურჯი ფერისა; უყდო; მხედრული, სათაური სინგურით; 1820 წ. (10 ვ); გადაწერი: მღვდელი დიმიტრი ოქროაშვილი (10 ვ); დაუწერილია: 1 v, 1 r—12 v.

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ. მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა. ჰოი, მამაო მოწყალეებათაო და ღთო ყოელისა ნუგეშინის-ცემისაო“... 2 r—10 v.

ანდერძი: „ალიწერა მისის 12 დღეს. 1820 წელსა ჟელითა დიმიტრი მღვდლის ოქროაშვილისათა“ (10 ვ).

მინაწერი: „წერა-კითხვის საზოგადოებას ისაია ფურცელადისაგან. 27 ივლის[ს] 1888 წ.“ (1 r).

(684)

1415

## კარაბადინი. XIX

24 ფ.; 17 × 11,5; ქალაღი ლურჯი ფერისა, დალაქაგებული; უყდო; მხედრული; [XIX].

[კარაბადინი] „ქ. კარაბადინი მართალი და გამოცდილი და ჭეშმარიტი, რომც ახსენა ღმერთი; თუ თმის ამოსულა არ გინდოდეს, თეთრი ღამურა დასწვი...“ 1 v—24 r.

თავდება: „... ვისაც შარდი შეკრული ქონდეს—კაქბის სკინტლი მოატინე, წმინდათ დანაყ და წყლით დაალევინე“.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს იხ. „Описание“, т. I. გვ. 610—611.

მინაწერი: „კარაბადინი ეფემია ჩომხვისა“ (1 r).

(685)

1416

## შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა. 1819

10 ფ.; 17,5 × 11; ქალაღი, ლურჯი ფერისა; უყდო; მხედრული; 1819 წ. (10 r); გადაწერი: მღვდელი დიმიტრი ოქროაშვილი; დაუწერილია: 1 v.

[შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა]. „უპირველესი ყოველთა შვილთა მომაკვდინებელთა ცოდვთა ესე არს. ამპარტავენება...“ 2 r—10 r.

ანდერძი: „ალიწერა დიმიტრი მღვდლის ოქროაშვილისაგან 1819 წელსა, ოკტომბრის 9 დღესა. მათს პატიოსნებას უფალს იოსებ მღვდელს ფურცელადეს მიერთვას უმდაბლესად“ (10 r).

მინაწერები: 1. „წერა-კითხვის საზოგადოებას ისაია ფურცელადისაგან“ 1 r);

2. „ქალო ნახო და ღამაზო, კეკლუცო სანდომიანო“ (10 v).



(686)

1417

## მოძღვრება ეკლესიის მნათეთათვის. XIX

7 ფ.; 21,7 × 17; ქალაღი (დალაქავებული); უყდო; მხედრული; [XIX]; გადამ-  
წერი: გორის ბლადოჩინი იესე გარსევანოვი; მთარგმნელი: იერონიმე ალექსიევი  
(7 r); დაუწერელია: 1 r-v, 7 v.

[მოძღვრება ეკკლესიის მნათეთათვის]. — „ა. მნათე არს ჰრწმუ-  
ნებული ეკკლესიის მრევლთა, აღმორჩეული რიცხვისაგან მათისა...“ 2 r — 6 v.

ანდერძი: „ნამდვილითგან თანასწორედ არს თარგმნილი კოლლექცის სეკლატრის  
იერონიმე ალექსიევისაგან. გორის ბლადოჩინი იესე მღვდელი გარ-  
სევანოვი“ (7 r).

მინაწერი: „წერა-კითხვის საზოგადოებას. ი. ფ“ (2 r)

(687)

1418

## რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (ტრაგმენტები). XVII—XVIII

10 ფ.; 26,9 × 19,7; ქალაღი; ფრაგმენტები; მხედრული, სათაურები და სტრო-  
ფების დასაწყისები სინგურით; [XVII—XVIII], კვირნიშანი აქეს.

[რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი].

„... ზარი გაისმა, შემოკრბეს ქალაქისა ერნი სრულად,  
იქით აქათ იჯრებოდეს, უჭურიტოთო ამას სრულად,  
ზოგნი ნდომით შეფრთინვიდეს, ზოგნი იყუნეს სულწასულად,  
და მათთა ცოლთა მოიძულეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად...“

1 r — 10 v.

წყდება: „... მოიღეს, ტანსა ჩააცუეს შესამოსელი ტანისა,  
მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თუალისა,  
დაადგეს თავსა გუირგუინი, ერთობილისა ლალისა,  
და მუნ ვარდსა ფერი აშუენებს ბროლისა გამჭურვალისა...“

შენიშვნა: ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წ. გამოცემის მიხედვით შეიცავს  
1075 — 1125 და 1153 — 1187 სტროფებს.

(688)

1419

## ქართული ენის გრამატიკა. 1828

12 ფ.; 22 × 17,5; ქალაღი (ლურჯი ფერის, დაზიანებული. 1 და 6 ფურცლის  
მეოთხედიან დარჩენილი); უყდო, თავნაკლული; მხედრული (სათაურები და დასა-  
წყისები ასომთავრულით); 1828 (11 r), კვირნიშანი აქეს; დაუწერელია: 11 v — 12 v;  
შემოწირულია ი. ფურცელაძის მიერ.

[ქართული ენის გრამატიკა]. „... სხვსა და სხვსა პირისა, ანუ  
ნიეთისანი დაიდებიან სიტყ... თვნიერ კავშირისა...“ 1 r — 11 r.

ანდერძი: „ჩუკუ-სა წელსა, თიბათვის გ-სა დღესა აღწერილ არს ... ძეს მიერ“  
(11 r).

მინაწერი: „წერა-კითხვის საზოგადოებას ი. ფურცელაძისაგან“ (3 r).

(689)

1420

## ქართული ენის გრამატიკა. XIX

15 ფ.; 21,5 × 18; ქალაღი (თეთრი და მწვანე ფერის, კუჭყიანი); უყდო; მხედ-  
რული; [XIX ს.]; დაუწერელია: 9 v, 12 r — 13 v.

13. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

[ქართული ენის გრამატიკა]. „ლექსთხზულება არს მეორე ნაწილი ღრამატიკისა. ლექსთხზულება არს მეორე ნაწილი ღრამატიკისა, რომელიცა ასწავებს კანონიერსა შერთებასა ლექსთასა...“ 2r—11r.

მინაწერები: 1r-v, 14r—15v.

(690)

1421

### ქანლისი. ველისარი. 1848

87 ფ.; 21,3 × 18; ქალაღი; წითელი ფერის მუყაოს ყდა, ყუა არა აქვს; მხედრული; დაწერილია მთარგმნელის, დავით ციციანოვის ხელით (85 v); 1848 წ.(85v); დაუწერელია: 1 v, 2v, 3v, 86r—87v.

[ქანლისი]. „ველისარია. თავი ა. ეპა საღმრთოო მყუდროებაო ამის უღაბნოსაო! ვერა რაჲმე შეიძლებს აღშფოთებასა შენსა...“ 4r—85v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. წარწერა: „ველისარია, შეთხზული უფალს ქანლისისა მიერ. თარგმნილი და მეორედ გამართული და გარდამოცემული ნაწილი ბირჟული, მოსკოვის, ტიბოლრაფიასა შინა სიმეონ სელივანოვისასა, 1821. ხოლო მეორედ თარგმნილი თავადის დავით ევსტათის ძის, თანასკენ ტელ-ციციანოვისა მიერ რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა“ (2r).

ბ. „მონაკვეთი წინასიტყუაობისა უფალს ქანლისისა“ (3r).

2. ტექსტი მთარგმნელის—დავით ციციანოვის მიერ ფანქრითა ნასწორები.

ანდერძი: „აღსწერე განჯორციელებიდან სიტყუესა(!) ღისა წელსა 1848-სა, თთუშა ოკდონბერსა 16-სა დღესა. დავით ციციანოვი“ (85v).

მინაწერები: 1. Из книг князя Давыда Цицианова“ (ყდის საჯავი ფურცელი).

2. „წიგნთაგან თავადის დავით ციციანოვისათა“ (ყდის საჯავი ფურცელი).

ინ. აგრეთვე მინაწერები 1r.

(691)

1422

### ავგაროზი. XIX

4 ფ.; 21,5 × 17; ქალაღი; უყდო; მხედრული; სათაურები ასომთავრულით [XIX]; დაშლილი;

„მოთხრობა კელითუქმნელისა ხატისა. — იყო ვინმე მთავარი ერთი სახელით ავგაროზ, რომელი სცხოვრებდა ქალაქსა ედესიას, და იყო იგი კერბთმსახური. ხოლო შემთხვევამან სოფლისამან აწვია მას სენი წყლით მანკიერებისა, რომლისა განკურნებად ვერა რომელმანმე მკურნალმან ვერ უძლო...“ 1r—4v.

შენიშვნა: შეიცავს ავგაროზის ეპისტოლეს, ქრისტეს ეპისტოლეს და ბექდამბის ახსნა-განმარტებას.

(692)

1423

### კრებული. XIX

16 ფ.; 20,3 × 13,2; თეთრი და მწვანე ქალაღი; უყდო; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; [XIX ს.];

1. „სტიხნი ქრისტესმობისათჳს. — მხიარულებით მთურალ-საგონები სულით-ყუ სენა აღცამფრინები...“ 1 რ — 7 რ.

შენიშვნა: 2 ვ-ზე ხვეულად მიწერილია „დავით“.

2. „სტიხნი ბედნიერებასა ზედა, თქმულნი დერჯავინის მიერ. — მარად საქებო, პატიესადებო, სრულისა სოფლის სათავაზებო, ბედნიერებაე! ყოვლის შემძლებო, ყოველთა მიერ მოსაწონებო...“ 7 ვ.—9 რ.

3. „სიტყუა, თქმული საქართუშლოს ეგზარხის ევგენი არხიეპისკოპოსის მიერ, ოდეს იმპერატორი ნიკოლაოს ჩუღუ-ს წელსა მოსრული საქართუშლოდ შევიდა სიონის სობოროსა შინა. — ყოვლად უმოწყაელსო ჯელმწიფეე! ძველიცა ივერია ღირს იქმნა ხილვად შენ პირველისა როსის გზრჯუნოსანთავანისა. ეჰა, ვითარ სიხარულევან არს და რაბამ აღსატყინებელ ჩნთეს მოსულად შენი...“ 9 ვ — 10 ვ.

4. „სიტყუა, თქმული მოსკოვის მიტროპოლიტის პლატონის მიერ 1801-ს წელსა, ჟამსა იმპერატორის ალექსანდრეს დაგზრჯუნებისასა. — ესრეთცა ღირს გუყუნა ჩნ ღმერთმან ხილვად მეფისა თჳსისა გზრჯუნოსანი-სა...“ 10 ვ — 16 ვ.

(693)

1424

### პავლე პირველის სიკვდილი. XIX

16 ფ; 17,5 × 10,7; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ბოლნაქული; მხედრული; [XIX];

„სიკუდილი პავლე პირველის იმპერატორისა. — შეუდგა რა მემკვდრედ პავლე პირველი ეკატერინას, პირველი ჰაზრიყოველთა მათ იყო, რომელთაცა კეთილად უწყოდნენ რუსეთის ისტორია და ბუნებითნი ვითარებანი ახლისა მის ჯელმწიფისანი...“ 1 რ — 16 ვ.

წყდება „... იმპერატრიცამან მოითხოვა ერთი სტაქანი წყალი, ერთმან უკუშ სალდათმან გამოსტაცა ჯელთავან მსახურსა, რომელსაცა მოჰქონდა...“

(694)

1425

### უბის კალენდარი სიმრთელისა. 1852

24 ფ.; 22 × 17,8; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1852 წ. (1 რ); დაუწერელია 24 რ.

„უბის კალენდარი სიმრთელისა 1852 წლისა ანუ სახალხო წამლობა და აფთეკა. — ნაწილი პირუშლი. — თეორეტიკებრი გამოცხადება ჩუშნთა სნეულებათა მიზეზისანი და საზოგადოთა და დიდიენებრთა საშუალებათა, ჯმარებულთა წინადასაცუშლად და წამლობისათჳს...“ 9 რ — 23 ვ.

შენიშვნა: წინ უძღვის; „წინასწარი მოთხოვა ანუ პირველ დაწყებითნი შენიშვნანი. — § 1. დიდიენა (უხარებლიანესი) არს მსწავლა სიმრთელისა თჳსის დაცუჳსა. მკურნალება არს მსწავლა - აღდგინება დაკარგულისა ანუ ჟახსნილის სიმრთელისა...“ (1 რ — 8 ვ.)

(695)

1426

## განზრახვანი. XIX

134 ფ.; 21,5 × 17,4; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული (ზოგიერთი სა-  
თაური ასომთავრულად); [XIX].

[გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა ნ ი]. — „აღვასრულოთ და დავიწეროთ ესე მზა ცხოვრე-  
ბის წიგნი. განზრახვა პირველი. — რაოდენ მიუცილებელ არს ცოდვილთა კაც-  
თათჳს სინანული. გახსოვდეს, მსოფლიოთა განცხრომათა შინა დანთქმულ-  
სულო ჩემო...“ 1 რ.—134 ვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს ექვს განზრახვას.

2. ტექსტი ნასწორობია.

(696)

1427

## საგალობლები. XIX

7 ფ.; 22,2 × 17; ლურჯი ქალაღი; უყდო; დაშლილი, თავნაკული; მხედრუ-  
ლი; აქვს კვირნიშანი — 1810 წ. (ფ. 4,6.); [XIX].

[წმ. ევსტათის საგალობელი]. — „... ლისა გამოუცდელად, ში-  
ქალწულო, და შემდგომად შობისა კ'დ გამოსჩნდი მქალწულებელი, რომლი-  
სათვის ვმითა დაუდუმებელითა გიხაროდენსა შენდა, დედოფალო, თვინიერ  
იქვისა გინმობთ სარწმუნოებით. გალობა ე. სძლის პირი...“ 1 რ.—3 ვ.

შენიშვნა: შეიცავს 5—9 გალობებს.

2. „წ'ის გიორგისა გალობა ა. სძლის პირი. — ლეღვათა დაანთქა-  
პირველად ფარაო ეტლებითურთ და აღკურვილნი ძლიერად სპარაზენონი..  
სიტყვამან მამისამან, რომელი განჯორციელდა ჩვენ ცოდვილთათჳს, რომელსა  
უგალობთ: უფალო დიდებულო, დიდებული ხარ შენ...“ 4 რ.—7 ვ.

მინაწერები: 1. „ქ. თექვსმეტს აპრილს მოვიდა აგურის ოსტატრ, ოთხშაბათს  
დღეს“ (2 ვ).

2. „ქ. ოცდახუთს ივნისს მოვიდნენ კალატოხები, ორშაბათს დღეს“ (3 რ.)

3. „მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქდაგი სიტყვიესა მღთისა, განსწავ-  
ლული მახარებელი, ცხოვრებისა წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმარ-  
თლისითა, დედისა მღთისა საკუთარი მოწაფე, ნინა, შევამკოთ დღეს ყოველთა მო-  
ნობითა მეოხი, მზურვალე მცველი, დაუძინებელი...“ (7 ვ).

(697)

1428

## ბარამ-გულანდამიანი. 1862

I + 43 ფ.: 21,1 × 17,4; ქალაღი; უყდო; მხედრული; სათაურები წითელი მელ-  
ნით. რომლის ფერი გადასულია; 1862 წ. (42 ვ); გადამწერი ანდრია დავითი-  
ბეჩატუროვი (42 ვ); დაუწერელია: I v, I r v, 43 r v; თარგმნილია სპარსულიდან  
ვახტანგ მეფის ბრძანებით. (2 რ.) აკინძულია ოთხ რვეულად.

[ბარამ-გულანდამიანი]. — „ქ. კარი პირველი ბარამისა და გუ-  
ლანდამისა პარსულისაგან(!) ქართულად გარდმოთარგმნილი ბრძანებითა  
ქართველ მეფისა ვახტანგისაგან. — იყო ქვეყანასა ურმელთასა ხემ-  
წიფე ქიშვარ სახელოვანი, უკლებელი, მორკმული და სიმდიდრისაგან გა-  
ლაღებული...“ 2 რ.—42 ვ.

შენიშვნა: 1. ტექსტი მოკლე რედაქციისა (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 364, 1941 წ. თბილისი).

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. იხ. Описание ტ. I, გვ. 541—542.

ანდერძი: „ეს წიგნი დაწერა ანდრია დავითიჩ ხეჩატუროვმა. წამკითხველს სანამ ცოცხალი იყვებ, მზიდობა უბრძანეთ და სიკვდილის დროს შენდობა. საწუთრო გარდუბრუნდათ და ამის სოფლისა ბეგარა გარდაიხადეს 1852, წელსა, მარიაშობის თვის 15 დღესა. ეს მათი ანბავი დარჩა მასთანა მოსაგონებლად.“ (42 წ.).

მინაწერი: „ბარამიანი“ (I რ.).

(698)

1429

## შესავალი გრამატიკისა. XIX

22 ფ.; 22,1 × 17,9; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 20 v, 21rv, 22rv.

„შესავალი ღრამმატიკისა. § 1.—ღრამმატიკა არს ჰსწავლა, განშაცხადებელი კანონისა ქართულის ენისა, რომლისაცა სათანადო არს დამარხვად, ვითარცა უბნობათა, ეგრეთჲ წერილთაცა შინა...“ I რ.—20 რ.

შენიშვნა: შეიცავს გრამატიკის მხოლოდ პირველ ნაწილს, ლექსთ-წარმოებას ანუ ეტიმოლოგიას.

(699)

1430

## გეომეტრია. XIX

48 გვ.; 22,2 × 17,5; ქალაღი; უყდო; დაშლილი; აკინბული ორ რვეულად; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 4,45 — 48 გვ.

[გეომეტრია]. „თავი ა. განსაზღვრებანი, აქსიომანი წინადმოუწყებელნი განმარტებანი. საზღუარი პირველი.—§ 1. ღეომეტრია არს ჰსწავლა, რომელიცა გვიჩუშნებს ჩნ თვსებათა განფენილებათასა, და გვასწავებს ჩნ განზომასა ყოვლისა მის, რასაცა აქუს განფენილება...“ 5 — 44 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის: 1. „განმარტება წინადღებათა ღეომეტრიას შინა ხმარებულთა...“ (გვ. 1 — 2).

2. თავფურცელი: „დასაბამითნი საფუძუშლნი ღეომეტრიისანი. განყოფილება პლანიმეტრია“ (გვ. 3).

(700)

1431

## კრებული. XIX

12 ფ.; 22,2 × 17,7; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1842 წ.—კვირნიანი (ფ. 3,11); [XIX ს.]; დაუწერელია 12 v.

1. „რაღმე ძალისათვს მუსიკისა.—მშუშნიერი კმნილება მუსიკის გარმონიისა (გმით შეწყობისა) აწარმოებს გამოუთქმელთა მოქმედებათა...“ I რ.—2 რ.

2. „კეთილ მოქმედება. აღმოსავლეთის მოთხრობა (თარგმნილი ნეგეცურიდამ).—მით ჟამით, ვითარცა მახსოვს მე, შემემთხვნენ ფრიად მრავალნი ჰამბავნი და ცვლილებანი...“ 2 v.—6 v.

3. „საშინელი ძილი. მოთხრობა. — ერთსა შემოდგომისა ცუდ ტაროსიანსა ღამესა, პირველისა უფროს შთანქმული ოცნებათა შინა, ვჯედ მე ტახტსა ზედა...“ 6 v — 9 v.

4. „ოცნება მკნისა მკედრისა. — რაოდენნი სურვილნი არიან მომხსენებელნი ჩემდა, რაოდენნი გრძნობანი, აღმავსებელნი სულისა ჩემისანი მამულისა ჩემისა სიყვარულის ცეცხლითა...“ 10 r — 12 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

(701)

1432

### ღეთისმშობლის მოსწავებანი. XIX

8 ფ.; 21,8 × 17; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1818 წ. — ჰეირნიშანი; [XIX ს.]; დაუწერელია: 4 v — 8 v.

„ყოვლად წისა ღის მშობელისა მარია მისა საიდუმლოთა სახით მოსწავებანი ძველთაგან სამლუდელთა წერილთა. — შექმნა 913... მშვიდობის სახედ. 811 რტოდ ზეთის ხისად...“ 1 r — 4 r.

(702)

1433

### სამოქალაქო დასაბამი სწავლისა. XIX

12 ფ.; 22,3 × 17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.].

„სამოქალაქო დასაბამი ჰსწავლისა. — 1. ყოველი ყრმა იშვების უსწავლელი. 2. მშობელნი თანამდებ არიან ასწაონ შუკლთა. 3. კაცსა აქვს ბუნება კეთილისა მიერ მინიჭებული...“ 1 r — 12 v.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს 209 მუხლს. თითოეული მუხლი, უმთავრესად, ერთი ან ორი მოკლე წინადადებისაგან შედგება.

(703)

1434

### ჰომიროსი. ილიადა. XIX

16 ფ.; 22 × 16,7; ლურჯი ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული; სათაურები-ასომთავრულით; [XIX ს.]; ჰეირნიშანი აქვს; აკინძულია ორ რვეულად; მეორე რვეული დაშლილია.

«ღომერის ილიადა». გალობა ა. — აღმოსთქ ღმერთაგ ძღვევა-შემოსილი პილოზისა ძის ახილესისა გულისწყრომა...“ 1 r — 16 v.

წყდება: „... და განიყოს ორად მახვილისაგან და დაეცნენ მრავალნი გარემომისსა თვსტომნი ქეიშასა ზედან გამბძარველნი მიწათა ბაგეთა მიერ...“

შენიშვნა: შეიცავს პირველ და მეორე გალობას.

(704)

1435 ა

### მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. XIX

12 ფ.; 22,2 × 17,5; ქაღალდი; უყდო; აკინძულია ერთ რვეულად; მხედრული; 1819 წ. — ჰეირნიშანი (ფ. 6); [XIX ს.];

„ი. ვილ დელ მ ცეცილიოს. — იშვა ჩყკა, გარდაიცუალა ჩყც-ოზ. ცეცილიოს მეოთხმეტესა წელსა თვისსა ჰასაკისასა წარვიდა კამბრიჩს...“ 1 r — 12 v.

შენიშვნა: 1. შეიცავს ვიღღელმ ცეცილიოსის. იაკობ კრიტიკონის, იუსტლიპსიოსის და ტიხობრადეს შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

2. ტექსტის ყოველ თავს აქვს ანბანური სათვალავი (იე. იმ. ით. და კ).

1435 ბ

## ძველნი ფილოსოფოსნი. XIX

4 ფ.; 22,5 × 18,3; მოციფრო ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; საწყისი ასოები ასომთავრულით: 1804 წ. — კვირნიშანი: [XIX ს.]; დაუწერელია 2 v — 4 v.

„ძუღლნი ფილოსოფოსნი. პლატონ. — პლატონ არს ლექსი ელინებრი და ითარგმანების ვრცელად ანუ ფართოდ...“ 1 r — 2 r.

შენიშვნა: შეიცავს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს პლატონის, არისტოტელეს, პორფირის, პომეროსის, ორფეონის და პროკლეს შესახებ.

1435 გ.

## ანტიკური ხანის მოღვაწეთა გამონათქვამები. XIX

6 ფ.; 22,3 × 17,6; ქალაღი; უყდო; აკინძულია ერთ რვეულად; თავნაკული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 6 r — 7 v.

[ანტიკური ხანის მოღვაწეთა გამონათქვამები]. „... რომელიმე კანოს აღმორჩეულ იყო უზენაეს. რომის მმართველად და იყო ვარისხსა მას შინა მხოლოდ ერთსა დღესა. ბრძენმან ციცერონ ამისთვის პრქვა...“ 1 r — 4 v.

(705)

1436

## ისტორია პირველი მსოფლიო ხაეკლეხიო კრებისა. XIX

6 ფ.; 22,2 × 18,2; მოღურჯო ქალაღი; უყდო; დაშლილი; ნაკული; მხედრული; [XIX ს.].

[ისტორია პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებისა.] „მოთბრობა თითოეულად, თუ ვინა ანუ სადაით იწყო ბოროტმადიდებამან მწუალებელთაგან განთესუად ქრისტიანეთა შორის, რომელთაგან იქმნა შეცთომა ღისმეტყუღლებასა და განგებულებასა შინა და უწყება კრებათათს მწუალებელთასა და ამათ ზედა შეკრებულთა მზდრიცხუღმდა წმიდათა მსოფლიოთა კრებათა და მათ ჟამთასა კეთილმსახურთა იმპერატორთათს...“ 1 r — 6 v.

(706)

1437

## კრებული. XIX

17 ფ.; 22,5 × 17,5; ქალაღი; უყდო; აკინძულია ორ რვეულად; მხედრული; 1841 წ. — კვირნიშანი. (ფ. 14.16); დაუწერელია 16 v, 17 v;

1. „მარხვისათს. — ბრწყინვალისა ამის აწინდელისა დღესასწაულისა და უჩინებულესისა ამის შეკრებილებისა, უფროს ჩვეულებრივისა, რად უკუღ არს მიზეზი...“ 1 r — 8 v.

2. [ქადაგება] „რომელსა სირცხულ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთა ნათესაუსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისმან არცხეინოს მას, ოდეს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოსთა თანა წმიდათა. მრკ. თ. შ. მ. ლმ. — ვინადგან ნათესავი არს მრუშებისა...“ 9 r — 16 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

(707)

1438

## კრებული. XIX

12 ფ.; 21,8 × 17,8; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; აქვს კვირნაშანი; გადანწერი გიორგი (5 r); დაუწერელია 1 r v;

1. [ვარდ-ულბულიანი]. — „... თანა მომღერლად ექმნებოდა. და რა ესევითარი ხმოვანება ყურად იღო, ზეჭირმან ამა ხმაზედ დიდათ ისიამოვნა...“ 2 r — 5 r.

შენიშვნა: 1. ნაწარმოები დაწერილია პროზად.

2. თაენაკლულია.

3. ბოლოში ტექსტის ხელით: „გიორგი“. (5 r).

2. „ბრძოლა ძლიერი კატისაგან სხვადასხვა თავგთა მიმართ, რომელი იქმნა მეფობასა ნადირ შჰაისასა(!). და ლექსად თქმული მოთხრობანი ესე არს მოძღვრის ზაქარიას გაბაონის მიერ. —

ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუვა წინ წამოდგა ნახად კატა, მას მიუგავს თავი ლომსა, სინჯაფს ბეწვი გარდამატა...“ 5 v — 12 v.

წყდება: „... ვეღარ ვიპარავ სასადილოსა, სუღარს მოვიხევევ ძველსა ტილოსა,

და მოლას მიმეცით უცხოდ ზრდილოსა, ქაბას დამმარხოს საწადილოსა მე...“

(708)

1439

## ბესარიონ გაბაშვილი. რძალ-დედამთილიანი. XIX

8 ფ.; 21,8 × 18; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; [XIX]; აქვს კვირნიშანი.

„ამბავი ესე რძალ-დედამთილთ ჩხუბისა, ნათქვამი ლექსად ბესარიონ გაბაშვილის მიერ ქალაქსა ტფილისს. —

ამბავსა ქველსა მოგიხრობ, გულსა ამოდ მლხენელსა.

შეგაქცევთ, ამოთ გახარებთ, ამა ამბისა მსმენელსა...“ 1 r — 8 v.

შენიშვნა: ხელნაწერს ნაბეჭდ ტექსტთან შედარებით აკლია 77 — 101 სტროფები (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თიფურის რედაქციით, გვ. 48—61.).

(709)

1440

## მცნება მამისა ძისა შიშართ. XIX

25 ფ.; 22,3 × 17,8; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; აკინძელია სან რვეულად; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 19 v, 25 r v.



„მცნება მამისა ძისა მიმართ, ყრმა მკედრისა, მიმავლისა სალაშქროდ პირისპირ მტერთა, უცხოებისათჳს სამკედროს წოდებისა და აღსრულებისათჳს ფიცისა. — უსყუარლესო(!) ძეო ჩემო! ესრეთ უკუშ შეხვედ შენ დიდებულსა ასპარეზსა სამკედროს სამახუ რისასა...“ 1 r — 24 v.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

710)

1441 ა

### ქართული ენის გრამატიკა (ფრაგმენტები). XIX

13 ფ.; 22,1 × 17; ქალაღი (ლურჯი, ცისფერი, თეთრი); უყდო. ნაწყვეტები; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; [XIX ს.]; აქვს კვირნიშანი (ფ. 5); დაუწერელია 5 v — 6 v;

[გრამატიკა]. „რიცხვ განიყოფების ორად: მხოლობითად და მრავლობითად. პირი განიყოფება სამად: პირველ პირად, მეორე პირად და მესამე პირად. ბრუნუანი არიან რომელნიმე შვიდნი და რომელნიმე რუანი.

საზღუარი ზმნისა. — ზმნა არს ნაწილი სიტყუსა...“ 1 r — 13 v.

მთავრდება: „... ყოველნი კითხუანი, რომლისანი ძიებისნი ს[ა]თ[ა]-ნადო არიან მ[ი]ხრილ-ყოფად, მაგალ. ვინ ხარ, შენ ილია ხარ. კობ... (დასრულდა, დიდება ღს)! ამინ“.

შენიშვნა: 1. დაწერილია სხვადასხვა ზომის, და ფერის ფურცლებზე, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებს წარმოადგენენ.

2. ხელნაწერს ბოლო გვერდზე დართული აქვს სია უცხო ავტორებისა, (დიონისიოს არიოპაგელი, ათანასე აღექსანდრიელი, ბასილ კესარიელი და სხვ.) და ექვსსტრიქონიანი ტექსტი, რომელიც ასე მთავრდება: „ელისაზედ შვა ითვანე ნათლისმცემელი. ღვთისმშობელმან შვა იესო ქრისტე“.

3. ზოგ ადგილას ტექსტი ნასწორებია.

1441 ბ

### მარკოს ავრელი. საყოფაქცეო ჰსჯა. XIX

6 ფ.; 22,1 × 16,8; ლურჯი ქალაღი; უყდო; ნაკლული, დაშლილი; მხედრული; სათაური ასომთავრულით; [XIX]; აქვს კვირნიშანი; (ფ. 5);

„საყოფაქცეო ჰსჯა მარკოს ავრელესი, ჰრომის კეისრისა. წიგნი პირველი. პაპისა ჩემისა ვერ უსისაგან ვისწავე სიმდაბლე და უმურველობა...“ 1 r — 6 v.

წყდება: „... გარნა არა ახალი იძულება, იძულება, რომელი ითხოვს დიდსა და...“

1441 გ

### ალგებრის სახელმძღვანელო (ფრაგმენტი).

XIX

4 ფ.; 21,7 × 17; ლურჯი ქალაღი; უყდო; ფრაგმენტი; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; [XIX]; აქვს კვირნიშანი;

[ალგებრის სახელმძღვანელო]. „თავი პირველი. საზოგადო მოგონება ალგებრისათჳს. § 1. — სიდიდედ ანუ რაოდენობად ეწოდების იგი ყოველი, რააცა განდიდებად გინა დამკირებად ძალუძსთ...“ 1 r — 4 v.

წყდება: „... თავი მესამე. განმრავლებისათჳს მარტივთა რაოდენობათა-  
§ 23...“ (გადახაზულია).

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

## 1441 დ

მიუცილებლობითისა მსხვერპლის შეწირვისათვის. XIX

6 ფ.; 22 × 16,7; ლურჯი ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია.  
4 r — 6 v.

„მიუცილებლობითისა მსხვერპლის შეწირვისათვის სოველთა საუკუნეთა შინა მგარედ თვითოეულისა კაცისა. § 1. — კაცი შესული თავისა თვისისა ცნობასა შინა, და განმსჯელი შეილის, დროებითის თვისისა ცხოვრებასა შინა მყოფობასა, თანამდებ იქმნების, რათა მიუცილებელად იცნას დამოკიდება თვისისა მყოფობისა...“ 1 r — 3 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ნასწორებია.

2. ტექსტი შეიცავს 1, 2, 4 და 5 პარაგრაფებს.

## 1441 ე

ოთხთავი. (ფრაგმენტი). XIX

6 ფ.; 16,99 × 11; ლურჯი ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაურები ნუსხურად;  
[XIX].

„სახარება იოანესი. თავი პირველი. — პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღის თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი...“ 1 r — 4 r.

შენიშვნა: ხელნაწერს ერთვის ბოლონაკლული ეპისტოლე ავგაროზ მთავრისა.  
(4 r — 6 v.)

## 1441 ვ

ჰომიროსი. ილიადა. (ნაწყვეტი). XIX

4 ფ.; 22 × 17; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ფრაგმენტი; მხედრული,  
სათაური ასომთავრულით; [XIX]; დაუწერელია: 3 r v, 4 v.

[ჰომიროსი. ილიადა]. — „ესრეთ ჰსთქუა: გარნა ვერ აღუსრულა ესე იუპიტერმან; მიიღო რა მსხუშრპლი იგი მისგან, განუმრავლა მას დიდი შრომა...“ 1 r — 4 r.

წყდება: „... მხედრობასა მათსა აქუნდა ოცდაათნი ხომალდნი...“

## 1441 ზ

ისტორია მარციმირისა. (ფრაგმენტი). XIX

2 ფ.; 22 × 16,8; ქაღალდი; უყდო; ფრაგმენტი; მხედრული; [XIX];

(ისტორია მარციმირისა) „... გამბედავნი იყვნეთ, მაინც თქვენგან იქ შესულა არ შეიძლება...“ 1 r — 2 v.

წყდება: „... რომლის მავიერადაც დამთმობელი მოგცემ საუკუნოდ-გვირგვინსა ჩემსა, რომელიცა იქმნება მემკვიდრე ჩემის...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ზედა არშიაზე სწერია: „ისტორია მარცმირისა.“ (1 v — 2 r).

## 1441 ო

## მილტონი. დაკარგული სამოთხე. XIX

18 ფ.: 21,7 × 16,6; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; [XIX];

[მილტონი დაკარგული სამოთხე] „... საშუალო მრავალრიცხოვანისა შეკრებილებისა(!) მიახლოვდა მღელვართა, შუბლსა ზედან მექონის ნახევარმთვართა...“ 1 r — 18 v.

შენიშვნა: ტექსტი არ მისდევს „დაკარგული სამოთხის“ მეორე თარგმანს (შდრ. S — 92).

მინაწერი: 1. ტექსტის ბოლოს: „დასასრული მეორე წიგნისა მილტონის თხზულებისა: დაკარგული სამოთხე“. (18 v.)

## 1441 თ

## კურთხევა მღვდლისა. XIX

4 ფ.: 22 × 17,6; ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაური ასომთავრულით; [XIX]; დაუწერელია 3 r — 4 v.

„კურთხევა მღვდლისა. — ყოვლად ხერუვიმთა გალობისა სრულყოფისა, რომელსა ჯერ-უჩნს მღვდელ-ყოფა, მიიყუანების პროტოდიაკონისაგან ანუ სხუათა რომელთამე დიაკონთაგან...“ 1 r — 2 v.

## 1441 ი

## კაცის შექმნისათვის. XIX

1 ფ.: 34,5 × 21,3; ლურჯი ქაღალდი; ნაწყვეტი; მხედრული; [XIX];

[კაცის შექმნისათვის]. — „... დასასრულ ღმერთმან, ოდესცა კეთილობისა გამო თვისისა განმზადა ყოველნი საჭირონი კაცისათვის, მაშინ იგიცა შექმნა...“ 1 r v.

მთავრდება: „... აჲ აქა პირველყოფილისათვის ანუ მდგომარეობისათვისა შექმნისთვის წინად დაიდების, ხოლო სხვანი შემდგომად“.

(711)

## 1442

## კრებული. XIX

18 ფ.: 22,2 × 17,7; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1842 წ. — ქვირინიანი (ფ. 16); დაუწერელია; 8 v, 18 v; აკინძულია ოთხ რვეულად, რომელთაგან ოთხთეული სხვადასხვა რაოდენობის ფურცლებს შეიცავს; [XIX ს.].

1. „დღეს ყოვლად ბრწყინვალე ეკლესია ჰყოფს დღესასწაულობასა, და სიხარულევანსა აღთქმასა წინადაგვიდებს...“ 1 r — 4 v.

2. „დღესა ამას ხარებისასა ეკლესია ღმრისა პრაცხს საფუძემლად და დაწყებად ცხოვრებისა თვისიად და ფრიად შესაბამარს, რათამცა ვუწოდოთა დღესასწაულსა ამას სულიერი გაზაფხული...“ 5 r — 8 r.

3. „რომელსა სირცხვილ უჩნდეს ჩემი და სიტყვათა ჩემთა ნათესავეს ამას მემრუშესა და ცოდვილსა ძემანცა კაცისამან არცხვინოს მას, ოდეს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოსთა თანა წმიდათა. მარკ. 7. 6, მუხ. ლმ.— ვინადგან ნათესავი ამის სიხარულევანის დროესა ამას ცხოვრებასა შინა არს ნათესავი მრუშებისა...“ 9 r — 18 r.

შენიშვნა: 1. უკანასკნელი ტექსტი შეიცავს ორ ერთიდიამავე ქადაგებას. პირველი—9 r — 12 v. მეორე— 13 r — 18 r.

(712)

1443

## კრებული. XIX

6 ფ.; 22 × 17,7; ქალაღი: უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 3 v — 6 v.

1 „აღრიცხუა, შედრგენილი(!) დიდებულისა ევროპიელის ასტრონომოსის ტიხო ბრალოსის მიერ, პოენილი კუნძულსა შინა ვონ-ეტენისასა, მონასტერსა, ქუჯტკირისა ზღუდესა შინა 1600 წელსა...“ 1 r v.

2 „ღრმა ასტრონომოსი, მოწაფე და მოყუასი მარტინ ზადევისა, უცნობი ჰსწავლული, სოფლისადმი ცნობითა თვისითა მივიდოდა. არა არს მრავალი ჟამი ეგვპტესა, ინდიასა, სპარსეთს და კიტაიის საველმწიფოთა შინა...“ 2 r — 3 r.

შენიშვნა: ხელნაწერი ასტრონომიული შინაარსისაა.

(713)

1444

## ვახუშტი. ცხოვრება ქართლისა. 1779

11 ფ.; 19,8 × 15,7; ქალაღი: უყდო; დაშლილი: ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; 1779 წ. (11 r); გადამწერი გოგია (11 r); დაუწერელია: 1 v, 11 v.

„ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა.—ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. აწ ზნეთათჳს ვიწყეთ ძველითგან ახალთამდე საქართველოსათა ზნე ჩვეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა...“ 2 r — 10 v.

წყდება: „...ვინადგან არიან ყოველნი პრისა მეორე ძენი და არცა ერთი ძმა აღექსან დრეს მცხეთის აღმაშენებელის ქვეითამდე. ხოლო კუალად პრწყინვა...“

შენიშვნა: 1. ტექსტის შემადგენლობა. ა. ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი. (ნაკლულია). 2 r — 7 v.

ბ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ფრაგმენტი). 8 r v.

გ. ფრაგმენტები XV. XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. (9 r — 10 v)

2. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. (იხ. Описание, ტ. II, გვ. 673 — 674.).

ანდერძი: „სიტყვაო ღწისაო, შემწყალე მე. ცოდვილი მთავარებისკოპოსის ბესარიონის მონა-სყოფილი(!) გოგია, რომელმან აღვსწერე პირველ სწავლასა შინა ჩემსა ქართლის ცხოვრება ესე თთუშსა აპრილსა 6, ქრისტეს აქათ ჩლოთ, ქართულსა უაზ“ (11 r).

შინაწერები: 1. „ილია აბხაზისა ეს წიგნი ვინც. ნოიპაროს, გაუწყეს(!) პირლთისა საყვარელსა“ (უკანასკნელი სიტყვა გადახაზულია). 1 r.

2. იქვე: „საყვარელო ძმაო ილიავ, თქვენი ქართლის ცხორებ(!) მოგართვით. ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროს, გავათაყ“.

3. აზიანზე. „აქა ხსენება ჩოლოყაშვილისა არის სიტყუე, ჩამატებულება, თორემ იმათხედ დიდგვარნი სხვინი(!)... ბევრ არიან. ამითი უფრო სიტყუე სჩანს ჩომელ მეფის მოლატეს არა თუ მოეკვეთება ცერი, არამედ ასოეულად დაჭრაც ცოტა არის; და ჩოლოყაშვილი ვინ არის. რომ ცერის მეტი არა მოეჭრას რა: ეს ვილაცა დიაკვნის დაწერილი არის და უგუნურისა“ (5 r).

(714)

1445

ჟან ჟაკ რუსო. განსჯა კითხვასა ზედა. 1849

1 + 32 ფ.; 22,3 × 17,6; ქალაღი: უყდო; დაშლილი; მხედრული: 1849 წ. (29 r); გადაწერის ადგილი — ქარელი (29 r). დაუწერელია: 1 r v, 1 v, 29 v — 32 v.

„განსჯა კითხუასა ზედა, აღდგინება ჰსწაულათა და ჯელოვნებათა შეეწეოდა წარმართებასა ქცევათასა. — გამოძიებასა ითხოვს, აღდგინება-ჰსწაულათა და ჯელოვნებათა შეემწე ექმნებოდაა ანუ წარმართებდა ქცევათა...“ 7 r — 29 r.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის: ა. თავდურცელი: „განსჯა. ჯილდოასა-ღირს-ქმნილი დიკონის აკადემისაგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისასა წინადადებული, რამეთუ აღდგინება ჰსწაულათა და ჯელოვნებათა შეეწეოდა წარმართუასა ზნეთასა (ყოფაქცევასა), შეთხზული უფლის ჟან ჟაკ რუსოსს. მიერ, თარგმნილი პავლე პოტემკინის მიერ. მეორედ გამოცემული მოსკოვს, სტანბასა შ-ა ტიპოღრაფის კომპანიისასა, 1787“ (1 r).

ბ. რუსულიდან მთარგმნელის წინასიტყვაობა: „მკითხულთა მიმართ“ (2 r — 5 v).

გ. „წინასიტყუაობა. — ესე არს ერთი თუთ უდიდებულესთა და უმუშნიერესთა კითხუათაგანი...“ (6 r v).

2. ტექსტი ალაგ-ალაგ ნასწორებია. თან ახლავს ტექსტისა ხელით შესრულებული კომენტარები (სქოლიოები).

ანდერძი: „დასრულდა ნაისის იგ-ს, ჩუშთ-ს წელსა, დღესა პარასკევს, ს. ქარელს“ (29 r).

(715)

1446

პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი. (ბიოგრაფია). XIX

34 ფ.; 21 × 17,8; ქალაღი: უყდო; დაშლილი; აკინძულია ხუთ რვეულად (მე-ხუთე რვეულის მხოლოდ ორი ფურცელია); მხედრული; 1844 წ. — ჭვირნიშანი (ფ. 3—4); [XIX ს.]; დაუწერელია 32 r v;

„თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი. — კეთილთა შორის საჯეღმწიფოთა და სამხედროთა კაცთათა, რომელთა სახელნი მსახურებენ განმაშევენებელად როსიისა ისტორიასა, ერთი სახელოვანთა და გამოჩინებულთაგანი არს სახელი ლენერალ ოტინჭანტერის თავადის ციციანოვისა...“ 1 r — 31 v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს აქვს ავტორის თუ გადაწერის ინიციალები „ალ. ვი-სკი.“ (31 r.)

2. ბოლოში დართული აქვს ლექსი. მიძღვნილი პავლე ციციანოვისადმი. „მთარგმნელის მიერ:

ციციანოვო პავლე დიმიტრის ძეო, სახელ-სატრფოო, მამაცო მგნეო...“ (33 r — 34 r).

3. ტექსტს თან ახლავს კომენტარები.

4. ტექსტი ნასწორებია.

5. ხელნაწერს ერთვის ციციანოვის გენეალოგია. (34 v.)

(716)

1447

## ქვეყნიერი სამოთხე. 1844

4 ფ.; 21,2 × 17,1; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1844 წ. 15/V (3 v); აქვს ჭვირ-  
ნიშანი — 1842(?) წ.: დაუწერელია 4 r v.

„ქუშყნიერი სამოთხე. — საყუარელო მეგობარო! გამიგონე  
რა გიამბო! ვანვიციდი მე ვანკვირვებით ერთსა ხილულსა ადგილსა, რომლისა  
შუშნიერება და სიტურფე, სანახებითურთ თვისით. ვანაცურებს და დაატ-  
კბობს საცნობელთა ჩემთა უფროს ყოვლისა ჩემ მიერ ხილულის ქუშყნიერისა  
იშვიათისა სახილაგისა...“ 1 r — 3 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს თელავის აღწერას.

2. ხელნაწერს ბოლოში აქვს აღმწერელის ინიციალები. „ა. ტ.“ და თარიღი—  
„წელსა 1844, მაისის 15“. (3 v).

(717)

1448

## ნიკოლოზ-ქრისტეფორე რადზივილი. მოგზაურობა იერუსალიმში. XIX

119 ფ.; 22,6 × 17,4; ქალაღი; უყდო; დაშლილი; აკინძულია 6 რვეულად; თავ-  
ნაკული; მხედრული; [XIX ს]; დაუწერელია: 83 v, 84 r, 113 r — 119 v.

[ნიკოლოზ-ქრისტეფორე რადზივილი. მოგზაურობა  
იერუსალიმში]. — „...აქ იქმნა სამწუხარო შემთხუშვა, რომლისა გამოცხა-  
დებისა ვპირაცხ საჭიროდ. რომელიმე მღუდელი პანორმელი ან ტონი სიცი-  
ლიელი, რომელიცა იწოდებოდა მრევლის მღუდლად ერთსა მედიოლანელს  
ქალაქსა, მოვიდა ტრიპოლს ვენეციურის ხომალდით...“ 1 r — 112 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს თხზულების მეორე წიგნის ბ.ა.ლო. ნაწილს და  
მესამე და მეოთხე წიგნებს.

2. თხზულებაში 87 r v-ზე. ტექსტის ხელით სწვრია „გზახსნილობის ფურცე-  
ლი“; „ჩინებულთა და ახონათა ყადთა და ღირსთა ამის თანამდებობისათა! იერუ-  
სალიმიდგან კონსტანტინუპოლადმდე გზასა ზედა მყოფთა  
ვისურვებ თქვენთს ყოველთა კეთილსა. გიცხადებთ ამას ბრძანებასა ჩა, რა-  
მეთუ არა არს დიდი ხანი პოლშის სახელმწიფოდგან რომელიმე წოდებული  
პეტრე ბრანეესკი და გვიახლა წინაშე ჩნის დიდებულებისა და გამოგვიცხა-  
და, რამეთუ ლიტოვის უხუცესი ძარშალი ნიკოლოზ-ქრისტეფორე რად-  
ზივილი. წარჩინებული უფალი, მომავალი იერუსალიმით ათონმეტის კა-  
ციით, განიზრახავს მოსვლას კონსტანტინუპოლს, და თითამცა ყოველგან გზა-  
ზედ, და სადგურთა შინა, რომელთა შორის ინებოს დადგრომა, არავინ დააბრკო-  
ლოს იგი კაცებითურთ მით; რაჟსათსცა გიბრძანებთ თქნ: გაქუნდეთ გულს-მოდ-  
გინე ზედამხედველობაჲ, რათამცა ყოველთა თქვენთა მართველობათა შინა ამის  
მღუდლითურთ და ბრძანებით გამოსცხადდეს, არავითარიმე ვენება არა შეამთხვიოთ  
და არცა დააბრკოლოთ, პირველად ამის წარჩინებულს უფალსა, მეორედ მსახურთა  
ცხენთა, საგზალთა და ყოველსავე გზისა საჭიროთა მისცემდეთ და ღამით სადგურსა  
მიშვებულ იქმნეს (სიტყვები „მისცემდეთ“, „სადგურსა“ და „მიშვებულ“ ფანქრით  
არის ჩამატებული, წამლილი სიტყვების მაგიერ), სადაცა მოინებოს დადგრომა, და  
როდეს ისურვოს საჭიროთა ნივთთა სყიდვა (უკანასკნელ სიტყვა ფანქრით ჩამატ-  
ებული) საბრძელად, მაშინ მიჰყიდეთ ჩუშნისამებრ წესისა, და გულს-მოდგინედ

სჭურტდეთ, რათამცა ამას შინა არ იყოს რომლისაგანმე დამაბრკოლებელ ყოველთა ამას მცნობთა. როდესაც გიჩუშნოსთ თქნ ბრძანება ჩნი, მიიღეთ მართლად. მიეცა კონსტანტინუპოლს უკანასკნელთა დღეთა რამაზანისათა (ხჩუშა(?)) სეკდემბრის უკანასკნელთა რიცხუთა) 1583 წელსა“.

(718)

1449

კირილე სკითხოვლი. ცხოვრება საბა განწმედილისა. XIX

16 ფ.; 21,8 × 17; ლურჯი ქაღალდი; უყდო; აკინძულია ორ რვეულად; მეორე რვეული დაშლილია; მხედრული, სათაური ასომთავრულით; [XIX]. აქვს ჭვირნიშანი; დაუწყოელია: 15 r v — 16 r v.

„ცხოვრება ღირსისა მამისა ჩნისა საბა განწმედილისა. — ჟურთხელ არს ღმერთი და მამა უფლისა ჩნისა იჯქესი, განმალვიძებელი თქვენის ღირსებისა, რომელი უბრძანებ ჩემსა სიმდაბლესა, რამცა აღესწერო და მოვართვა თქვენსა ღირსებასა მღვთის სათნო ცხოვრება...“ 1 r — 14 v.

შენიშვნა: 1. r-ზე სქოლიოში ტექსტის ხელით: „ხსენება მისი არს დეკემბრის 5-ს დღესა. აღმწერელი ცხოვრებისა ამის არს კირილე სკითხოვლი ერთი თვთ უსარწმუნოესთა ვეგლთა მწერალთაგანი, ჯელმყოფი წათა ცხოვრების აღწერათა. იგი სცხოვრებდა ფრიად ახლოს ჟამსა წის საბას ცხოვრებისასა და ყოველივე ცნობა მისი მოიპოვა მის წმიდისა მოწაფეთაგან. ესრეთ ვითარცა იგი მრავალჯის იტყვის ამას ცხოვრება აღწერასა შინა. ბერძული მოთხრობა ამის ცხოვრებისა არს წიგნსა შინა. ეკლესიას(!) წისა.“ (ორი უკანასკნელი სიტყვა ნუსხურად).

(719)

1450

ლექსების კრებული. XIX

19 ფ.; 21,2 × 17,3; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ორ რვეულად აკინძული; რუსულ-ქართული ტექსტი; ქართული ტექსტი მხედრულად ნაწერია; [XIX]; ფ. 13 ამოვარდნილია; დაუწყოელია: 6 v, 7 r v—12 r v, 19 r v.

1. [Державин]. „Ода богу. — О ты пространством безконечный, жьа სიერცრით დაუსრულებო...“ 1 r — 3 v.

შენიშვნა: 1. სათაური „Ода богу“ მხატვრულად არის შესრულებული.

2. რუსულ ტექსტს თანდართული აქვს პარალელურად ქართული თარგმანი.

3. ქართული ტექსტი ნაწერებია.

4. თარგმნილია ივან რომანოვიჩ ბახლიძის მიერ. (ხელნაწებთა აღწერილობა. II ფ. ტ. IV № 1641. 1950 თბილისი).

2. „Гимн богу. — Парю душей к тебе всечтимый,  
Превечно слово, трисвятый...“ (4 r v).

შენიშვნა: სათაური „Гимн богу“ მხატვრულად გაფორმებულია

3. „Счастье. — Всегда прехвально, предпочтено,  
Во всей вселенной обоженно...“ 5 r — 6 v.

შენიშვნა: 1. სამივე ლექსი მოთავსებულია პირველ რვეულში. მეორე რვეული— (13 r — 19 v) შეიცავს ლექსებს: „Ода богу“ და „Гимн богу“ ქართული თარგმანითურთ, ხილო „Счастье“-ს მხოლოდ რუსულ ტექსტს.

## 1450 ა

## დერჟავინი. ოდა ლუთისა. XIX

6 ფ.: 22,2 × 17, 7; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 4 v, 5 rv-6rv.

„დერჟავინის მიერ თქმული ოდა ლუთისა. —  
ეჰა, სიურცითა დაუსრულებო...“ 1 r — 4 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია თანქრით.

2. თარგმნილია ივან რომანოვიჩის ბაზლიძეს მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, II ტ. № 1. IV. 1641, 1950 წ. თბილისი).

## 1450 ბ

## Экзарх Грузии, архиепископ Исидор. Речь. 1851

6 ფ.; 22,1 × 17, 7; ქალაღი; უყდო; ერთი რვეული; რუსულ-ქართული ტექსტი; დაწერილია ორ სვეტად; 1851 წ. (1 r); დაუწერელია 5 rv-6rv.

«Речь к преосвященному Герману, поворукополженному Епископу Абхазскому 1851 года, Сентября 8 дня...» 1r — 4v.

შენიშვნა: 1. რუსული ტექსტი დაწერილია მარცხენა მხარეს, ქართული — მარჯვენა მხარეს.

2. ქართული ტექსტი წარმოადგენს თარგმანს. ტექსტი ნასწორებია.

3. ხელნაწერის ბოლოში ტექსტის ხელით: „Говорено Его Высокопреосвященством Экзархом Грузии, Архиепископом Исидоромъ“ (4v.)

(720)

## 1451.

## ლექსიკონი. XIX

158 ფ.; 22,2 × 17,5; თეთრი და ლურჯი ქალაღი; უყდო; ნაკლული; აუკინძა-ვი; აქვს ჭვირნიშანი — 1816 წ. (ფ. 87 — 88) და 1825 წ. (ფ. 7); [XIX ს. პირველი ნახ.]; დაუწერელია: 80v, 81r-84v, 108rv, 116r-120v, 130r-132v.

1. [რუსულ-ქართული ლექსიკონი]. — „А, а, междометне... б“ არამედ, რამეთუ...“ 1 r — 80 v.

შენიშვნა: 1. 8 v — 80 r-ზე რუსულ სიტყვებს ქართული შესატყვისები არ აქვთ.

2. წყდება ასო „в“-ზე.

3. შეიცავს 6 რვეულს, დაწერილია თეთრ ქალაღზე.

4. ჭვირნიშანი — 1825 წ.

2. [ქართულ-რუსული ლექსიკონი]. — „აბაზი, абазы; აბანო баян...“ 85 r — 158 v.

შენიშვნა: 1. წყდება ასო „გან“-ზე.

2. ჭვირნიშანი 1816 წ.

3. დაწერილია სხვადასხვა ზომის ფურცლებზე (22,2 × 18; 34,2 × 22);

4. ხელნაწერის ეს ნაწილი დაწერილია 1822 წელს (იხ. ანდერძი).

ანდერძი: „1822-го года, Декабря 29 дня“, (107 v.)



(721)

1452

## შილტონი. სამოთხის დაკარგვა. XIX

22 ფ.: 21,6 × 17,3; ქალაღი; უყდო: დაშლილი; ნაკლული; აკინძულია ორ რვეულად; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 20 v — 22 v.

[შილტონი], „სამოთხის დაკარგუა. გალობა პირუშლი. — ოდეს რა შექმნა ღმერთმან ადამ სოფელსა.“

მისცა ამას ცოლი არა მდომელსა...“ 1 r — 20 r.

წყდება „... სამართლად იყოს, მგვემო მწუხრამდე,

მიტევე მოვკჳდე გათენებამდე...“.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს ორ გალობას

2. თავფურცელზე სწერია: „სამოთხის დაკარგუა“.

3 ფ. ფ. 7, 9 და 11 ამოხეულია ისინი ფ. ფ. 8, 10 და 12 ისასლებს წარმოადგენენ.

4. ხელნაწერი ნასწორებია თანჭრით.

(722)

1453

## შილტონი. დაკარგული სამოთხე. XIX.

22 ფ.; 22,1 × 17,9; ცისფერი და ლურჯი ქალაღი; უყდო; ნაკლული, დაშლილი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; აქვს კვირნიშანი—1825 წ. (ფ. 11); [XIX ს.]; დაუწერელია: 12 v — 18 v, 20 v — 22 v.

[შილტონი]. „დაკარგული სამოთხე. გალობა ა. — ვკვალობ ურჩებასა პირველისა კაცისასა და მისსა წარმწყმედელისა გემოს ხილვასა, რომელი იხმია მან აღკრძალულისა მისგან ნაყოფი...“ 1 r — 12 r.

წყდება „... ჩვენ განვარისხებთ საშინელსა ჩვენსა მძლეველსა. იგი დასთხევს სრულიადსა გულისწყრომასა თავსა ზედან ჩვენსა და გარდააქვევს არაარად მყოფობასა ჩვენსა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აკინძულია სამ რვეულად.

2. შეიცავს ორ გალობას. (1 r — 12 r)

3. 17 r — 20 r-ზე პირველი გალობაა გამეორებული.

4. ტექსტი არ მისდევს S—92;

(723)

1454

## რიტორიკა (ფრაგმენტი). XIX

8 ფ.; 22,4 × 16,7; ლურჯი ქალაღი; უყდო; ნაკლული; დაშლილი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; [XIX ს.]; აქვს კვირნიშანი; (ფ. 1,2).

„თჳს კელოვნებისა სარიტორიკისა და წუალებისა ნაწილთა მისთასა... თჳს რიტორებისა § 1. — რიტორება არს კელოვნება...“

... მოვწოდ განცხადებად ჰაზრთა თჳსთა. § 2. განვაცხადებდეთ რა აზრთა ჩნთა...“ 1 r — 8 v.

წყდება: „... ხლო წიგნსა შინა შევას..... განწუალებათა ამათ ნიშანთა მარ...“

შენიშვნა: ტექსტი არ მისდევს ანტონის რიტორიკას (მდრ. S—920).

14. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

(724)

1455

## ლოგია. XIX

11 ფ.; 21,8×17,5; ქალაღი; უყდო; ტექსტი დაუმთავრებელია; მხედრული (საწყისი ასოები ასომთავრულით); [XIX]; დაუწერელია 11 ვ.

[ლოგია]. — „ლოღია არს უმჯობესი სწავლა, თუ ვითარ ჭილოსჭა(?) არს შეჩვეუ. კ: უმჯობესისათჳს გულისწმის-ყოფისა ჭილოსოჭისა რაჲ სათანადო არს, პდ განმარტებად; მ: იგი თუ რაოდენ გუარობს ცნობა კაცობრივი...“ 1 რ — 11 ვ.

წყდება: „... კ: მეტაჭორისადმი რანი აღიყუანებია? მ: აღიყუანებია ყოველნივე ზღაპარნი, გამოცანანი და სხუჭბრ თქმით იგაენი...“

(725)

1456

## ლოგია. XIX

7. ფ. 22,1 × 16,5; ლურჯი ქალაღი; უყდო; ნაკლული; მხედრული; სათაური და საწყისი ასოები ასომთავრულით; [XIX].

[ლოგია]. — „ლოღია შემოკლებული წინათ მიღებულთა აღსახსენებელად ყრმათათჳს სხოღის წინათა. — კ. უმჯობესისათჳს გულისწმის ყოფისა ჭილოსოჭისა, რაჲ სათანადო არს პდ განმარტებად? მ. იგი თუ რაოდენ გუარობს ცნობა კაცობრივი...“ 1 რ — 7 ვ.

წყდება: „... ყოველი კაცი არს ცოდულ, კაიოს არს კაც, მაშასაღადმე, კაიოს არს ცოდვილ...“

შენიშვნა: 1. აქეს თავფურცელი ასომთავრულითა და მხედრულით. მკრთალად ნაწერი. ტექსტი არ იკითხება, გადაზახულია.

2. ტექსტი იგივეა, რაც S—1455.

(726)

1457

## შექმნა სოფლისა. XIX

66 ფ.; 22,4×17,2; ქალაღი; უყდო; დაშლილი; აკინძულია ხუთ რვეულად; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; აქეს ჭვირნიშანი; დაუწერელია: 4ვ—10ვ, 11ვ, 64ვ—66ვ

„შექმნა სოფლისა. შექ. ა. ბ. გ. — მოსე, აღმწერი სოფლის დაბადებისა, გვიჩუწნებს: ა) საზოგადოდ დასაბამსა სოფლისასა ა. 1. ბ) ექვსთა დღეთა შინა განგრობილსა შექმნასა, ბ—31. და გ). განსვენებით სრულყოფასა შექმნისასა, ბ. 1—3...“ 12რ—64რ.

შენიშვნა: 1. 1რ—4რ წარმოადგენს გამეორებას ზელნაწერის ფ. ფ. 12რ—16რ.

2. 11რ. მხედრულად მიწერილია „შექმნა სოფლისა“.

3. ტექსტი ნასწორებია.

(727)

1458

## იერომონახი იოსები. ეკლესიის ისტორია. XIX

50 ფ.; 21,8×17,4; ქალაღი; უყდო; დაშლილი, აკინძულია ოთხ რვეულად; მხედრული, სათაურები ასომთავრულად; [XIX]; თარგმნილი 1862 წ. დაჭით ციციანოვის მიერ (1რ); დაუწერელია: 1ვ, 3ვ; ამოცვენილია, ფ. ფ. 49, 50.

[იოსებ იერომონახი, ეკლესიის ისტორია]. „პერიოდი პლი. უბირუშლესი ეკლესია ქრისტეს მოციქულთაგან ვიდრე კონსტანტინე მოციქულთ სწორისადმდე (1—4 საუკუნისა). საფუძვლი ქრისტეს ეკლესიისა. §1. —ოდეს ეკლესია ძუშლის ალექსისა და მასთანვე სარწმუნოებაცა ჭეშმარიტი კნინდა დაგლახაქებულ იქმნა...“ 4r—50v.

შენიშვნა: 1. ნელნაწერს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „საკითხავნი ისტორიისაგ აქნ ქრისტიანეთა ეკლესიისათა, წარმომადგენელი შედგომილებითად უმთაურესთა ეკლესიის ჰამბავთა შესაქმედგან, ვიდრე ჩნს დრომდე შედრგენილი(!) იერომონახის იოსების მიერ, თფილის, სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკისა 1856. ხოლო ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი თავადის დავით ფანასკენტლ(!) ციციანოვის მიერ 1862 წ.“ (1r)

ბ) იერომონახი იოსების „წინასიტყვაობა შესახებელად წესისა დადებულისა და ამის წიგნის შედრგენისა(!). საგანად ვრაცხ მიუცილებლად ვჰსთქუა შემდგომი...“ (2r—3r).

2. ტექსტს ახლავს სქოლიოები.

3. ხელნაწერი ნასწორებია.

(728)

1459ა

### ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. XIX

12 ფ.; 21,1×17,3; ქალაღი: უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; 1825წ.—  
—კვირნიშანი (ფ. 3.) [XIX ს.]. დაუწერელია 3r—12v.

[ვახტანგ VI, სამართლის წიგნი]. „მყოფისა უმყოფისა, არსისა დაშარსისა დამა[არსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დლითი-დლე მრეველნი ჳელთა მარგარიტთა შინა, და ჰპოებენ მძივთა რომელთამე და უხილველობისათვის აღილებენ და შთასდებენ საუნჯედ პატიოსანთა, შემკობით უპატიოსნედ მარგარიტთა ჰყოფენ...“ 1r—7v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს ვახტანგის წინასიტყვაობას და 15 მუხლს.

2. მისდევს ნაბეჭდ ტექსტს (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ვნ უ-  
ქიძის გამოც. 1959 წ. თბილისი).

3. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. იხ. Описание, ტ. II-  
33. 624.

მინაწერი: „ვახტანგის კანონდება“ (1r)

1459 ბ

### ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. XVIII

29 ფ.; 20,5×16,5; ცისფერი და თეთრი ქალაღი: უყდო; დაშლილი; ნაკლული;  
მხედრული, ყოველი მუხლის დასაწყისი სინგურიცა; 1788წ.—კვირნიშანი. (ფ. 23—  
24); [XVIII ს.].

[ვახტანგ VI. სამართლის წიგნი].

„მყოფისა უმყოფისა, არსისა დაშარსისა და მარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დლითი-დლე მრეველნი ჳელთა მარგარიტთა შინა, და ჰპოებენ მძივთა რათამე და უხილველობისათვის აღილებენ და შთას-  
დებენ საუნჯედ პატიოსანთა, შემკობით უპატიოსნედ მარგალიტთა ჰყოფენ...“  
1r—26v.

- შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს ვახტანგის წინასიტყვაობას და კანონთა 172 მუხლს.
- 2. ხელნაწერი მისდევს თ. ენუქიძის მიერ გამოცემულ ტექსტს (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955 წ, თბილისი).
- 3. გამოცემულ ტექსტთან შედარებით ხელნაწერს აკლია § 36—65. § 149. გამოცემული ტექსტისა გამოტოვებულია.
- 4. ხელნაწერს თან ახლავს ანბანზე დალაგებული მუხლობრივი საძიებელი ასო, „ა“-დან „ღ“-მდე. (27r—29v).
- 5. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. „Описание...“ ტ. II, გვ. 625).

(729)

1460

**ქ. ბაუმეისტერი. მეტაფიზიკა. 1822—24**

112 ფ.; 22×17,1; თეთრი და ლურჯი ქაღალდი; ახლად აკონტული; მხედრული. სათაურები ასომთავრულით; 1822—24 წწ. (94v, 110r), აქვს ჭვირნიშანი—1821 წ. (ფ.62); მთარგმნელი—თავადი დავით ციციშვილი (110v); გადაწერის ადგილი—მუხროვანი (50v). დაუწერელია: 3v, 4r—6v, 64 v; 67v—68r, 95r—96r, 112v.

[ბაუმეისტერი. მეტაფიზიკა].—„თავი პირუშლი. პირველთა დასაბამათჳს კაცობრივისა ცნობისათა. § 9.—ონტოლოლია განაცხადებს ყოველად დადგრომითჳ დასაბამთა კაცობრივისა ცნობისასა (§ 6). ცნობანი უკუშ კაცობრივნი ორნი დასაბამნი არიან: ერთი—დასაბამი წინააღმდეგომ სიტყუაობისა, ხოლო მეორე—დასაბამი საკმაოჳსა მიზეზისა...“ 10r—112r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის ა. „წინადმცნობელობა თჳსებისათჳს და არსებისა მეტაფიზიკისა“ 1r—2v და 7r—8v. (ორჯერ მეორდება).

ბ) „ონტოლოლია ანუ პ'ლი ძილოსოფია წინადმცნობელობა“ (9r-v).

3. ბოლოში ერთვის: „ქრისტიანე ბავშვისტერისა მეტაფიზიკა ლათინურისაგან ენისა როსისულსა ენასა ზედა ახლად გარდმოღებული და განმართული იაკობტოლმაჩოვის მიერ მოსკოვის ლუბერნიის ტიპოგრაფიასა შინა რეშეტნიკოვის თანა 1808-ს წელს, კოლო ქართულსა ენასა ზედა თარგმნილ არს თავადის დავით ციციშვილის მიერ, წელსა ჩუკდ-ს აპრილის კვ-სა დღეს“ (110v).

ანდერძი: 1. „სრულ იქმნა წელსა 1823-სა, აგვისტოს. 20-სა დღესა, ძალითა მღუთისითა მუხროვანსა ყოველთა უკოდვილესისა ცოდვილის ვისპიერმე“ (50v) (მეტაფიზიკის პირველი ნაწილის ბოლოს).

2. შესაშე ნაწილის დასასრულს: „სრულ იქმნა, დიდება ღმერთს, წელს ჩუკდ-სა, აპრილის კვ-ს, დღესა შაბათს, საათსა შეთესა, მუხროვანს“ (94v).

3. მეოთხე ნაწილის დასასრულს: „სრულ იქმნა ესე ბუნებითი მღუთისმეტყუელება წელსა 1822-სა, ნოემბრის 15-სა დღესა“ (110r).

მიწაწერები: 1. „მეტაფიზიკა ბავშვისტერისა“ (96v).

2. „მეტაფიზიკა ბავშვისტერისა. ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი როსისულსა გაჩენისა წელსა ჩუკდ-სა, აპრილის კვ-ს დღესა.

დავითის მიერ არს აღწერილი“. (112r).

(730)

1461 ა

**ცხოვრება თეოდორე სულელისა. 1818**

8 ფ.: 20,4×16,3; ლურჯი ქაღალდი; კრელი სქელი ქაღალდის ყდა; მხედრული. დასაწყისი სინგურით, ასომთავრულით; 1811 წ.—ჭვირნი. (ფ. 2); 1818 წ. (8v); გადაწერილი—თავადი დავით ციციანოვი (8v);

[ცხოვრება თეოდორე სულელისა]. — „სერბისა ქუყანასა, რომელსა სახელსა ზდებენ(!) დღესა ბულღარად, ამისსა სარასა ქალაქსა შინა, სოფელსა იყო კაცი ერთი, რომლისა სახელი იყო თეოდორე. ესევეთარი სულელი იყო კაცი ესე, რომელ არცა ვამსალა შინა ცხოვრებასა თვისას ეკლესიასა შინა არა შესრულ იყო სმენად. მესამესა კვირიაკესა დიდმარხვისასა ჯუართა აპურობის თაყუანისცემისასა იხილნა ამან მრავალნი მსულნი შემავალნი თაყუანისცემად ჯუარისა მაცხოვრისა...“ 1r—8v.

**ანდერძი:** „აღწერილ არს ჳელითათავადის-დავით ევსტათის ძის ციცი-ანავისათა წელსა ჩუიშ-სა, მისის კდ-ს დღესა. დავით ციციანოვი“ (ორი უკანასკნელი სიტყვა ჩართულად). 8v.

**შენიშვნა:** თარგმნილია ბერძნული ენიდან იოაკიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტ. 1, 1941, გვ. 470).

1461 ბ

### ცხოვრება თეოდორე სულელისა. XIX

5 ფ.: 20,8×16,8; ქალაღი; უყდო; ბოლონაკლული; მხედრული; სათური ასო მთავრულით; [XIX]; აქვს ჳვირნიშანი (ფ. 5).

„ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა თეოდორე სულელისა.—იყო ვინმე სერბისა ქუყანასა, რომელსა სახელ-ზდებენ(!) დღეს ბულღარად, სარას ქალაქისა სოფელსა შინა კაცი ერთი, რომლისა სახელი იყო თეოდორე...“ 1r—5v.

წყდება „... მიუგო სულელმან მან: უფალო, მე აქა ვინ მომცნა მოყუანნი და ანუ რაასთვის მეყოლებოდნენ. ჳრქუა წინამძღუარმან...“

**შენიშვნა:** ტექსტი ნასწორებია.

(731)

1462

### დავით აღმაშენებელი, გალობა სინანულისა. XIX

6 ფ.: 20,7×17,3; მოცისფრო ქალაღი; ახლად აკინძულია; მხედრული; 1811 წ.—ჳვ. (ფ. 2—3); დაუწერელია 6v.

„გალობა სინანულისა, თქმული დავით აღმაშენებელისა.—უგალოზსი. სძლისპირი: წამის ყოფითა ღთო, მიწყალე მე ღო, მიწყალე მე...“ 1r—6v.

**შენიშვნა:** „გალობა სინანულისა“ გამოჳვეყნებულია ს. ყუბანეიშვილის მიერ ძველი ქართული ლიტერატურის ჳრესტომათის I ტომში, გვ. 373—376. 1946 წ. თბილისი.

(732)

1463

### არსენ ვაჩეს ძე. დოგმატიკონი. XII—XIII

312 ფ.; 34,2×25,2; ეტრათი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; აქვს ჳემო და ქვემო ყდის საცავი ფურცლები; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაწერილია ორ სვეტად; [XII—XIII ს.ს.]; მთარგმნელი არსენ ვაჩეს ძე (1r, 39v, 103r); შემოწორულია იასონ დავითის ძე ციციშვილის მიერ (ზემო ყდის საცავი ფურცელი).

1. [ანასტასი სინელი. წინამძღვარი]—„შეწვევითა ღმრთისა წინაგანმზადებამა შემოკლებითი გამომპირველი ტკივილთ-მოყუარეთამ, რისათჳს: სათანადო არს ჰლ ყოვლესა ჩუწნებამ მოსწრაფებოსად და ქონებამ მეცნიერებისა. თავი ა.—ვითარმედ უქმს წინამძღვარსა ცხოვრებისა სათნოესა და სულისა წმიდისა თანამკვდრად ქონება...“ 1r—39r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის:

ა. ანასტასი სინელის ანდერძი: „ანასტასი მონაზონისა სარწმუნოებისათჳს და განსაზღვრებისა საღმრთოთა წერილთა შინა მდებარეთა ლექსთაჲსა.— ვლოცავ მიმთუშვის მგულბებულთა ამის წიგნისათა შენდობის ყოფად აქა შინა ქმნილთათჳს განმართებათა ანუ იგივე სიტყუაობათა. რამეთუ სამარადისობამან უძღურებამან არა შემინდო ჩუენ წადიერებისაგერ ქმნად ამისა. და რამეთუ ესევითართა შუჯულთა ქრისტესთაჲ ჰდ დანუსხვამ სავმარ იყო და განმართებამ და დამუკლვამ და ეგრეთღა სადმე გარდაწერამ, არამედ დავსნილობასა და მცონარებასა ჩუენ თანა ერთ-ნებათასა არა შესამსგავსი ტკივილთ-მოყუარებამ და მოსწრაფებამ მოუგვის ესევითართა შინა, რისათჳს, ნაცვალად კონდაკთაჲსა, რვეულნი გჳპყრიან და ეგრეთ სიტყუს ვმწერლობთ. ხოლო უკუეთუ, ვითარ-იგი შეგვანდა, სიტყუათა გინა გულსკმის-საყოფელთაგანი, რამე ვერ ეგრეთ ჯგროვნად ვთქვთ, შენდობასა ვითხოვთ, რამეთუ უცთომელობამ მხოლოდ მხოლოდსა ღმრთისა არს. ამას თანა ვევედრებთ გარდაწერის მნებებელთა მოწერად სხოლორნთაცა და მოსწრაფებით შესწავებად ტონთა და წერტილთა და მცირე წერტილთა და ნაკლულ სიტყუათა, და რამეთუ სხუა ჟამცა სარწმუნობიანისა სიტყუსა გარდაწმუნებულთა უწიგნოთა ვითემე უმეტრებისამან გმობით აღავსეს იგი“ (1r).

ბ. ანასტასი სინელის „წინამძღვრის“ სარჩევი, დაყოფილი 24 თავად (1r)

2. „წინამძღვარი“ შეიცავს 24 თავს.

ანდერძი (მთარგმნელისა): „დაესრულა წინამძღვარი წმიდისა ანასტასი სინელისაჲ კონსტანტინუპოლის მონასტერსა შინა წმიდისა გიორგისსა მანგანას. შენდობამ და მადლობამ წმიდაო და თანაარსო ზესთა არსთაო, სამებლო ერთღმებებო, რომლისა გამოუთქუმელთა კაცთმოყუარებამთა გარდამატებულთა ურიცხუმბითა და მოვხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა ყოველთაჲთა და ლოცვითა ბერთა ჩემთა იოვანე რატელისა და გიორგი ქართველისაჲთა ღმრთისა ვიქმენ მე უუნდოესი ყოველთა დაბადებულთა, ყოველთა მდაბალი მონაზონი არსენი ბერძულისაგან ქართულად თარგმანებას წმიდისა ამის წიგნისასა, რომელი-ესე ნამდვლევ სენად სახელისა თჳსისა წინამძღვარი არს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა და თუალი, რომლითა ჰხედავს, და პირი, რომლითა ზრახავს; და სასმენელი, რომლითა ესმიან ღმერთშემოსილთა მამათა უცთუმელნი მოძღურებანი, და საყნოსელი, რომლითა იყნოსს სულნელებასა ღმრთივესულიერთა ყუაგილისასა, და მარჯუმწმე მკლავი, რომლითა ესრის და სდევნის სამწვალბებულთა მჭევთა გესლიანსა სიბოროტესა. რამეთუ შენ მიერ არს ყოველი მოცემამ კეთილი და ყოველი ნიჭი სრულ და შენდა დიდებამ და დიდად შუშნიერებამ და პატრივი და მსახურებამ, თაყუანისცემამ და ქებისმეტყულებამ ჰმუშნის აწ და საუკუნეთა. საუკუნეთასა დაუსრულბებულთა შინა საუკუნეთა უკე, ამინ.“

ლოცვა ყავთ ღმრთისმოყუარენო მამანო და ძმანო, ვინცა-ვინ წმიდასა ამას წიგნსა სწორდეთ გინა იკითხვიდეთ, თქვენ ყოველთა მონათა ღმრთისათა მონასა უნდოესა მონაზონისა არსენისთჳს, რამეთუ ვითარ-იგი მოწამე არს თავადი კეშმარიტებამ, მრავლითა კირითა და შრომითა დამიწერია და უნაკლულად ძალისაგერ ჩემისა შემნიწამებია და არცა რამ ბერძულისაგან დამიგდია და არცა რამ ზეპირითა დამირთავს; და თუ სიბნელე რამე სადმე ანუ სიდუბჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს, და არა ქართულთა სიტყუათა და შუშნებასა ვერ მეცნიერობისაგან. ყოველივე მომიტევეთ და ყოველისათჳსვე შემინდევით. და უსასყიდლოდ წმიდაჲ ლოცვამ თქვენი საჯარო ყავთ საწყალობელისა სულისა ჩემისა. (39 r.v.)

2. [იოანე დამასკელი. დიალექტიკა]. „მყოფისათვის არსებისა და შემთხუშვითისა.—მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთაჲ. ესე უკუჲ მყოფი განიკუჲთების არსებისა მიმართ და შემთხუშვითისა...“ 41r—53v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შეიცავს 49 თავს.

2. ტექსტს წინ უძღვის ა). „ხანდუკი წიგნისა იოვანე დამასკელისა.“ (39v—40r). ბ). იოანე დამასკელის მიმართვა კონხას, მაიუმელ-ეპისკოპოსისადმი (40rv).

3. „ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ გარდმოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ, ვითარმედ მიუწოდებელ არს ღმერთი დავითარმედ არა ჯერ-არს ძიებაჲ და გამოწულილვაჲ არა მოცემულთა ჩუენდა წმიდათა წინაწარმეტყუელთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ.—გკ<sup>ზ</sup>ნ, მ<sup>შ</sup>მაო!—ღმერთი არავინ იხილა, ოდესცა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა...“ 54r—102v.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 100 თავს.

ანდერძი: „დასასრული შრომათა იოვანე მანსუტისთაჲ. ხოლო ითარგმნა არსენისგან ვაჩესძისა“ 102v. (ტექსტის ბოლოს, სინგურით).

4. „წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა ოქრონეკტარად წოდებულისაჲ სიტყუაჲ სარწმუნოებისათვის დასამჯობელად ნესტორიანთა. მ<sup>შ</sup>მო, გკ<sup>ზ</sup>ხენ!—გკ<sup>ვ</sup>მს უკუჲ ჩუენ ცხოვნებულთა ღმრთისათა მხოლოდ შობილისა მიერ ძისა მისისა, რომელი მისცა საჯსრად ჩუენდა საღმრთოჲსაებრ სიტყუსა რწმუნებად მამისა მიმართ, და ძისა და სულისა წმიდისა...“ 103r—108v.

5. „მისივე მამისა იოანე ხუცისა დამასკელისა ოქრონეკტარისაჲ სიტყუაჲ დასამჯობელი ნესტორიანთაჲ.—ნესტორის თანამზრახველთა მიმართ ესრეთ დაიწყებოდედ სიტყუაჲ...“ 108v—116v.

ანდერძი (სინგურით, ტექსტის ბოლოს): „სრულ იქმნა მადლითა ქრისტესითა ღირსისა იოანე მონაზონისა სიტყუაჲ დასამჯობელი ნესტორიანთაჲ.“ (116v).

6. „მისივე იოანე მონაზონისა ხუცისა დამასკელისა ოქრონეკტარად სახელდებულისაჲ სიტყუაჲ ნამუშავევი დასამჯობელად ღ<sup>ღ</sup>ის მოძაგებულისა წვალებისა იაკობთაჲსა.—არცა კეთილ არსო, რაჲჲმს არაკეთილად იქმნებოდის...“ 116v—128r.

7. „მისივე, ქრისტეს შორის ორთა ნებათათვის და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითა თვებითა, გარნა შემოკლებული ორთა ბუნებათათვის და ერთისა გუამისა.—ორთა ბუნებათა და ერთისა მამისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ზედა აღმსარებელთა მრჩობლად და განყოფილად თანა-აც აღსაარებაჲ...“ 128r—138v.

8. „წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოანე მანსუტ წოდებულისა სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებანი წმიდათანი, რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეკლესიისა სარწმუნოებაჲ განცხადებულად გუჲსწაგებისა ღ<sup>ღ</sup>ისმეტყუელებისასა ვიტყვ კადაგებასა და ს<sup>ს</sup>ლესა განგებულებისა სიტყუასა და სხუათა მართალთა ეკლესიისა შჯულთა უცთომელობასა, სამობისა და ერთობისა შორისისა ღმრთისმეტყუელებისათვის. გრიგოლი ღმრ-

თისმეტყუშლისაჲ ქრისტეს შობისათჳს თქმულისაგან. ღმერთი იყო უკუტ მარადის და არს და იყოს. ხ უფროსლა არს მარადის, რომელი იყო და იყოს...“ 138v—183r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 31 თავს.

9. „წმიდისა კვრილე ალექსანდრიელი ეპისკოპოსისაჲ თარგმანებაჲ შემდგომითი-შემდგომად ათორმეტთა თავთაჲ ამათა მბარალობელთა მიმართ.—ყოველინვე მართალ და წრფელ არიან წინაშე გულის-წმის მყოფელთა და უცთომელ მპოვნელთათჳს...“ 183r—186r.

10. „ეპისტოლე წმიდისა კვრილე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ სანატრელისა ნეუკესონის მიმართ ეპისკოპოსისა დიოკესარიელთაჲსა სამთავროსა შინა ისავროელთაჲსა.—მივემთხუშნით მოსაჯენებელსა ღირსებისა შენისა მიერ წარმოცემულსა, რომელიცა გუთნდა ფრიად...“ 186r—187v.

11. „მისივე, სხუაჲ მოსაჯენებელი, ნაცვალად მოწერილი მის მიერ კითხვათა მომართ ჩუნთა.—საჩინო ვიდრემე და ცხად თვთ თავით თჳსით არს ქეშმარიტებაჲ მოყუარეთა მისთათჳს...“ 187v—188r.

12. „მისივე, აღწხნაჲ, ესე იგი არს სიტყუსგებაჲ.—რამეთუ უკეთუ ერთსა ბუნებასა სიტყუსასა მეტყუშლთა დავიდუმეთ, არლა შეძინებაჲ განჯორციელებულისაჲ, ვითარცა გარე-განმჯდელთა განგებულებისათა იყომცა სადმე მათდა არადაუჯერებელ სიტყუაჲ...“ 188v—189r.

13. „მისივე, განკაცებისათჳს მხოლოდშობილისა.—ქრისტეს სახელსა არა რომლისა ძალი აქუს, არცა არსებასა ვისსამე, თუ ვითარი რაჲ არს, წარმოაჩენს...“ 189r.

14. „მისივე, თუ რაოდენსახედ ვიტყუთ შეერთებასა.—შეერთებისა სიტყუაჲ მრავალსახედ სრულ იქმნების...“ 189rv.

15. „მისივე, ვითარმედ უსხეულოჲსა ღმთეებისა სხეული იქმნესჯორცნი, მქონებელნი სულისა გონიერისანი, და ვითარმედ, უკეთუ განვეყნეთ იგინი ურთიერთსა ყოვლითურთ, ვითამე დამჯსნელ ვექმნებით სიტყუასა ქრისტეს შორის გულისწმის საყოფელისა განგებულებისაჲსა.—ქებასა მინა ქებათასა თვთ მას უფალსა ჩუნსა იესუ ქრისტესა ვპოებთ ჩუნ მეტყუშლად...“ 189v.

16. „მისივე, ვითარმედ იესუ ქრისტედ სახელ-იდების განკაცებული სიტყუაჲ ღმრთისაჲ.—მხოლოდ შობილისა სიტყუსა ჯორცთა მიერისა განგებულებისა საიდუმლოსა გამომიებად მნებებელნი და მადიდებლობასა მართლისა და ქეშმარიტისა სარწმუნოებისასა მქონებელნი ესრეთ ვიტყუით...“ 189v—190r.

17. „მისივე, თუ ვითარღის მშობელად გულისწმა-იყოფების წმიდაჲ ქალწულ-შვა უკუტ გამოუთქუმელად მამისა და ღმრთისაგან სიტყუაჲ...“ 190r.

18. „თეოდორე ყოვლადღისმოყუარისა მონაზონისა და უფროსად ბრძნისა ფილოსოფოსისაჲ, თუ ვითარსათანადო არს გულისწმის-ყოფაჲ საღმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ.—საჭირო არს ჩუნთჳს, რომელთა გუშგულების მოჯსენებაჲ ქრისტეანობითისა აღსაარებისათჳს...“ 190v—202v.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 10 სიტყვას.



19. „თითოსახეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხულთა აღვსნაჲ ქრისტეს მიმართისა კეთილად მსახურებისათჳს და თანად მხილებადცა და უკურღუშვად ღმრთეებისა მიმართ და კაცებისა ქრისტესისა უთავოთა ურთიერთას წინააღმდეგომისა წვალებისაჲ ნესტორისაგან და სევეროზისა ბოროტად მსახურთაჲსა და სიტყუს-გებაჲ უარისმყოფელთა მიმართ წმიდისა კრებისა ხალკიდონისათა მოძღურებისაგან ღმრთივმოცემულთა წმიდათა მამათა ჩუენთაჲსა. კითხვა ა.—რაჲ არს გუამი და უკუთუ იგი არს ბუნებაჲ, რომელ არს არსებაჲ ანუ არა? მიგებაჲ: გუამი არს წმიდისა ბასილისებრ შემოკრებაჲ თითოეულისა და ხუშდრებულთა თვთებათაჲ...“ 202v—217r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 17 კითხვა-მიგებას.

20. „ეპისტოლე წმიდათაგანისა პაპა ლეონისი წმიდათაგანისა ფლაბიანეს მიმართ კონსტანტინუპოლელ ეპისკოპოსისა. საყუარელსა ძმასა და თანამდელსა ფლაბიანის ლეონ.—წარვიკითხეთ წიგნი სიყუარულისა შენისაჲ, რომლისაჲ ესოდენ გჳანად მოწერაჲ ჩუენდა მომართ დაგვკვრდა...“ 217r—219r.

21. „ეპისტოლენი თითოსახეთა ეპისკოპოსთანი, მიწერილნი პეტრეს მიმართ ეპისკოპოსისა ანტიოქელთაჲსა, მმურკნველად წოდებულისა, ვითარმედ არა ჯერ-არს ვნებისა შერთვაჲ სამწმიდაობისა თანა შემატებისა მიერ ამისისა, ვითარმედ «რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს», რომელი ამან პეტრე, ვითარცა მწვალებელმან, შესძინა. ანტეონოს ეპისკოპოსი არსენოისაჲ პეტრეს ეპისკოპოსსა ანტიოქიისასა.—ყოვლითურთ მწუხარე ვარ შენ ზედა უფროსად, პატრიოსანო ძმაო,...“ 219r—224r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 7 ეპისტოლეს.

ანდერძი: „ამათ პირთათჳს აქა დასრულდეს ასე“ (სინგურით, ტექსტის ბოლოს), 224r.

22. „თავენი სომეხთა წვალებისანი ოცდა ათნი.—პირველად უკუშ იტყვან... სომეხნი...“ 224r—226r.

23. „სიტყუს-გებაჲ ჰურიათა მიმართ.—ღმერთსა მიენდობვოდედ საღმრთონი, ხოლო კაცთა კაცობრივნი უფროსლა ღმერთსავე მიენდობვოდედ...“ 226r—246r.

24. „სიტყუს-გებისაგან ქრისტეანისა და ჰურიისა. წამებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს წმიდათა წერილთაგან. ქრისტეანემან.—ვის ეტყოდა ღმერთი: ვქმნეთ კაცი ხატებად ჩუენდა და მსგავსებად...“ 246r—251v.

25. „წინასწარმეტყულებანი ჯორციელისა განგებულებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ადამისითგან ვიდრე ზაქარიაჲსამცა და იოანე წინასწარმეტყუელთ—ადამისი. წმისა შენისაჲ მესმა, უფალო...“ 251v—252r.

26. „ეპისტოლე მკონებელი წმიდისა და უბიწოჲსა საღმრთოებისაჲ, წარცემული ნეტარისა თუმაჲს მიერ იშრუსალიმელ პატრიარქისა სასომეხეთოჲსა მწვალებელთა მიმართ, არაბულად ვიდრემე თეოდორეს მიერ აბუკურად სახელდებულისა ხარანელთა ეპისკოპოსისა აღწერილი და ჩემ უნდოჲსა მიხაელ ხუცისა და სამოციქულოჲსა იშრუსალიმისა საყდრისა სჯეკლოისა მიერ ბერძულად თარგმანებული, რომელსა შინა განცხადებულად ჩანს, ვითარმედ მხოლოდ ხალკიდონს ოდენ შეკრებულნი-

სა კრებისაჲ ქეშმარიტ არს ქრისტეს ღიწა ჩუენისა ძლით განსაზღვრებულთ-  
სა სარწმუნოებისა სიტყუაჲ.—ქრისტე უფალი და ღმერთი ჩუენი თავისა  
მოციქულთაჲსა პეტრეს მიმართ იტყვს...“ 252r—254v.

27. „მისივე, განგებულებისათჳს და განჯორციელებისა,  
და ვითარმედ გუამი ვიდრემე განჯორციელდა, ხოლო ბუნებაჲ ღთებებისაჲ  
შეერთა კაცობრივსა ბუნებასა გუამსა შინა სიტყვსა ღისასა.—განჯორციელე-  
ბა უკუშ არს განკაცებაჲ და განკაცება არს განკაცებულისა კაცისა კაც-ქმნაჲ...“  
254r—256r.

28. „ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა  
სტითათისაჲ სიტყუაჲ პლი განსაქიქებელი მგმობრისა მის წვალებრ-  
ისა სომეხთაჲსაჲ.—შემრევლობითისა ორთა ბუნებათა ქრისტესთაჲსა  
მადიდებლობისა მგმობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსა...“ 256r—264v.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 5 სიტყვას.

29. „მისივე, ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მო-  
ნასტრისაჲ სათნოებითა აღსავალთათჳს. ევსების მონაზონისა ნიკიტა-  
მონაზონი.—თუ რაჲ არიან აღსავალნი იგი, რომელთა გულსა შინა თჳსსა  
დაისხამს სიტყვსაებრ თითოეული მოღუაწეთაგანი...“ 264v—265r.

30. „ნიკიტას ხარტოფილაქსა და სჯნკელოსა კორონიდსა  
ნიკიტა უნდოჲ მონაზონი და ხუცესი სტუდიელთა მონასტრისაჲ სტი-  
თატი.—საღმრთოთა საქმეთა უტომელად გამომცდელად მეცნიერი ში(!);  
ვითარცა ხილულთა ზესთა ქმნულისაჲ...“ 265r.

31. „ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა  
სტითათისაჲ სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრივისა ქველ-მსიტყუშ მ-  
მაო.—ფილოსოფოსობაჲ სულისათჳს სათანადო ყოფა ვჰგონე სიბერესა შინა და  
დასასრულთა ჩემისა ცხოვრებისათა...“ 265v—271v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შეიცავს 15 სიტყვას.

2. ტექსტს თან ერთვის ორი იამბიკო, რომელთა აკროსტიხი იძლევა სახელებს  
„არსენი“, „ნიკიტა“.

„ამას ჩემთჳსცა-იოხდ, მ საკრველო,  
რომელმან შენთა სიტყუათა უფსკრულისა  
ხივრცისა კერძოჲ ფრიად შრომით წიაღლეჲ.  
ელენურსა რაჲ ქართველთა ენად ვსცელიდი,  
ნიშებ-მოსილთა მამათა სიქადულო“.  
ნათელთა წყაროდ პლად ნათლად მიმართ  
ამსოობთ მესამე მეორეთა ძღუნავითა,  
ქრისტაბმელი რაჲ ჯორცთა სიზრქისაჲ განჰვლე  
ქველ ქმნილმან უსახოთა ხედვათა  
სულისა შორის ქცევაჲ ამალღებთა.“ 271 v.

32. „მისივე, სამოთხისათჳს.—მოვედ უკუშ და სამოთხისათჳსცა  
ფეილოსოფოსობდეთ...“ 271v—276v.

33. „ნიკიტას ხარტოფილაქსა და სჯნკელოსა კორონიდსა  
ნიკიტა უნდოჲ მონაზონი და ხუცესი სტუდიელთა მონასტრისაჲ სტი-  
თატი.—წარეკუშთა ვინმე ბრძენთაგანი სულისა და სამოთხისა ძლითსა  
სიტყუასა ჩემსა...“ 276v—277r.

34. „ნიკიტა მონაზონის სტიტატი ნიკიტას ხარტოფილასა და სჯეკელლოსა კორონდსა.—მარადის შენნი ყოველნი საყუარელ ჩემდა და წადიერებით შესატკობელად არიან, სასურველო მეუფეო...“ 277რ.

35. „ნიკიტა უნდოა მონაზონი და ხუცესი სტუდიელთა მონასტრისა სტიტატი ბასილის მესიბრძნისა.—შენისა უკუშ სხუათა სულიერთა საქმეთა შინა მოლუაწე ქმნილთა...“ 277ვ—281რ.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 4 ეპისტოლეს.

ანდერძი: (ტექსტის დასასრულს, სინგურით): „ალიწვრა წიგნი ესე სულთ-სარგებელი და უფროასად ღმრთისმოყუარე კელითა სიტყუათა ამათ მამისა, კაცისა მდაბლისა და არარაჲს ღირსების მქონებელისაჲთა თთუშსა იანვარსა, ინდიკტიონსა სამსა. დასაბამითგანთა წელთა ხელს. მილოცეთ უკუშ მე, ამის მიერისა სარგებელისა მომსთუღებელნი ძმანო, ყოფადისა ცხორებისა და საცნაურისა სამოთხისა საშუებელსა, ვითარ-იგი სრბამან სიტყუსამან გამოაჩინა თანა-ზიარ ყოფაჲ მუნ მხიარულ-ქმნილთა თანა წმიდათა ღმრთისათა მათთჳს დამარხულთა შინა კეთილთა, ვინაჲთგან, ვითარცა ჰხედავთ, კეთილი ესე საწურთელი ტაბლად უზრწნელად ყოველთა კეთილთა მიერ აღსავსედ განვჴინე წინაშე თქუენსა მხიარულ-ყოფელად სულთა თქუენთა, განმკუთნველობისა ამათისა ტკივულობით მეძიებელთა და სურვიელთა ცხორებად დაფარულითა ცხორებითა ქრისტეს თანა უფლისა ჩუენისა ამის.“ (281რ).

ანდერძის გასწვრივ კიდევ: „თუთ ამის ღირსისა მამისა საკითხავთა ამათ გამომეტყუშლისაჲ არს ანდერძი ესე.“ (281რ).

36. „მისივე, წინა შესავალითგან მაწუშველი სიტყუაჲ სინანულისა მიმართ და სიტყუსა მისთჳს მოციქულისა, ვითარმედ: რომელნი წინასწარ იცნნა ესენი წინასწარცა განაჩინნა და შემდგომი, და გარდამატკეველთათჳს ამისთა და ყოვლისა სწლესა წერილისათა. მშო, გჴხნ.—მრავალთაჲ მასმიეს კაცთაჲ, იტყოდინან რაჲ, ვითარმედ ვინაჲთგან რომელნი წინასწარ იცნნა ღმერთმან, ესენი წინა განასახლვრნაცა, ხ რომელნი წინათ განასახლვრნა, მათ უწოდა...“ 281რ—286ვ.

37. „მისივე, ბასილის მიმართ მონაზონისა, ბასილის მონაზონისა ნიკიტა მონაზონი.—შენ უკუშ თარგმანებისა მიმთხუშვაჲ ჩემ მიერ სამოციქულოჲსა მის სიტყუსა ესრეთ მეტყუშლისა ითხოვე...“ 286ვ—287ვ.

38. „დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაჲ მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიტყუასა მას ღმრთისმეტყუშლისასა მეტყუშლსა: ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს იჩინა ყოფად.—თქუენ ვემე მრავალთა ძმათა შორის პირმშოებაჲ—თურასა ცხად ჰყოფს სახელი ესე...“ 287რ—288რ.

39. „ნესტორიანისა მიმართ სიტყუს-გებაჲ თეოდორე ფილოსოფოსისაჲ.—აჲა, წარმოლდა ღუაწლი სიტყუსგებისაჲ...“ 288რ—289რ.

40. „სიტყუს-გებაჲ მწვალე ბელისა და მართლადი დიდებელისა თეოდორესი.—მწვა. რასა ჰგონებ შენ, იგივე არს ღმერთი და ღთებდა...“ 289რ.

41. „სიტყუს-გებაჲ თეოდორე ხარანელ ეპისკოპოსისაჲ, რომელსა ეწოდა ავეუქურა, ქმნილი მთავრისა მიმართ ედნისა შეიგანთაჲსა, რომელმან ითხოვა მისგან, რათა მოპოვნებითა გულის სიტყუათა მიერ გამოაჩინოს და უხუშნოს მას, ვითარმედ არს ღმერთი, ხოლო წინა დაწესებულ არს

6538 -

5508 =

1030 ჯ.

სტყასა ვნემ ზედა მართლმადიდებელისასა ანი, ხოლო ურწმუნოხასასა ბანი.—ჰკითხა ურწმუნომან მართლმადიდებელსა...“ 289r—294r.

ანდროძი (ტექსტის დასასრულს, სინგურით): „ესე მე ესრეთ ვიფლუე აქამომოდე უნდომან, მეცა მიერვე ვანეორე, იო ან ე.“ (294r).

ანდროძის გასწვრივ კიდევ ჯვარდინად, სინგურით „არ სენი“ (294r).

42. „მისი ევე, მოძღურება შემოკლებული საღმრთოთა სახელთათვს საზოგადოთა სამებისათა და განთვსებულთა თითოეულისა გუამისათა.—არიან საზოგადონი სახელნი წმიდისა სამებისათვს მოხუმულნი...“ 294v.

43. „განჩეგა და განქეშმარიტება (გნქტება) ფილოსოფოსთა მიერ მოვსენებულთა ვმათა და მხილება უთავოთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთაგან მხრწნელისა წვალებისა.—რომელნი ქეშმარიტ შჯულთა ტრფილ და წინამბრძოლ არიან, საჭირო არს მათთვს ვმათა, რომელთა ფილოსოფოსნი უფროჲს განითვსებენ...“ 294v—298r.

44. „სარკინოზთა მიმართისა სიტყუს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავეუქარაქსი.—ჟამად-ჟამად შემთხუშულნი ეკლესიისა და კუშთებანი მწვალებელთანი...“ 298rv.

45. „სხუა ქადაგება გამომაჩინებელი, ვითარმედ მუჰამედ არა არს ღმრთისაგან.—ჩუშულება აქუს მაჩუშნებელთა სარკინოზთაგანთა არა მოკითხვად ქრისტეანთა შეემთხვნენ რაჲ, არამედ მეყსეულად თქმად...“ 298v—299r.

46. „გამოჩინება ქეშმარიტი მაგალითისა მიერ, ვითარმედ მტერი იყო ღმრთისა მუჰამედ და ვითარმედ ეშმაკისა მიერ იგუშვებოდა.—უკრთუ ყოვლისავე ცის ქუშისა დაბადებულისა მფლობელმან მეფემან...“ 299r.

47. „აღსარება და მამტკიცებელი ქრისტეანობისა და უკნინესთაგან ქადაგებისათა.—უსიტყუერესსა ვისმე სარკინოზთასა ესმა ეპისკოპოსისათვს...“ 299rv.

48. „სხუა სიტყუს-გება გამომაჩინებელი, ვითარმედ ჯორცი ქრისტესი არს შეწირული იგი და კურთხეული პური.—სხუასა სახესა სიტყუს-გებისასა იყო სარკინოზმან და ჰქა... 299v—300r.

49. „სხუა სიტყვის-სგება ერთგვის ქორწინებისათვს. კითხვა სარკინოზისა.—ვინაჲ, ჟეპისკოპე, გიჩნს თქუენ ერთგვის ქორწინება...“ 300rv.

50. „მისი ევე, ვითარმედ არცა ვნებასა მისსა დაიქსნა გუამი ქრისტესი.—სხუასა შინა პაექრობითსა სიტყუს-გებასა სიტყუამქვერზან ვინმე სარკინოზმან ჰკითხა ეპისკოპოსსა...“ 300v.

51. „გამოჩინება, ვითარმედ აქუს ღმერთსა ძე თანაარსი დაუსაბამო და თანასამარადისოჲ.—აგარიანთა ღონისძიება და ყოველი მოსწრაფება მათი აქსა მიმართ ხელავს...“ 300v—301r.

შენიშვნა (ტექსტის დასასრულს, სინგურით): „დასასრული ყოვლად ბრძენთა სიტყუს-გებათა ყოვლად ნეტარისა თეოდორე ავეუქარაქსთა“ (301r).

52. „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნენ ჯორცთასა.—ლოცვის ყოფად ჩემთვს ვევედრები ყოველთა...“ 301r—302r.

53. „მისი ევე, მისვე სიტყუსაგან ორმოცდა მეთცხრამეტისა თავისა.—ხოლო პლ მყოფობისა წარრევასა დავარულსეთ...“ 302v—303r.

54. „მისივე, მისვე სტრომატოხსაგან, სადა-იგი იტყვს მეგვპტელთა მიერ სახარებად სახელდებულისა მისთჳსცა.—ხოლო აღიარებს მჴნე ესე ყოველად პლატონიანად სალო(!) ყოფასა სულისასა...“ 303r.

55. „დიონისიოს ალექსანდრიელისაჲ სულისათჳს თარგმანებისაგან ეკლესიასტისა.—ამისთჳს უკუშ შემდგომობისაებრ წესისა შეუდგების ესე...“ 303r.

56. „არა პირველ მყოფობისა არცა პირველ მცოდველობისათჳს სულთაჲსა პეტრე ეპისკოპოსისა ალექსანდრიელთაჲსა და მოწამისაჲ.—თქუა ღმერთმან: ვჴმენ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ...“ 303r.

57. „წმიდისა მეთოდი ეპისკოპოსისა და მოწამისაჲ აღდგომისა ძლითისა სიტყჳსაგან სულისათჳს.—უკთუ საჭირო არს განსაზღვრებად ჯორცთაჲ, უკუშ საკრველად საგონებელ-ყოფაჲ...“ 303r.

58. „იპოლიტე ეპისკოპოსისა და მოწამისა თარგმანებისაგან დაბადებისა.—არამედ ერთისა კაცისათჳს არს ყოველივე მოთხრობაჲ...“ 303v.

59. „ევესტათი ეპისკოპოსისა ანტიოქელისაჲ სულისათჳს აღწერილისა სიტყჳსაგან.—არამედ ვინაჲთგან ამიერ შეიწრებულად დაშობილად ჰხედვენ თავთა თჳსთა...“ 303v.

60. „მისივე ნეტარისაი ათანასისი ფილოსოფოსისა მჴქსიმეს მიმართისაგან სიტყჳსა.—ხოლო ჩუენ ყოველნი ადამისაგან ვიშვებით...“ 303v.

61. „მისივე, ცხოვრებისაგან წმიდისა ანტონისა. ხოლო ჰყოფს სტყჳსა ამას ანტონის მაგიერ.—ვითარ მბასრობთ, ჩუენ ვიტყოდით რაჲ კაცად გამოჩინებასა ქრისტესსა...“ 303v.

62. „მისივე, სულისათჳს, ეპისტოლისაგან დასაჯსნელისა ორიგენის შჯულთაჲსა, რომელი აღწერა პირითა კრებისა მეგვპტელთა და ალექსანდრიელთაჲსათა.—ხოლო უკთუ პლვე სული ზეცათა შინა...“ 303v.

63. „კვილიე ალექსანდრიელ მამათმთავრისაჲ მოსაჯსნებელისაგან იოვანეს სახარებისა სულისათჳს.—უკთუ შეშხადებისა კაცობრივთა ჯორცთაჲსა პლვე შეიჴმნა სული...“ 304r.

64. „კვილიე ეპისკოპოსისა იპრუსალემელისაჲ მეოთხისა საკათაჲუმეველოხსაგან.—ისწავე უკუშ ესეცა, ვითარმედ უწინარეს სოფლად შემოსლვისა არარაჲ უცოდაეს სულსა...“ 304r.

65. „მისივე, მეთოთხმეტისა საკათაჲუმეველოხსაგან.—მაშინ თქუა ღმერთმან, ვჴმნეთ კაცი ხატებად ჩუენდა და მსგავსებად...“ 304r.

66. „დიოდორე ტარსელ ეპისკოპოსისაჲ მანიჴეველთა წინაგანწყობად აღწერილისა პლისა წიგნისა მეშჳდისა თავისაგან.—და რამეთუ სული ჯორცთაჲვე თანა დაჰბადა და არარაჲ უმეტესი აჴუს ჯორცთა შორისისა მის მეცნიერებისა მისისა...“ 304r.

67. „მისივე, დასამჴობელად აპოლინარისა, აღწერილისა პლისა წიგნისაგან თავოანად სახელდებულისა.—და რაოდენთაცა უხილაეთა ძალითა ვითარცა ღმრთისა მიერ დაბადებულთათჳს მოიჴსენეს...“ 304v.

ანდერძი: ტექსტის დასასრულს, სინგური: „საუჴნოდმცა იჴსენების არსენი. აჴა დასრულდა ერთბამად განჴიჴებაჲ/ ელლინებისა სულთა პირველ ყოუისაჲ/და თანად ორთა უფსჴსულისა ვეშაბთა. ორიგენის და ნაზენ-ტოხს საეთჳრისა“ (304v).

68. „თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარებდა, რომელი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა მოუჴდებოდის.—აღსარებდა უკმს მას და განქიქება ყოვლისა წესისა და ჩუშულებისა...“ 304v—305v.

69. „წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან წმიდისა მომართ და ქეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუენ ქრისტიანეთასა.—პირველად უკუშ რომელი-იგი მოუჴდებოდის მართალსა სარწმუნოებასა იმარხავს ორსა შუდეულსა...“ 305v—306r.

70. „შეჩუქნებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა.—რომელი საძაგელისა მისგან წვალებისა იაკობიტთა და ხაჩეცართასა უბიწოსა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა სარწმუნოებასა ყოვლითა სულითა და გულითა მოუჴდებოდის...“ 306v—317v.

71. „ყოვლად ბრძნისა ევსტრატრი ნიკიელ მიტროპოლიტისა მოსაჯენებელი შეშოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესია მათი, და რახათს სლოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიქრნეს.—იყო, ოდეს მყუდროებდა აქუნდა ყოველსა საეკლესიოსა დაწყნარებასა...“ 307v—309v.

72. „ჯსენებდა სიტყვს-გებისა და სასჯელისა შჯულისათვს ქრისტიანეთასა და სარკინოზთა.—და იყო, რაჟამს მოიწია კელმწიფე, რომელსა ერქუა იამამე ქალაქად ტფილისად...“ 309v—312v.

შენიშვნა: 1. ტექსტის დასასრულს (312v) ნუსხურად მოთავსებულია ნაწყვეტი: „ნიკიტა სჯველლოსისა ხართ ოფილაკისა კორონდისაჲ პასუხად მიწერილი ნიკიტაჲს მიმართ სტუდიელთა წინამძღუარსა სტიოთატისა.—წარვიკითხე უფროსად, პატროსანო მამო...“ ეს ტექსტი მოთავსებულია მთლიანად კრებულის 277r-ზე).

2. ხელნაწერს გააჩნია მრავალი შენიშვნა და სქოლიო, შესრულებული კიდევბზე გადამწერის ხელით. მნიშვნელოვანი ადგილების ყურადსაღებად მიწერილია „იხილე“ (107r), „შეშნიერი“ (100v); „შეისწავე“ (105r, 111r); „იხილე უცხო და შეშნიერი“ (106r); „შეისწავე შენიერი ყოვლად“ (191r) და სხვ.

3. კიდევბზე ტექსტის ხელით ჯვარედინად მიწერილია მთარგმნელის სახელი. სინგურით—„თარგმანი არსენი“ (1r, 39v); „არსენი იტყვ“ (39r); „თარგმანი მამისა არსენისი“ (103r).

4. ხელნაწერს აქვს რვეულდბრივი სათვალავი (სულ 41 რვეული).

5. ყუაზე რუსულად სწერია „Догматика“.

6. ხელნაწერს აქვს სქემები (42r, 48r) და სურათი ჯვარცმისა (23v).

7. ხელნაწერს თან ახლავს 5 ფუროცელი ღვთისმეტყველური ხასიათის ტექსტების ნაწყვეტებით, მხედრულად.

მინაწერბო: 1. ნუსხურად: „წმიდის აექსენტიის ბორცუსა მონასტერსა შინა თავადას... მის წმიდისა ქუაბსა ზედა. დეგომარეა კელისა შინამ...“ (11v.)

2. ნუსხურად, სინგურით: „არსენისსა მისრული მღვმეს იტყვს დავით მეფე მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დართუიდი ჴამა. მარჯუშნასა გუშრდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვიდა და დოღმატიკონსა აწამებდა და ცკლისა სოფია წმიდასა იგივე მარტო იქმოდაო. ნუ ეინ დაადგებთ, არამედ დაწერეთ.“ (181r)

9. მხედრულად: „წიგნთაგან ეკუთვნის დავით ესტატეს ძეს თავადს ციციშვილს“ ზემო ყდის საცავი ფურცლის r).

4. მხედრულად: „მეწირულ არს იასონ დავითის ძის ციციშვილისაგან წილა-კითხვის სახოგადობისადმი“ (ზემო ყდის საცავი ფურცლის r).

5. მინაწერბები არის: 100r, 114r, 238r.

(733)

1464

## ანტონ I. სადღესასწაულო და თვენი. 1760

I + 853 ფ.; 29.5 X 18; ქალაღი; ტვიფრული ტყავგადაკრულქ მუყაოს ყდა; აქეს ზედა და ქვედა ყდის საცავი ფურცლები: თაენაკლული; მხედრული: სათაურები ასომთავრულით. სინგურით: 1760 წ. (7 რ, 85 ვ); აქეს კვირნიშანი; გადამწერი—მიხაილ იოანეს ძე (850ვ); გადამწერის ადგილი—ქ. ვლადიმირი, ბოლოლუბსკის მონასტერი (850ვ); დაუწერელია: Irv, 1r—2v, 3v—4v, 7v—8v, 104v, 851r—853v; შემოწიულია იასონ დავითის ძე ციციშვილის მიერ. (3რ).

„თთუშსა სეკდემბერსა აქუს დღე ლ.—პლსა დღესა დაწყება ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწდისა. და ჯსენება ღირსისა მამისა ჩნისა სიმეონ მესუშტისა არხიმანდრიტისა და დედისა მისისა მართასი, და კრება ყდ წისა ლსნიშობელისა, რომელი იყო მასიანეს და წისა მოწამისა აითალასი, და წთა მოწამეთა მ დედათა, და წისა ამონადიაკონისა და მოძღუარისა მათისა, და წთა მოწამეთა კალისტე, ევოდო და ერმოგენისი და მოყუასთა მათთა, და ჯსენება მართლისა ისოსი, ძისა ნავესი. მწუხრად.—ნეტარ არს კაცი ა. აღსავალი. ხოლო უკეთუ არს შაბათი, წარვიკითხავთ კანონსა სრულიად. უო ლალადგყავსა ზედა, აღვიღებთ მუჟლთა ი. და ვგალობთ დასდებელსა ინტიკტიონისასა გ, ჯმა ა. ზეცისა განწესებულთა.—თავადისა ქრისტეს ღისა მოძღურებასა მიერ ლოცუა გკსწავს ჩნ ყოველთა დღეთა ესრეთ მასა მიმართ ჯმობად...“ 9რ—842v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს ანტონ I-ის მიერ შედგენილ „თვენს“

2. ხელნაწერს წინ უძღვის ანტონის წინასიტყვაობა, თაენაკლულია, იწყება: „...მცა არა იცოდეს მომატებაცა და მოკლებაცა...“

(იხ. კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკონის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV. გვ. 176—186 1957 წ. თბილისი).

3. ხელნაწერს ერთვის: „ღუთისმშობლისა აღდგომისა რუა ჯმათა ზედა“ 843რ—850v.

4. კიდევ ტექსტის ხელით არსს გაკეთებული შენიშვნები: 164v, 266v 463v.

5. ქვედა აშიაზე ხელნაწერს აქეს რვეულების სათვალავი (სულ 105 რე რვეული) ანფრქები: (გადამწერისა). 1. „ვიწყე კელჰყოფად გარდამოღებად სადღესასწაულოსა და თთუშისა წელსა 1759 წელსა, ნოემბერსა 15. და სრულ იქმნა სადღესასწაულო წელსა 1760, თთუშსა სეკდემბერსა 24. და კდ ამისევე წლისა თთუშსა ამას ნოემბრისა 29 დღესა სრულ არს თთუშნიცა, თთუშ ექვისი ვიდრე მარტადმდე“. (7რ)

2. „ალიწერა კელითა მიხაილ იოანეს ძისათა. რომელი იყო წინამძღუარი. მონასტრისა ბოლოლუბ[ოვის]სა ქალაქსა ვლადიმირს, არქიეპისკოპოსობასა ვლადიმირისა და იაროპოლის ზედა ანტონ პატრიარქისა, მეფის ძისასა, წელსა 1760, სეკდემბერს 24. ვინც იხილვიდეთ... მოიკუნე...“ (850v).

მინაწერები: 1. „ესე სადღესასწაულო არს თავადის დავით ციციანოვისა ჩყთ-ს, აპრილის ბ-ს დღესა“. (3რ).

2. „შეწირულ არს იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ ქართველთ წერა-კითხვის აღმადგენელთ საზოგადოების წიგნთსაცავში. 1890 წელს“. (3რ.)

3. ანტონის წინასიტყვაობის ბოლოში „მდაბალი და ყდ უნდოა არხიების-კობოსი ანტონი ვლადიმირისა და იეროპოლისა“. (7რ.)

(734)

1465 ა

კვინტუს კურციოსი. ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. 1846 წ.

I+444 გვ.; 21,2×17,2; ქალაღი: მუყაოს ყდა; მხედრული; 1846 წ. (1.443); მთარგმნელი და გადამწერი თავადი დავით ევსტათის ძე ფანასკერტელ-ციციანოვი (1.443 გვ.); შემოწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ (I); დაუწერელია: I v. 2.22. 235—236, 444 გვ.

„იოანე ძრეინსღეიმისა აღუსებანი კვინტოს კურციოსისაღმი, საქმეთათს ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელისა. წიგნი პლი. თავი ა.— ცხოვრება და საქმენი ალექსანდრესნი, დამპყრობელისა სპარსთა სამეფოასა და ბერძენთასა, აღსწერნეს მრალათა ბერძენთა, რომელთაცა რიცხვთა შორის უფროსი ნაწილნი იყუნენ თუალით მხილველნი...“ 23—443 გვ. გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწრს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „კვინტოს კურციოსისა ისტორია თს ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა აღუსებთა ძრეინსღეიმისათა და სხუათა მიერ. თარგმნილი ლათინურის ენისაგან სტეფანეს მიერ [კრაშე] ნიკოვისა, აკადემიის. ჰსწავლათა პროფესორისა მიერ. მებუთედ გარდამოცემული. ტომი პირველი. სანკტპეტერბურღს იმპერატორის აკადემიის ჰსწავლასა შინა 1809. ხოლო რუსულღით ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი თავადის დავით ევსტათის ძის ფანასკერტელ-ციციანოვის მიერ 1846 წელსა, დეკემბრის 30.“ (1 გვ).

ბ. „წინასიტყუობა, რღლთაცა წარუკითხავთ კვინტოს კურციოს მხოლოდ რუსულს ენასა ზედა, მით უიჭველად არ ეკმნებისთ, რამეთუ იყო იგი გარდმოთარგმნილ მეორედ. და რღრნი პღნი წიგნი აწინდელის თარგმანისა არღალა თუ მცირედ მიემსგავსებან მოსკოურს გარდამოცემულსა...“ (გვ. 3—6).

გ. „ნათესავ-სიტყუობა ალექსანდრე დიდისა რინეკციითგან.—დიდი ალექსანდრე იყო მამით შაამომავალი ღერკულესისა.“ (გვ. 7—11).

დ. „შემოკლებული წელთ აღწერა კურციოსისა...“ (გვ. 12—21).

2. ხელნაწერი წარმოადგენს კ. კურციუსის ისტორიის პირველ ნაწილს და შეიცავს ხუთ წიგნს. გაგრძელება იხ. S—1465 ბ-ში.

3. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. „Описание“ ტ. II. 820.

4. კვინტუს კურციოსის ისტორია თარგმნილია ლათინური ენიდან სტეფანე კრაშენნიკოვის მიერ. იხ. S—1466 შენ. 1.

ანდერძი: „სრულ იქმნა ჩემვ წელსა, დეკემბრის ლ-ს, დღესა ოთხშაბათს დავით ჟუანასკნელი სიტყვა ზეფულად). 443.

შინაწერი: „შეწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ ქართულ წერა-კითხვის აღმდგენალი საზოგადოების წიგნთსაცავისადმი 1890 წელს“. (I)..

1465 ბ

კვინტუს კურციოსი. ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. 1854 წ.

№V+426 გვ.; 21,2×16,8; ქალაღი: ტეიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1854 წ. (408); მთარგმნელი და გადამწერი თავადი დავით ევსტათის ძე ფანასკერტელ-ციციანოვი (გვ. გვ. 1. 408); შემოწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ (I); დაუწერელია: I v, II v, III v, IV v, 2, 13—14, 274, 409—426 გვ.

„კვინტოს კურციოსისა საქმეთათს ალექსანდრე დიდისა მეფის მაკედონელისათა. წიგნი მეექუსე. თავი პირუსლი.—და ვითარცა აზიასა შინა ჰსწარმოებდა ესე, საბერძენთს და მაკედონიას შინა



იყუიუნენ(!)განუსუწნებლობანი, მეფობდა ლაკედემონსა შინა აღის, ძეგ არხიდამოსისა, რომელი შემწე ექმნა ტარენტელთა, და მოკლეს ბრძოლასა შინა..." (გვ. 15—408).

**შენიშვნა:** 1. ხელნაწერს წინ უძღვის: ა. თავფურცელი „კვინტა კურცია ნაწილი მეორე.“ ფანქრით რუსულად „Квинта Курция“ (IVr).

ბ. თავფურცელი: „კვინტოს კურციოზის ისტორია თს ალექსანდრე დიდისა მაკედონიის მეფისა აღუსებთა ძრეინსლიმისათა და შესწავებითურთ, თარგმნილი მეორედ ლათინურისაგან ენისა სტეფანე კრაშენიკოვის მიერ, აკადემიის ჰსწავლათა პრაფესორისაგან, მეხუთედ გარდამოცემული, ტომი მეორე ს. პეტერბურღს იმპერატორის აკადემიის ჰსწავლათა შა 1809 წელსა, ხ-ქართულად რუსულით თარგმნილი თავადის დავით ვესტათის ძის ფანასკენტელ-ციციანოვის მიერ წელსა ჩემთ“ (გვ. 1).

გ. „შემოკლებული კურციოზის წელთ აღწერა.“ 3-12 გვ.

2. ხელნაწერი წარმოადგენს კ. კურციოზის ისტორიის მეორე ნაწილს და შეიცავს მუქვეს, წიგნიდან მეთემდე. დასაწყისი იხ. S—1465-ა.

3. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. იხ. „Описание“, ტ. II გვ. 820.

**ანდერძი:** „სრულ ვკაყ ჩუნდ-ს წელსა, იანუარის ივ-ს, დღესა პარასკევსა დავით ციციანოვიან“ (ორი უკანასკნელი სიტყვა ხვეულად). 408 გვ.

**შინაწერი:** „Из книг князя Давида Цицианова“ (Iv).

2. „წიგნთაგან თავადის დავით ციციანოვისათა“ (Iv).

3. „წიგნი ვსე ეკუთვნის თავადის დავითის ძეს იასონს ციციანოვს“ (Iv).

4. „შეწირულია ქართულ წერა-კითხვის აღმადგენელი საზოგადოების წიგნთ-სავისადმი იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ 1890 წელს“ (Iv).

(735)

1466

**კვინტოს კურციოზი. ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. 1846 წ.**

368 ფ.: 22,4×17,5; ქაღალდი: უყდო; დაშლილი; აკინძულია 30 რვეულად: მხედრული; 1846 წ. (362v.); მთარგმნელი და გადამწერი თავადი დავით ვესტათის ძე ფანასკეტელ-ციციანოვი (Iv, 362v.); დაუწერელია: 11v, 338v, 363v—368v.

„იოანე ფრეინსლიემისა აღუსებანი კვინტოს კურციოზისადმი საქმეთათს ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელისა. წიგნა პლი. თავი ა.—ცხოვრება და საქმენი ალექსანდრესნი, პერსთა სამეფოჲსა და საბერძნეთისა დამპყრობელისანი, მრავალთა ბერძენთა აღსწერნეს, რომელთაცა რიცხვთა შორის უმეტესი ნაწილი იყვნენ თვალთ მხილველნი...“ 12r—362v.

**შენიშვნა:** 1. ხელნაწერს წინ უძღვის: ა. თავფურცელი „კვინტოს კურციოზის ისტორია თს ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა აღუსებთა ძრეინსლიემისათა და სხვათა მიერ. თარგმნილი მეორედ ლათინურისაგან ენისა სტეფანე კრაშენიკოვისა, აკადემიის ჰსწავლათა პრაფესორისაგან, მეხუთედ გარდამოცემული. ტომი ა. ს. პეტერბურღს იმპერატორების აკადემიის ჰსწავლასა შა 1809 წელსა. ხ-რუსულით ქართულსა ენასა ხედთ თარგმნილი პოდპორუთიკის თავადის დავით ვესტათის ძის ფანასკენტელ-ციციანოვისაგან წელსა 1846. დეკემბრის 30-ს დღესა“ (Irv).

ბ. „წინასიტყუაობა, რლთაცა წარუკითხავთ კვინტოს კურციოზ მიძღოდ რუსულსა ენასა ხედა...“ 2r—4r:

გ. „ნათესავსიტყუაობა ალექსანდრე დიდისა რენეკციოთგან...“ (4v—6v).

15. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

დ. „შემოკლებითი კურციოზის წელთ აღწერა...“ (71—115r).

2. ამოვარდნილ ფურცელზე ტექსტის ხელით მიწერილია: ა. „სტადიონსა ზედან: სტადიონისათჳს ძველი ღრამმატიკოსი საზღუართათჳს რიღალაციისათა ფურცელსა შინა 298 ჰსწერს: ველი ზღვისადმი ერთსა სტადიონსა შეიცევდა, ასოცდახუთსა ბიჯსა, ესე იგი 625 ქუტთა: რვისა სტადიონისაგან შეზღვების მილი—ხუთი ათასი ქუტი“.

ბ. „სამკრეთ დასავლეთისა: სამხრეთ დასავლეთისა ქარი, არს ლათინურად აქრიკუს, ხოლო ბერძულად ლიქ ეწოდების; ამისთჳს რომელ იტალიანთადმი მისვლა არს ზანთრისგან დასავლეთის აფრიკელთა მხარით. ზღვისანი უწოდებენ მას ზუიდესტად“ (363r).

ანდერძი: „სრულ ვაყავ ჩემვ-ს წელსა, დეკემბრის ლ-ს, დღესა ორშაბათს“ (362v).

მინაწერი: თანქრით „ვამართული არის“ (56v).

(736)

1467

### ვახუშტი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. XIX

495 ფ.; 34,2X21,5; ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ყდა; ზედა ყდა აგლეჯილია და ქვედა მარჯვენა მხარე მოხეულია; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი; და; წერელია: 1v, 2rv, 449r—495v; 1—31 ფ. ამოხეულია; შემოწირულია იასონ ციციანოვის მიერ (1r).

[ვახუშტი, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია].—  
„ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი.—ღმერთმან სიბრძნითა თვისისა მოწყალებისათა გამოუთქმელითა და მიუწითმელითა დაჰბადა კაცი...“ 10r—448v.

წყდება: „... და ამათ გამომცდელობდა პირველ ოდიშსა და აწუმეტეს იმერეთსაცა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის ვახუშტის წინასიტყვაობა, რომელსაც თავი აკლია. „... მიმართ და მოგვანიჭებს ყოველთა წინათქმულთა ცნობასა ჰქელოვნებასა და გამოცდილობასა, ვითარცა იტყვის იგივე სტოიკი...“ (3r—9v).

წინასიტყვაობა მთავრდება: „...ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩღმე, ქართულსა უღგ, ოკდონბერსა კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას“ (9v).

2. ხელნაწერის შედგენილობა:

ა. ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი (10r—25r).

ბ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (25v—30r).

გ. ნათესავთ აღწერისა და წილთათვის (30r—186r).

დ. უწყებულება მკითხველთათვის (186v—190r).

ე. აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მითით, მინდვრებით და ადგილთა და მათ შინათა შენეხულებათა (196r—239v).

ვ. შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა (239v—313r).

ზ. აღწერა ქერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კრდთუშეთისა და დიდოეთისა (313v—361r).

თ. აღწერა აწინდელის ოვსეთისაანუ კავკასიათა შინათა სახელისათვის (361r—369r).

ი. აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსთა (369v—383r).

ია. ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა (383r—405v).

იბ. აღწერა ეგრის ქვეყანისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (405r—423v).

ივ. ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (423v—448v).  
იმერეთის ისტორია წყდება 1683 წელზე.

3. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, ტ. II, გვ. 671—672).

მინაწერი: „შეწირულ არს ქართველთ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავისადმი იასონ დავითის ძის ციციანოვის მიერ 1890 წელსა, მაისის 6-სა, ს. ქარელიდან“. (1r.)

2. მინაწერი არის აგრეთვე 1r-ზე.

## 1468

ანტონ კათალიკოსის მიმოწერა სხვადასხვა პირებთან.

გადატანილია Ros.—121.

## 1469

ხარჯის დაეთარი. გადატანილია, სხვადასხვაში—№ 40.

(737)

## 1470

## ვახუშტი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. XIX

86 ფ.; 32,7×20,6; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ქვედა ყდის საცავი ფურცელი); ბოლონაკლული; მხედრული, სათაური და საწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით; [XIX].

[ვახუშტი, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია].—

„ტომობა და შთამომავლობა ქართულთა ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.—აწ (ზნეთათჳს) ვიწყით ძველიდამ ახლამდე საქართველოჲსათა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა...“ 1r—86r.

წყდება: „... არამედ ბილწისა სჯულისა მათისა მხურვალებითა წარმოემართნენ ქართლსა ზედა, მოესმა რა მეფესა მოსულა მათი, და ვითარ გამარჯვებულ იყო მათ...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის შემადგენლობა: ა. ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ (1r—8r.)

ბ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (8r—10r.)

გ. საქართველოს ისტორია დასაწყისიდან XV საუკუნის დამდეგამდე.

2. ტექსტში ჩართულია იამბიკონი: „თამარ მეფამ რომ ხალიფაზედ გაიმარჯვა, ბახულისა ღის მშობელის დროშა და მანიაკი მიართოა, ეს იამბიკონი ხუთმუხლუენი ოცდახუთ მოლექსად წარსწ.“

ცასა ცათსა, დამწყები ღთთ მთავრობა...“ (54v) (აშიაზე მიწერილია ტექსტის ხელით „ეს იამბიკონი ვახუშტისაში არა სწერია“).

3. ხელნაწერის ტექსტი მისდევს დ. ბაქრაძის მიერ გამოცემულ ტექსტს. იხ. საქართველოს ისტორია, ვახუშტი. ტფილისი. 1885 წ.

ხელნაწერის ტექსტი წყდება 1885 წ. გამოცემის 296 გვერდზე.

4. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. E. Такашвили, Описание, ტ. II, გვ. 671).

(738)

## 1471

## ზატკი. 1786

1+374 გვ.; 29,6×20,4; ქალაღი; ტვიფრული ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით. საწყისი ასოები და ზოგიერთი სათაური ასომთავრულით; 1786 წ. (გვ. 371); გადამწერი—მიხაილი (გვ 371); გადაწერის ადგილი

მცხეთა (გვ. 371); დაუწერელია: I v, გვ.გვ. 308; 372—374; შენაწერილია იასონ, დავითის ძის ციციშვილისაგან 1890 წ. (I r).

„დასაწყისი საღმრთოა და წმიდისა ერგასისა, რომელ არს ორმოცდაათი.—იწყების წმიდით დიდისა პასექისა კვრიაკესა ცისკრით, და აღესრულების კვრიაკესა ყოველთა წათასა, რომლითა იპყრობს უნაკლულოდ ყოველისა დღისა სრულისა შედგესა...“ 1—371, გვ.

შენიშვნა: I r-ზე ტექსტის დასაწყისის რამდენიმე სტრიქონია დაწერილი ნუსხურად.

ანდერძი: „იყავნ სადიდებელად შენდა სიტყუაო ღწისაო და უბიწოდ მშობელისა შენისა. 1786. 2/6. იყავნ სადიდებელად შენდა მიხაილ, მცხეთას“ (გვ. 371)

შინაწერები: 1. „მე ტრიფილემ არქიმანდრიტმან სტამბის ახალი ზადიკი გავცვალე ამ მკედრულს ზადიკში და გამოვართვი ტრიფილელს მიხაილს ამისთვის, რომ მკედრული წიგნი უფრო მიყვარდა ხუცურისაგან ჩემის გამზრდელის კათალიკოზის ანტონის გამოითობით. მაისის ი, წელს ჩლეგ. არქიმანდრიტი (ბოლოს დასმული აქვს ოთხკუთხა ბეჭედი ასომთავრული ლეგენდით „ტრიფილე“). გვ. 371.

2. „წიგნთაგან თავადის დავით ციციანოვისა“ (I r).

3. „წმინდა ესე ზადიკი არს თავადის დავით ფანასკენტელ-ციციანოვისა,“ (I r, ქვედა ყდის შიგნით მხარეს).

4. „ჩუხ-სა წელსა, აბრილის კუ-სა დღესა მე ქვემოთე ამის წელის...“ (I r).

5. „შეწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილისაგან ქართულ წერა-კითხვის აღმადგენელი წიგნთსაცავისადმი 1890 წელსა“ (I r).

(739)

1472

## დავითის თარგმანება. 1786

204 ფ.: 32,8×20,5; ქალაღი; ტვიფრული ტყავგადაკრული ზის ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცელი; მხედრული; სათაურები სინგურით, საწყისი ასოები ასომთავრულით; 1786 წ. 5/X (204r); აქვს კვირნიშანი: დაუწერელია ყდის საცავი ფურცლის v, 110v, 176v, 178v. 204v: შემოწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ (ყდის საცავი ფურცლის r).

I. „სიტყუანი ფსალმუნთანი შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებულნი მრავალთა წიგნთაგან. ფსალმუნი ალილუია.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა განზრახუასა უღთოთასა და გზასა ცოდვლთასა არა დადგა. არა ჰნატრის ანგელოსთა, რამეთუ იგინი განზრახუასა უღთოთასა არა მივლენ, არცა ჩივილთა ყრმათა, ვინაჲთგან უცნობელ არიან...“ 4v—178r.

შენიშვნა: 1. კიდევ ტექსტის ხელით სწორია თარგმანების ავტორთა სახელები: ათანასე და კვრილე; უფრო იშვიათად: ვასილი (30v, 71v), ნაქსიმე (37v), ევსუქი (39r, 64r), თეოდოტე (46r, 76r), ოქროპირი (53v, 101r). დორეთე (77r), ორიგენი (107r, 109r).

2. ტექსტი წარმოადგენს ფერემ მცირის თარგმანის მეტად შემოკლებულ რედაქციას.

2. „გალობა მოსესი გამოსლუათა შინა. განმარტება.—გალობა არს თვისსაებრ უკუწ სიტყუსა ჯმა რამე ყოველისავე ჯმისა მიერ ჯმატკბილობით თქმული და ყოველთავე ორღანოთა მუსიკებრითა...“ 179r—204r.

- შენიშვნა: 1. შეიცავს 8 გალობას.  
 2. ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა: „ელუა ღრისა არს მოსწრაფედ მოვლი-  
 ნება ძალსა საკვრელებათა და შეწვენათა მისთასა...“ (1r—4v) წინასიტყვაობის  
 რამდენიმე ადგილი წარმოადგენს დავითნიდან ამოღებულ გამოთქმათა განმარტე-  
 ბას.  
 3. ხელნაწერს თან სდევს ფურცლის ორი პატარა ნაგლეჯი მხედრული ტექსტით.  
 ერთი მათგანი კეხისჯვრის გლეხთა სიას უნდა წარმოადგენდეს.  
 ანდერძი: „სრულ იქმნა წელსა 1786, თთუშსა ოკდომბერსა, 5“ (204r).  
 მინაწერი: 1. „წიგნთაგან(!) ეკუთვნის დავით ესტატის ძეს ციცი-  
 შვილს“ (ყდის საცავი ფურცლის r).  
 3. „შეწირულია იასონ დავითის ძის ციცი შვილისაგან ქართულ  
 წერა-კითხვის აღმდგენელი საზოგადოების წიგნთსაცავში 1890 წელს“ (იქვე).

(740)

1473

## გეოგრაფია. 1814

80 გვ.; 20,8×17,1; მოცისფრო ქაღალდი; ტვიფრული ტყავადაკრული მუყაოს  
 ყდა, მხედრული, სათაურები სინგურით, ასომთავრულით; 1814 წ. (გვ. 79); კვირნი-  
 შანი; ჯადამწერი დავით ალექსიძე (გვ. 79); გადაწერის ადგილი კაბეთი (გვ. 79)  
 დაუწერელია გვ. 80.

„შეყუანილება ლეოლრაფიასა შინა:—ლეოლრაფია არს აღ-  
 წერა ქუშყანისა, რომელსაცა დაჰნიშნავს თვთ სახელი მისი ელინურსა ზედა  
 ენასა...“ გვ. 1—79.

შენიშვნა 1. ხელნაწერი შეიცავს „შეყუანილებას ლეოლრაფიასა შინა“ და ხუთ  
 თავს (ევროპა, აზია, ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია).

2. ტექსტს ახლავს სქემები.

ანდერძი: „აღვსწერე კეთილშობილმან ალექსოვმან ალექსის ძემან და  
 სრულიად კახეთის სამეფოს რეკტორმან სიბრძნის მოყუარემან დავითმან,  
 თვესა დეკემბერსა, რიცხუსა 17, წელსა ჩყიდ, ხ ქართულსა ქორონიკონსა ზედა ფ.  
 კეთილშობილი ალექსის ძე რეკტორი დავით“ (უკანასკნელი სტრი-  
 ქონი ჩართულად). გვ. 79.

მინაწერი: 1. „შეწირულია ქართული წერა-კითხვის აღმდგენალთ საზოგადოების  
 წიგნთსაცავისადმი იასონ დავითის ძის ციცი შვილის მიერ 1890 წელს.“  
 (ზედა ყდის v).

2. „წავეითებ ანტონი ორბელიანმან“ (ქვედა ყდის შიგნითა მხარე).

3. „Сия География принадлежит Давиду Цицианову Командующе-  
 го“ (ქვედა ყდის შიგნითა მხარე).

(741)

1474

## სტროციის მღვმე. XIX

1+49 ფ.; 20,5×16,8; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX]; მთარგმნელი  
 დავით ციციანოვი (1r; 4r); დაუწერელია: Iv, 1v, 2r, 45r—49v.

„სტროციის მღვმე.—განულო ორმან თთუშმან, ვიყავ რა ვენე-  
 ციას, ხოლო მხილულსა ყოველთა ღირს შესასწავებლთა(!) ქალაქსა მას  
 მყოფთასა, მსურდა დატეგება მისი...“ 5r—44v.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის:

ა. თავფურცელი: „სტროციის მღვმე, ფრანციხულისაგან მთარგმნელი ბარ-  
 ბარა ყარაულ-ოვის ასულის მიერ ნებითა ს. პეტერბურგის ცენზურისა.“

თა 1802 წელსა. ხოლო რუსულით ქართულად თარგმნილ არს თავადის დავით ევსტათის ძის ციციანოვის მიერ 1841 წელსა“ (1r).

ბ. „შესწავება: ოდეს ვნებანი გარე საზომისა იქმნებიან, მაშინ ვნებულ-ჰყოფენ და განრყუნიან თუთ ბედნიერთაცა სულის თუკებათა...“ 3r-v.

გ. „მთარგმნელის მიერ. წიგნისა ამის თარგმან რუსულით ქართულსა ენასა ზედა მთხა მე 1837 წელსა განსუწმენებულმან თავადმან იოანე მიხაილის ძემან ქსნის ერისთოვმან. ვერლარა უარ-მყოფელმან თხოვისა მისისამან, და უმეტეს ნათესაურისა სიყუარულისა მისისა თანამდებმან, ველ-ვჰყავ და გარდმოვილე წიგნი ესე რუსულით ქართულსა ენასა ზედა. გარნა საწუხრად ჩემდა დამშთა. რამეთუ დროსა სიცოცხლისა მისისასა ვეო შევიძელ დასრულება, სხუა და სხუათა მიძულეებელთა მიზეზთა გამო. გარნა რათა არა დაშთომილიყო დაწყებული სრომაჲ ესე ჩემი, და უფროს სახსოვრად თავადის იოანე ერისთოვისა, სრულ-ვჰყავ თანამემამულეთა ჩემთა ქართულშელთა ერთა შესაქვევრად უმორჩილესმან მსახურმან თავადმან დავით ფანასკენტელ-ციციანოვმან. 1841 წელსა აგვისტოს 10 დღესა“ (4r).

დ. „კეთილმოქმედება უბედურთადმი მისცემს ჯილდოსა მის მოქმედთადმი“ (2v).

ე. ტექსტის ბოლოს ჩართულად: „დავით ციციანოვი“ (44v).

6. „Строилева пещера“ (ყდაზე).

მინაწერი: „შეწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ ქართული წერა-კითხვის აღმადგენელი საზოგადოებისადმი 1890 წელს“ (1r).

(742)

1475

## რობინზონ კრუზო. XIX

V-98 გვ.; 17×10,1; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX]; მთარგმნელი დავით ევსტათის ძე ციციანოვი (1Vr); დაუწერელია; 1v, 11v, 111v, 1Vv—Vv, 89—98; შეწირულია იასონ ციციშვილის მიერ (1r).

„შემთხუცვარობინზონ კრიუზოესი.—რობინზონ იშუა ანგლიის ქალაქსა იორკას, იყო იგი ძეა ვაჭრისა, რომელმანცა შეიკრიბა საკმაო საუნჯეჲ, განეშორა უცხოს სახლსა გარე ქალაქისა მყოფისა...“ 1—88; გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის თავფურცელი: „რობინზონ კრიუზოემოთხრობა მამის შუგლთა თუსთა მიმართ, თარგმანი ფრანციტულიდგან მოსკოვის, ტიპოღრაფიასა შინა აღე ქსადრე სემენისასა, სოფიის ქუჩასა შინა 1853. ხოლო რუსულით თარგმნილი თავადის დავით ევსტათის ძის ციციანოვისაგან 1861 წელს, სექტემბრის 23 დღესა“ (1Vr).

2. II r-ზე დაწერილია „რობინზონ“, ხოლო III r-ზე „რობინზონ კრუზოე“.

მინაწერი: „შეწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილისაგან ქართულ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავისადმი 1890 წელს“ (1r).

(743)

1476 ა

## ილარიონ ვასილიევი. როსიის ისტორია. XIX

II+80 გვ.; 21×16,6; ქალაღი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX]; თარგმნილია 1829 წ. (გვ. 3); მთარგმნელი დავით ციციანოვი (გვ.3); დაუწერელია; 1v, II rv, გვ. 1—2, 4, 45, 74—80; შემოწირულია იასონ ციციშვილის მიერ. (1r);

[როსიის ისტორია]. „შეყუანილება. ა. ერნი ძუშლის როსიისანი.—როსსია ბირველიდგან იყო გარემოცულ ველურთა და განუნათლებელთ ერთა მიერ...“ გვ. 7—73.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის:

ა. თავფურცელი: „შემოკლებული ისტორია როსისის საჯელმწიფოასა მოსწავლეთაჲს გარდამოცემული ჯელთმძღუნუშობითა უახლესთა თანამეზულეთ (!) ისტორიკოსთათა ილარიონ ვასილიევის მიერ, მოსკოვს, უნივერსიტეტის სტამბასა შინა, 1825 წელსა. ხოლო ქართულსა ენას ზედა თარგმნილ არს თავადის დავით ევსტათის ძის ფანასკენ ტელ-ციციანოვის მიერ წელსა 1829, იანუარის 25“. (გვ. 3).

ბ. მიძღვნა: „მის მაღალკეთილშობილებას უფალს ნადვორნის სოვეტნიკს, დირექტორს მოსკოვის კომერსკის სასწავლებლისას, ისტორიის საზოგადოებისას წევრს და როსისის სიძუშლეთასა და ორდენტა წის ანა მეორის კლასისასა და წის მოციქულთა ჰსწორის ვლადიმირის მეოთხე ხარისხის კავალერს ტიტულექსის ძეს კამენცკის ნიშნად უღრმესის პატივისცემისა და ჰეშმატიტის მაღლოისთჲს უძღუნას(!) გარდამოცემული“ (გვ. 5).

- გ. „წინასიტყვაობა, შედგენილი იოანე ვასილიევის მიერ“ (გვ. 6).
- 2. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს S—1476 ბ-დან.
- 3. ხელნაწერი შეიცავს რუსეთის ისტორიას 1824 წლამდე.
- 4. ტექსტი ძნელი წასაკითხია, ვინაიდან ქალაქი გახუნებულია.

მინაწერი: „შეწირულია ქართულ წერა-კითხვის აღმდგენელი საზოგადოების წიგნთსაცავისადმი იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ 1890 წელს“. (1r).

1476 ბ.

ილარიონ ვასილიევი. როსიის ისტორია. 1829.

I—47ფ.; 22×18, ლურჯი ქალაქი; უყდო; დაშლილი, მხედრული, თავფურცელი და სათაურები ასომთავრულით; 1829 წ. (45v); აქვს კვირნიშანი—1826—1827 (ფ. 10, 33, 38); მთარგმნელი და გადამწერი თავადი დავით ევსტათეს ძე ციციანოვი (45v—46r); დაუწერელია 1v, 2v—3v, 46v—47v; დახიანებულია 5ბ.

„შეყვანილება ა, ერნი ძველისა როსისიანი.—როსისა ძველად იყო მოზღუდვილი ველურთა და განუნათლებელთა ერთა მიერ...“ 4r—46r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის თავფურცელი:

ა. „როსისისა ისტორია“ (ჩართულად) 1r.

ბ. „შემოკლებული ისტორია როსიისის საჯელმწიფოასა მოსწავლეთაჲს, გამოცემული ჯელთმძღუნუშობითა უახლესთა თანამემუშლეთა ისტორიკოსთა ილარიონ ვასილიევისა მიერ მოსკოვს, უნივერსიტეტის სტამბასა შინა 1825“. (1r).

გ. მიძღვნა ტიტულექსის ძე კამენცკისადმი (1v).

დ. წინასიტყვაობა შედგენილი იოანე ვასილიევის მიერ (2r).

2. ტექსტი ნასწორებია და წარმოადგენს ავტოგრაფს. ამ ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი S—1476ა

ანდერძი (მთარგმნელისა): „გადმოვსთარგმნე როსისის ისტორია ესერუსულსა გაჩენისა ქართულსა ზედან წელსა ჩყკო-ს, ჭებერვლის იბ-ს დღესა. ღანუჩის კარახტინში, მიმავალსა როსიად, შემხვდა გზახედ ჩუგუვეის ულანის პოლკის პოდპორუჩიკი ანდრიანე ლეკონტე, რომელი შეერთებითა გზასა ზედან მოვიდა ჩემთანა და ვიყავით რა კარახტინში. იძულებულმან ცუდობითა ვსთხოვე.—აქვს მას ლაკონტეს თჲსთანა წარმოღებულნი წიგნი ვითარნიმე საკითხავად,—რომელმან მოგცა ისტორია. ესე მხილველს ამის მასინდა(!), რათა გარდმოვმელო ქართულად.

არღარა ვრიდებ თავი სიტყვათა გაუწყობლობასა და გადმოვსთარგმნე და მრავალნი საკუთრებითნი ლექსნი და წოდებანი ევროპიულთა სამსჯავროთა ანუ ქალაქთა, ვინა სახედრო საქმეთა შინა საზმართა საკურველთა წოდებანი მითვე წო-

დებიოვე დაესწერე, რადგან არა მქონდა არავითარი მე ლექსიკონი, და ვკვავ ეს უმეტეს დროს განსატარებლად თავადმან დავით ევსტათის ძემ ციციანოვიან“ (45v—46r).

(744)

1477

## ანტონ I, წყობილსიტყვაობა. 1787.

150 ფ.; 16×10,5; ქალაღი; ტვიფრული, ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული სათაურები ასომთავრულით, სინგურიით; 1787 წ. (150v); აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია: 12v, 13rv; შეწირულია იასონ ციციანოვის მიერ (ხედა ყდის v).

[ანტონ I]. „წიგნი წყობილსიტყუაობა.—ნაწილი ა. თვს ღრის-მეტყუშლებისა სამობისა და ერთობისა. თავი ა.—ერთი არს ზესთა დაუსაბამო, კეთილ ზესთ-ნათლოვანი, ერთობა სამირებით...“ 14r—142v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის:

ა. „წინასიტყუაობა(!) წინამდებარისა წიგნისა ხუთთავოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიდიკონისა“ (1r—4v).

ბ. „პინაქსი წყობილსიტყუაობისა“ (5r—12r).

2. ხელნაწერს ბოლოს დართული აქვს: „გარდა ზვდთა ნაწილთა წყობილსიტყუაობისათა, ზედა დართუა სხუათაცა რომელთამე საქმეთა სტიხლოლოსობითად ესენი შაირსიტყუაობით ჩემნივე ქმნილნი. თავი I. წინასიტყვაობა განსაზღვრებისა ძილოსოფიისა ძრიდეროვს ბაუმეისტრისა...“ (142v—149v).

3. ტრიფილეს მიერ თქმული სიტყვა: „ქმნილი მცირისა ტრიფილესაგან დიკონ-მონაზონისა.—ეს წყობილსიტყუა განკარგულ-ქმნილ-თხზულ-ლექსული არს ანტონისგან...“ (149v—150v).

4. წყობილსიტყვაობის ხელნაწერი მისდევს ნაბეჭდ ტექსტს (იხ. ანტონ I წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1853 წ. პლ. იოსელიანის წინასიტყვაობით) ანდერძი: 1. „სრულ იქმნა წელსა 1787, თუშსა სექტემბერსა 17“ (150v).

მინაწერი: 1. „შეწირულ არს იასონ დავითის ძის ციციანოვისაგან ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაჯავისადმი 1890 წელსა, მაისის 6-სა. ს. ქარელიდან“ (ხემა ყდის v).

2. „ჰაერ არსო, მოგვთრა დამასკელმან,  
ნიეთიო წულილი ნოტიი და ჯმელ:  
ცეცხლისა უკუშ არისო უმძიმესი.  
ხოლო ქუშყანის და წყალთა უსუბუქეს,  
აღმომშენვისა და ჯმა-ყოფისა მიზეხ.

კდ უფერულ, ორ-სახე, ორ-საჩინო,  
ნათლისა არის შემწყნარებელ და ბნელის  
მსახურ. სამთა ამთ გრძნობათა. ჩწნთა  
მის მიერ გუშამის და ვხედავთ და ვიყნოსებთ,  
შემწყნარებელც არს სიკხისა და სიგრილისა“.  
(ქვედა ყდის შიგნითა მხარე).

(745)

1478

## ანტონ I. მარტირია. XVIII—XIX

36 ფ.; 35,2×22; ქალაღი; უყდო; დაწლილი; დაუმთავრებელი; მხედრული; სათაურები ნუსხურად; [XVIII—XIX]; დაუწერელია: 12v, 30v—36v.

„შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წრისა დიდისა მოწამისა ქეთავან დედოფლისათა, ქმნილი ანტონისაგან არხიეპისკოპ.



პოსისა: ყოვლისა ზემოდასა საქართუშლოდასა, დავითიან-ბაგრატიონისა, ძისა მეფის იესედასა. სიტყუა პირუშლი.—

ეს ქრისტეს ჰსძალი, იასპ-მჭვრული ლალი,  
არ ნათელ-მცხრალი, არ ყუაველ ფერით მზრალი,  
აქუს საღმრთო ალი, ვითა ცხოუშლი წყალი,  
გული უცს სალი, მით დასცხრა მძლაური მწრალი(!),  
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი.

ვიძლიე მე ჰსჯულისაგან ბუნებითისა და ძლეულებასა ჩემსა აღვიარებ...“  
1r—30r.

წყდება: „... შეწყნარება ბილწთა ჰსჯულის-დებათა ყოვლად უღმრთოდასა მახმედისათა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს სამ სიტყვას (ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ მეფის და არჩილ მეფის ცხოვრებას). ნესამე სიტყვა დაუმთავრებელია.

2. წამება ქეთევან დედოფლისა მისდევს ნაბეჭდ ტექსტს. იხ. საბინინი, საქართველოს საზოთხე, (გვ. 583—597).

3. გვერდებს აქვს ანბანური სათვალავი.

4746)

1479

### კრებული, 1846

1+35 ფ.; 20,6×17; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული, ზოგიერთი სათაური ასომთავრულად; 1846 წ. (9r); გადამწერი—დავით ეგსტათის ძე ციციანოვი (9r) დაუწერელია: 1r, 1v, 9v, 28v—35v; შემოწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ 1890 წ. (1r).

1. „წამება წმინდისა ქალწულისა მარინასი. თთუშსა იულისისა იზ; წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა მარინასი.—შემდგომად აღდგომისა უფლისა ჩრნისა იესო ქრისტესი, და დიდებით ამალღებისა მისისა, სანატრელთა წთა მოციქულთა აღასრულეს სრბა თჳსი...“ 2r—9r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის თავფურცელი: „წამება წმიდისა მარინასი“. უფრო ქვევით „წამება წმიდისა ქალწულისა მარინასი“(1r).

ინავე გვერდზე სამჯერ მეორდება ერთიდაიგივე წინადადება, ორჯერ მხედრულად. ერთხელ ნუსხურად: „წიგნთაგან თავადის დავით ციციანოვისათა.“

2. „წმიდისა და ნეტარისა გრიგორი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისა, თქმული წმიდასა დიდსა პარასკევსა ჯუარცმისათჳს და დაფლვისა უფლისა.—მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქადაგება იგი სახარებისა, და ვითარცა ვმა მალღითა ნესტუთა დაღადებითა სასმენელად თჳსისა ჰსწავლისა ყოველთავე მიუწოდეს...“ 10r—18r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ, (იხ. კეკელიძე, ეტიუდები, V. გვ. 24.)

3. „თთუშსა სეკდემბერსა კ დღესა, წამება წმიდისა მოწამისა ეგსტათისა და სახეოლთა(!) მისთა.—გუაკურთხენ, მამაო.—მესამესა წელსა მარკიანე მეფისასა იყო სპასპეტი ერთი მწნედ ფრიად, რომელი მძლე იყო მარადის ყოველთა მებრძოლთა...“ 18v—25v.

4. „თოუქსა მისსა კბ, სიტყუა წმიდისა და დიდისა ათანასი მთავარ-ეპისკოპოსისა აღექსან დრიელისა მელქისა დეკისათჳს. — მეფესა მელქილს, ვითარცა თქმულ არს, უვიდოდა ორნი ძენი: სახელი პირმშოსა მის მელქილ, სახელივე მამისა თჳსისა, ხოლო უმრწემესა მელქისა-დეკ...“ 26r—28r.

ანდერძები: 1. (მთარგმნელისა): „რუსულსიგან ქართულად თარგმნილი გიორგი წინამძღვრისაგან სამეფუთაა ქალაქსა მოსკოვს 1782 წელსა“ (28r).

2. (გადამწერისა): „აღვსწერე მე თავადმან დავით ევსტათის ძემან ციციანოვმან წელსა 1846, ოკტომბრის 17-ს დავით ციციანოვი“. (ორი უკანასკნელი სიტყვა ხვეულად). 9r.

მინაწერი: 1. „შეწირულია იასონ დავითის ძის ციციშვილის მიერ ქართულ წერა-კითხვის აღმდგენელი საზოგადოების წიგნთსაცავისადმი 1890 წელს!“ (1r).

2. მინაწერი ნუსხურად 1r-ზე.

747)

1485

## მირიანი. 1860

III—126 გვ.; 20,8×17,1; ქალაღი: მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურიო; 1860 წ. 10/III (გვ. 84); გადამწერი გიორგი სოლომონის ძე ჩოლოყაშვილი (გვ. 84); დაუწერელია 1r—IIIv, გვ. 85—126.

„მირიანი. ამბავი დასაწყისი მაზრიყის ხელმწიფისა.—იყო ერთი ხელმწიფე ხოსროვშაჰა. ჩინეთს დგებოდა(!) ამისთანა ძლიერი და მაღალი ხელმწიფე. უშილობას ასე შეეწუხებინა, რომ ყოველი თავისი სახელმწიფო დიდება ჩაღათ მიაჩნდა...“ გვ. 1—83.

ანდერძი (გადამწერისა): სინგურით.

„წიგნი ესე გარდავსწერე საკუთარის ჩემის ხელით.

ღვაწლი, შრომა მე გავსწიე არა თხზუთა, ჩემის თხემით,

წარმკითხველთა საამურად მეგობართ, არ შორის თემით.

მეცა გიორგი სოლომონის ძე ჩოლოყაშვილი ესტკბი მე მით.

ჩუგ წელსა, მარტის ი-სა დღესა

1860-იო годა, 10-იო марта“ (გვ. 84).

(748)

1486

## სირინოზიანი. 1860

IV+276 გვ.; 34,4×21; ქალაღი: მუყაოს ყდა; აქეს ზედა და ქვედა ყდის საცავი ფურცლები; მხედრული, სათაურები სინგურიო; 1860 წ. (გვ. 271); გადამწერი გიორგი სოლომონის ძე ჩოლოყაშვილი (გვ. 271); დაუწერელია: 1r—IVv, გვ. 272—276.

„სირინოზიანი. კარი პირველი. მაზრიყის ხელმწიფისა და ძისა მისისა სირინოზისა ანბავი, შესაქცევლად და სასმენლად კეთილი.—იყო ხელმწიფე ქვეყანასა მაზრიყისასა, რომელსა ეწოდებოდა არღაფ. ესე იყო დიდი და მაღალი ხელმწიფე სდ სახელმწიფო მაზრიყისასა და მრავალნი ხელმწიფენი მონად ჰყვეს...“ გვ. 1—271.

ანდერძი (გადამწერისა): „სი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ი ეს ე გ არ დ ა ვ წ ე რ ე ს ი ყ რ მ ე ს ა შ ი ნ ა ჩ ე მ ს ა, რ ო მ ლ ი ს ა შ ო რ ა მ ა ს და ღ ვ ა წ ლ ს ა რ ა თ ა ვ რ ა ც ხ მ ე ვ ბ ა რ თ ა, მ ო ყ ვ ა ს თ ა და წ ა რ - მ კ ი თ ხ ე ლ თ ა თ უ ს ჩ ე მ თ ა. ვ ი წ ყ ე ი ა ნ ვ რ ი ს ო - ს ა ი და ს რ უ ლ ე ვ ჰ მ ე ნ ფ ე ბ ე რ ლ ი ს კ - ს ჩ ე მ - ს ა წ ლ ს ა.“

1860 Выс. Год... 15—17. გადაწერილია გ ი ო რ გ ი ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ძ ი ს ჩ ო - ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ“ (გვ. 271).

(749)

1488

### მოკლე ცნობები ბაგრატიონთა შესახებ. XIX

7 ფ.; 22,6×17,2; ლურჯი ქაღალდი, უყდო; ნაწყვეტი; მხედრული; 1803 წ.—  
ქვირნიშანი (ფ. 2 და 4); დაუწერელია: 4r—6r.

„მოკლედ მოთხრობა ქართლისა მეფეთათჳს ბაგრატიონთა, თუ რომელნი იყუნენ და ანუ ვითარნი რა საქმენი-ჰქმნნეს, თვნიერსხუათა ვრცელთა ამბავთა მათთა მოვიქსენებთ აქა.—იყო ალექსანდრე 3<sup>ლი</sup>, ჯელმწიფე მეფე და მპყრობელი სრულიად და ერთობით საქართუშლოჲსა...“  
1r—3r.

წყდება: „... და წარმოავლინა მეფედ ქართლისად.“

შენიშვნა: 1. ხელნაწერს თან ერთვის სხვა ხელით ნაწერიმე-7 ფურცელი, ზომით 17,7×12,6, რომელიც შეიცავს მუხრანბატონთა გენიალოგიას.

2. ხელნაწერი წარმოადგენს კონსპექტს, რომელიც შეიცავს მოკლე ცნობებს ქართველ მეფეთა შესახებ ალექსანდრე I-დან შაჰნავაზამდე.

3. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. (იხ. Описание, ტ. II, გვ. 694—695).

(750)

1489

### დავით ციციშვილი. ქართველთა ქცევათა და ჩვეულებათათვის. 164წ

14 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; ნაკლული (დაუმთავრებელი). 1849 (2r); დაუწერელია 2r, 12v—14v.

„შე მოკლებული მოთხრობა ქცევა და ჩუშულებათათჳს ქართუშლთა ერთა და ჟამითი-ჟამად ცუტილებათათჳს მათთა (შეთხზული თავადის დავით ფანასკერტელ-ციციანოვისაგან). თავი ა. რაჟამს უკუშ განიყუნენ შემდგომად წყლით რღუჯნისა ძენი მამათმთავრის ნოესნი დასაბამიდგან სოფლისა 1758 წელსა, მაშინ ქუშყანა საქართუშლოჲსა წილად ჰხუდა შვილისშვილსა მისსა თარგამოსს...“ 2r—12r.

მთავრდება: „... ესე საქმაო არს შენდა, მკითხველო, უკუეთუ გულისჯმა-ჰყო...“ 12r.

შენიშვნა: 1. ავტორის ვინაობა და თარიღი აღნიშნულია 2r-ზე: „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩუშულებათათჳს ქართუშლთა ერთა და ჟამითი-ჟამად ცუტილებათათჳს მათთა, შეთხზული თავადის დავით ფანასკერტელ-ციციანოვისაგან 1849-სა წელსა.“

2. ტექსტს წინ მიუძღვის „წინასიტყვაობა“ (1r-v.)

3. ტექსტის ბოლო (11v—12r) ფანქრითაა ნაწერი.

1493

### ქართლის თავადებისა და აზნაურთა ნუსხა. XIX

გადატანილია SM-ში, № 5505.

(751)

1494

## სალექსიკონო მასალები. XIX

20 ფ.; ცალცალკე ფურცლები სხვადასხვა ზომისა (35×22-დან 13×9-მდე); ქალაქი (ცისფერი, თეთრი); მხედრული; დასაწყისში სათაური მთავრულით. კვირნიშანი ფ. 15; [XIX]; დაუწერელია 3r—6v.

„ლექსიკონი ქართულ-სიტყუაობისა, ქმნილი ანბანსა ზედა, რომელითა განმარტებით ცხად-ჰყოფს უკუთ თვთველთა მნიშვნელობათა ლექსთასა. ა. ანი არს წიგნი და ასო პირუელი...“ 1r.

შენიშვნა: მასალები განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ცდას წარმოადგენს. ზოგიერთი სიტყვა საკმაოდ ვრცელადაა განმარტებული. ასახსნელი სიტყვები უმთავრესად სასულიერო ლიტერატურიდანაა ამოღებული (ამბა, ქრისტე, გოლგოთა, მანანა და სხვ.). ზოგიერთი სალექსიკონო ერთეული რუსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი ფ. 17r-ზე განმარტებულია სიტყვა „დებოშირსტვო“—ფრანკუზული ლექსი, ნიშნავს გარყვნილებას...“ ხოლო ამავე ფურცლის v-ზე მოთავსებულია ეგვიპტე განსამარტი სიტყვა რუსულად: „дешипрство-расширство“ და ა. შ.

(752)

1495

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიური  
ტაბულა. XIX

32 ფ.; 21,5×17; ცისფერი ქაღალდი; უყდო, რვეულებად დაკეცილი; მხედრული; კვირნიშანი—1803 წ.; [XIX].

„მეფეთა საქართველოსათა აღწერა, თუ ვინ ოდეს იყო და რამდენი წელი იმეფეს. 1 მეფე ფარნაოზ იმეფა სამოც წელს...“ 1r—32v.

წყდება: „... 1797 ალა მამად-ხან კუალად მეორედ წარმოვიდა განრისხებული საქართველოზედ და მოვიდა შუშას; და იენისს ცხრას მოკლეს შუშის ციხეში...“

შენიშვნა: ტაბულების ძირითადი ნაწილი (4r—32r) ამოღებულია ვახუშტის ქრონიკონებიდან, დანარჩენი—„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებიდან.

(753)

1496

## დავით ბაგრატიონი, ახალი შიხი. XIX

32 ფ.; 20,5×16,5; უყდო; ცისფერი ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; სხვადასხვა კვირნიშნისანი ქაღალდი (ფფ. 8.23); [XIX]; დაუწერელია 32 v.

(ახალი შიხი), „მისის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითისგან ქმნილი ათორმეტნი წარწერილობანი, მოცალებობა, კაცთა შესაქცევლად უქმნათვის. წიგნი აფერიასადმი.— ოდეს გონება ჩემი უზომოთარე მწუხარებითა შფოთიერ იქმნა და ვერ დავახზე საგრძნობელნი...“ 1r—31v.

შენიშვნა: 1. ნაწარმოების სრული სათაური ბოლოსაა აღნიშნული: „ახალი შიხი. მიმოწერა საყუარლისა ანუ საყუარლისადმი, რომელნიცა ცხოვრებდენ მთასა ჭჭქშე კავკასიისასა, ქმნილი ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის გიორგის ძის დავითის მიერ, ათორმეტ წერილებად, მოცალებობა, კაცთა უქმნათვის შესაქცევლად“ (32 r.)

2. ხელნაწერი ნაწარმოების მეორე რედაქციას წარმოადგენს (შდრ. ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, გვ. 65)

(754)

1498

## კრებული. 1854

96 ფ.: 35×22; ქალაღი, მუყაოს ყდაში; დაუმთავრებელი; მხედრული; 1854. (96v); გადამწერი—ეფემია ავალიშვილისა (96v); დაუწერელია: 1r—2v, 20r—30v, 57v, 65v—66r, 88v—90r.

1. „თვესა, აგვისტოსა იე-სა, მიცვალე ბა წმინდისა ღვთისმშობლისა და ქალწულისა მარიამისა, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილი კესარიელ მთავარეპისკოპოსისა. გ.მ.—არსებამან წმინდამან.., ღირს-მყო ჩიებად... საიდუმლოესა... თანა-დგომითა მნათობისა დიდისა და სასოსა ჩემისა ეფთჳმისითა, რომლისათვისცა ორთავე ვიღვაწეთ და ბიზანტიით გამოვიღეთ გამოთარგმანებული თქმულისაგან იოვანე ღვთისმეტყველისა და მახარებლისა, სიბრძნით აღწერილი და სატრფიალოდ სათქმელი.—რაჟამს სულისა მიერ წმინდისა ღვთისმშობელსა მარიამს ეუწყა ჟამი განსვლისა თვისისა...“ 3r—19v.

2. [ნიკიფორე ხუცესი]. „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვის... გ.მ.—ძმანო ჩემნო საყვარელნო და მონანო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა...“ 31r—88r.

წყდება: „... მოწეწულ არს აღსასრული ამის სოფლისა და მოვალს მსაჯული იგი დიდი განსჯად და მიგებად საქმეთა მათთაებრ. სხდეს ანდრიასი...“ 88r.

შენიშვნა: თარგმნილი უნდა იყოს ექვთიმე მთაწმიდლის მიერ. შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 104.

მინაწერი: „ჩუნგ წელსა ვიღვაწე წიგნი ესე ჩემის ხელით ნაწერი მღვთის მშობლის მიცვალებისა და ანდრია სალოსისა ქრტიგმან იოსებ დეკანოზისა ავალთვისმან ეფემიამ და აღვესრულე ამიერ სოფლით ჩუნდ წელსა აპრილის თთხნეტს, აღდგომის ორშაფათს დღესა. რომელმაც წაიკითხოთ წიგნი ესე. შენდობა ნიბძანეთ და ვინც ამისი შესასრულებელი ბოლო იპოვოთ, თქვენ იღვაწეთ“ (96v).

(755)

1499

## კრებული. XIX

26 ფ.: 22×18; უყდო; ბოლო ორი ფურცელი განცალკევებულია: ქალაღი; მხედრული; ქვირნიშანი 1820 წ. (ფფ. 7.9); [XIX]; დაუწერელია: 1r, 11v, 12r, 24v, 26v.

1. „ტრალედიო იფილენია. მათის მეფობის დიდებულების სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცევლად ეპოხასა მეფობისა მისისასა გამონბ წელსა, შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა 1795 წელსა, თთუშსა მარტსა, თქმული მდივანბეგის თავადის დავით ჩოლოყაშვილისგან ქალაქსა ტფილისს...—ალამემნონ: დიახ, მე, დიახ, მე, ალაპემნონ, მე, ხელმწიფე შენი, მე, დამკირნე შენის ღვიძილისა და მეგობრობისა...“ 1r—17r.

მთავრდება: „გაცნობებ, მკითხამ თუ არა...“

შენიშვნა: 1. ამავე ხელნაწერის ფ. 26 წარმოადგენს „იფილენიას“ I რედაქციის დაბოლოებას (შდრ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949, გვ. 169—210).

2. ტექსტი გამოცემულია (იხ. ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 290—333).

2. „იანვარსა იდ. ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინასი. გ. მ.—მათ ჟამთა, ოდეს იწამა ყოვლად ქებული და დიდებული მთავარმოწამე გიორგი კაბადუკიელი...“ 18r—24r.

მთავრდება: „... ხოლო ხე იგი იყო კვიპაროზი და ქვეშე მისსა მრავალი...“ 24r.

3. [იფილენია] (ფრაგმენტი): „... არვისა არ ეშინიან, აღამემონს ბევრი უნახავს...“ 25r.

წყდება: „... მოსცა ღმერთმან ზენამან ელვით ცვარი ზეგარდამო და ქარი გასახსნელად შეკრულისა უკიანისა დინარეობისა დაუბერა“

შენიშვნა: ფრაგმენტი წარმოადგენს „იფილენიას პირველი რედაქციის დაბოლოებას, შდრ. ამავე ხელნ. 1: შენ. 1.

4. [მოტლანდიის ლიტონი სალდათი] „ანუ სალდათი სიწრფოებისა.—გლასკოვსა შინა მხედარი სახელით [.....] მოვიდა დღესა კვირიაკესა ეკლესიასა შინა და მიიტანა თვის თანა სალოცველისა წიგნისა წილ დასტა სათამაშო ქალაღი...“ 25v—26r.

წყდება: და დღემდე არა ძალუძს ესევეთარისა აზრისა პოვნა თავითა თვისითა...“

შენიშვნა: 1. ეს მოთხრობა ნაწილია კრებულისა, რომელსაც ეწოდება „კიდობანი სწავლათა“ (იხ. S—1517:2). იგი რუსულიდან არის ნათარგმნი.

2. ხელნაწერი აღწერილია (იხ. E. Такашвили, Описание... рукописей, ტ. II, გვ. 448). ე. თაყაიზვილის აღწერილობასთან შედარებისას გაირკვა, რომ ამჟამად ხელნაწერს აკლია 4 ფ.

(756)

1500

## სევდაიანი. XIX

24 ფ.: 22×18; ქალაღი; უყდო: მხედრული. სათაურები და ზოგიერთი სტროფების დასაწყისები წითელი მელნით; კვირნიშნიანი ქალაღი; [XIX]; დაუწერელია 23v—24r.

„აქა კარი პირველი წიგნისა ანის, რომელსა ეწოდების სევდაიანი; ოდესმე თქუა ქურიგმან ვინმე ასულმან და გლახაქმან თუსა დილაღსა თებერვლის ოზ-სა, რომელი განუტევეს საქართუელოსა ამისგან საყუარელნი მისნი; დაშთა სავანესა მას წყუდიადებასა: თქუა რუდუნებით წიგნი ესე საბრალოდ სოფლის ამის საცთურიანის გმობად თუსთა.“

ესე წიგნი აღწერილ არს, ლექსებია სევდა-ართულად, სახელად სევდაიანი მას ეწოდების ქართულად.

საბრალოა სასაუბროდ, მკითხველს მისცემს გულსა წყლულად, ვინც იძიოთ ეს განძრახუა, ნუ გამკიცხამთ თქმელსა სრულად...“ 1r—23r.

შენიშვნა: პოემა შედგება 12 კარისაგან. ზოგიერთი მათგანი ანბანთქების ფორმითა დაწერილი.

მინაწერი: 24v

(757)

1501

## წამება წმიდისა მარინასი. XIX

6 ფ.; 34,5×22; ქალაღი, უყდო, დალაქავებული; ქვირნიშანი—А. Гончаров 1832; [XIX]; გადამწერი—ეფემია [ავალიშვილისა] (6r); დაუწერელია 6v.

„წამება წმიდისა მარინასა ივლისის ჩვიდმეტსა,  
[დასაწყისია პირული წმიდის მარინას ქებისა,  
თვით შვენიერი ბრწყინვალე, იყო უფლისა ნებასა.  
ქალწული წმინდა მლოცველი იყო ქრისტეს წამებისა,  
არ ინახვის უტურფესი მგზავსი მისის შვენებისა...“ 1r—6r.

შენიშვნა: 1. დასაწყისში პირველი სტრიქონი აკლია. აღდგენილია ხელნ. S—1511 მიხედვით, სადაც პოემის სრული ტექსტია მოცემული (186r—194r).

3. პოემის ცალკეული სტროფები ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერთან შედარებით შეცვლილია. ბოლოდან მეორე სტროფის უკანასკნელი სტრიქონიც შეცვლილია შიგ გადამწერს თავისი სახელი ჩაურთავს: „ეფემიას მეოხ მეყავ, რომელიცა აღწერ მეო“. ხელის მიხედვით, ესაა ეფემია ავალიშვილისა, რომლის გადამწერილია ხელნ. S—1498 (იხ. ამ ნომრის აღწერილობა, მინაწერი).

3. პოემის ავტორისათვის იხ. S—1511; 32, შენიშვნა.

(758)

1502.

## ქანანოვი გ. ზ., ადამიანის აგებულება. XIX

74 ფ.; 21×16; ქალაღი; ქალაღდადაკრული მუყაოს ყდა; ნაკლული (დაუშთავ-რებელი); მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 1r—2v, 61r—74v.

(ქანანოვი გ. ზ., ადამიანის აგებულება) — ქვეყნის პირზე არიან მამნაირი ბუნებითი ნივთნი: მინერალნი, მცენარენი და ცხოველნი...“ 3r—60 v.

მთავრდება: „... შეხება მეტათ გახსნილია თითების ძირებზე, ენაზე და ტუჩზე“ 60v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს თარგმანს: რუსული დედანი მითითებულია ზედა ყდის საცავ ფურცელზე: „Строение человеческого тела, руководство, доступное для городских и сельских школ. Составил Г. З. Кананов.“

2. ზოგიერთ ფურცლებზე ნავარაუდევო ყოფილა ტაბულების მოთავსება. ფურცლები დაუწერელია. ოღონდ თავზე ტაბულების ნომრებია აღნიშნული. სულ უნდა ყოფილიყო 16 ტაბულა (6r-v, 11r-v, 13r-v, 19r-v, 23r-v, 30r-v 32r-v, 38r-v, 43r-v, 49r-v, 52r-v, 56r-v, 59r-v).

(759)

1503

## სირინოზიანი, 1853

144 ფ. (288 გვ.); 33×21,5; ქალაღი; მუყაოს ყდა დაშლილი; მხედრული; 1853 (გვ. 283); გადამწერი—გიორგი ჯანდიერი (გვ. 283); დაუწერელია გვ. 284—292; პ. უმიკაშვილისგან მიღებული.

[სირინოზიანი]. „ქარი პირველი, მაშროყის გელმწიფისა არდაფისა და ძისა მისისა სირინოზისა ანბავი, შესაქცევლად სასმენი.—იყო გელმწიფე ქტყანასა მაშროყისასა, რომელსაცა ეწოდებოდა სახელად არდაფ. ესე იყო დიდი და მაღალი გელმწიფე... გვ. 1—283.“

ანდერძი: „სრულ იქნა მოთხრობა ესე იენისის კა-ს ჩუნგ-სა წელსა. თუ შუც-  
დომეები(!) რამ ჰბოვოთ. პატივ ეცით შრომასა ამას და მომიტყევთ. გიორგი  
ჯანდიეროვი“ (გვ. 283).

მინაწერი: 1. „№ 1. პ. უმიკაშვილის მიერ სოფ. ვახნაძიანი დამ  
ვლადიმერ ჯანდიერისაგან“ (გვ. 1. პ. უმიკაშვილის ხე-  
ლით).

2. „პეტრე უმიკაშვილის მიერ სოფელ ვახნაძიანი დამ ვლადიმერ  
ჯანდიერისაგან“ (ყდის საცავ ფურცელზე, პ. უმიკაშვილის ხელით).

3. „№ 1. Жандиери, 1868-го года 20 июня“ (ყდის საცავ ფურცელზე).

(760)

1504

კრებული. 1788

154 ფ; 32×20; ქალაღი; უყდო: ფფ. 1--2, 12--13, 105--108, 151--154 ამო-  
ცვენილია; მხედრული; სათაურები და აბზაცების დასაწყისები სინგურით; კვირნი-  
შანი 1784 (ფ. 7); გადაწერილი—იოსებ გიორგის-ძე ფირუაშვილი (125r, 152 r). გადა-  
წერის დრო—1788 (125r, 152r); ადგილი—ყიზლარი (125r, 152r). დაუწერელია  
145r; პ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი(!), ფრიად მარგე-  
ბელნი სრულ-სრულობით ორკერძოვე ძველისა და ახლისა წმინდათა წე-  
რილთაგან, რჩევით გამოკრებულნი კლემექისაგან(!), დიდის ბასილისა, გრიგო-  
ლი ღმრის მეტყველისა და იოვანე ოქროპირისა და მამისა ფერემისა, მაქსი-  
მესი და ცხოვრებისაგან მამათასა, და სხვათა წმინდათა ღვდელთმოდგართა,  
მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისა და გარე-  
შე წიგნთა: პლატონ, სოკრატე და მენიანდროს და სხვათა ფილოსოფოსთა.  
მიერ თქმულნი. ესრეთ ქ. თქმული პირველი კლემექისაგან(!) ყოველთა.—  
რომელთა ენებოს და ეძიებდენ, ღმერთსა ეპოების მათ, რამეთუ იგი არს  
ყოველთა ღმერთი...“ 2v—44r.

2. „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი დასიტყუანი ფჭი-  
ად სარგებლიანი და მკითხველთა ამის განმბრძნობი და განმპრწყინვალელებელი  
სულიერად და ჯორციელად. და სრულ სხეულთანი. აღესრულა ჟამსა ქართ-  
ლისა და კახეთისა მეფის ირაკლისათა. მარტის, ა, ქკს უნგ, მარტის ა,  
ქკს უნგ: ქრისტეს აქათ ჩლდდ, ხელითა ყორღანაშვილის გიორგის  
ძის დავით მუშრბისათა, დღესა სამშაფათსა. სიბრძნე არისტოტელის  
ა.—არისტოტელ თქვა, ვითარმედ: ყორანთასა მლიქნელნი უბოროტეს  
არიან, რომელ ყორანნი მკვდართა, ხოლო მლიქნელნი ცოცხალთა შესჭამენ...“  
44r—57r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ტ. რუხაძე, სწავლანი ფილოსოფოსთა-  
ნი, ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948, გვ. 298—305). ხელნაწერის ტექსტი გამო-  
ცემასთან ზოგ სხვაობას იჩენს.

3. (აპოთეგმატა). „ქ. მოკლედ სიტყვს-გება სოკრატისი,  
სწავლა პირველი, თარგმანილი და სხვათაცა ფილოსოფოსთა რუსულისაგან  
ქართულს ენაზედ ერთსატი თურქისტანიშვილისაგან, ბრძანებითა  
საქართველოს მეფის ვახტანგის ძის ბაქარისათა. ღმერთო, კეთილად  
და მშვიდობით ახმარენ პატრონსა თვსსა იოსებსა. აღიწერა ტფილისს,  
ჟამსა ქართლისა და კახეთის მეფის ირაკლისასა,—ღმერთო, მრავალჟამიერ.



ჰყავ და დაამტკიცე მეფობა მისი,—ველითა ყორღანაშვილის გიორგი მუშ-  
რბის ძის დავით მუშრბისათა თვესა მარტსა ა, ქკს უნგ, ქრისტეს აქათ  
ჩლდდ.—კეთილის კაცის წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკანვე სძრახვე-  
დეს...“ 58v—152r.

შენიშვნა: „აპოთეგმატა“ მეორე რედაქციისა, მასში შედის სამივე ნაწილი: 1. „სიტყვს-გება სოგრატიის“ (58v—124v, ბოლოში აკლია), 2. „ამბავნი ყოვლისა რომისა და ევროპის კეისრებისა“ (124v—139v), 3. „წიგნი მესამე, რომელთა შინა არიან ამბავნი ლაქედომონელთანი“ (139v—152v). შდრ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები, 1959, გვ. 38—41.

შენიშვნა: 1. ტექსტს ერთვის: ა) [ქრისტეს გასამართლება სინედრონში] „...ანტილომონ თქვა: დანაშავე თუ არაა...“ (153r—154r);

ბ) ოთხსტრიქონიანი ლექსი „სწავლა გავს წყალსა წმინდასა...“ (154r);

გ) ანბანთქება: „ამას გეტყვი, ბან გეტკბილოს...“ (154r);

დ) ზმა: „ამ სოფლის და იმ სოფლის ორისავ ხართ მონამკერი...“ (ეს ლექსი გამოცემულია. იხ. თ. ჭყონია, ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები, ლიტ. ძიებანი, VI, 1950, გვ. 271).

ე) ლექსი: „რადგან კაცია მოკვდავი, სწადს დარჩეს აქა რაზმო...“ (155v).

ანდერძი: 1. (დედნის გადამწერისა): „ქ. აღესრულა წიგნი ესე ტფილის საქართველოს მეფის მუშრბის გიორგის ძის დავით მუშრბისათა თვესა მარტის ა, ქკს უნგ, ქრისტეს აქათ ჩლდდ, რლ წელსა ქრისტესა ჩღაა ქართულს ქრონიკოსუმს. ამ წლის მარტის ლ ხუთშაფთს მეფე ქართლისა და კახეთის ცხებული თეიმურაზ წაბძანდა ტფილისიდამ რუსეთისაკენ დიდის იმპერატორის პეტრე ველნიჭიფის ასულის ელისაბედ სრულიად რუსეთისა, ციმბირისა, ყაზანისა და მრავლის სხვა სამეფოების კელნიჭიფის ელისაბედის თაყვანის საცემლად, რათა მწე ჰქმნოდა საქართველოს, და მუნ პეტრე ბუხს აღესრულა თვესა იანვარს მ ქკს უნ. ამა ჟამს მე, ყორღანაშვილი დავით, თან ვახლდი მუშრბით და პეტრე ბუხს ბაქარის წიგნიდამ გადმოვიღე ამისი დედანი და მოვიტანე საქართველოში; ვგონებ, მკითხველთათვის ფრიად მარგებელ იყოს... აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო და ფრდ მარგებელი სულისა და ხორცისა, პირველად აღწერილი ბაქარ საქართველოს მეფის ვახტანგის ძის ბრძანებითა მოსკოვსა წელსა ქრისტეს 1779, მარტის 23-ა“ (57r—58r.) ცნობები დედნის გადამწერის შესახებ იხ. აგრეთვე ზემოთ, № 2—3 სათაურებში.

2. (გადამწერისა): „(ამბავნი ყოვლისა რომისა და ევროპის კეისრებისა), აღწერილი მოქალაქე ქართველი ფირუასშვილი გიორგის შვილი იოსებისაგან, პირველად პეტრე ბუხს ბაქარის წიგნიდამ მხედრულად გადმოწერილი და ახლად მეც გადავწერე ყიზლარს წელსა ჩღმ, მარიამობისთვის ა, და აწ აღვწერე ეს წიგნი ჰაშტარხანს მოსახლე სომეხი აზნაურშვილი ოვანეს თუთუნას შვილის წიგნიდამ. ღმერთმა შეიწყალოს მისი დედ-მამის სული და სასუფეველი დაუმკვდროს. ამინ. ქ. აწ ამას გვევდრებით, შვილნო, მამანო და ძმანო, თქვენის იესოს ქრისტეს გულისათვის, ვისაც ესე წიგნი დაგრჩესთ, ჩემს საწყალობელს ცოდვილს სულს შენდობას ნუ დააკლებთ; ღმერთმა თქვენც ნუ დაგივიწყოსთ და მოგცესთ კეთილი ცხოვრება სააქაოს და სასუფეველი დაგიმიკიდროსთ მოწყალემან, ამინ“ (125r).

3. „განსრულდა წიგნი ესე მოქალაქე ქართველი გიორგის შვილი ოსეფას-საგან ყიზლარს მარიამობის კ, გასულ წელსა ჩღმც ყიზლარს, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს სვეტიცხოველი“ (152r).

4. „ქე ღრთით ეს წიგნი გიორგის შვილი ოსეფასია. ქალაქიდან მოსული ყიზლარს მოსახლე, ქკს უნგ“ (72v).

5. „ღმერთო, კეთილად და მშვიდობით ახმარენ პატრონსა თვისსა იოსებსა“ (58v).

მიწაწერი: „№ 2. პეტრე უმიკაშვილისი მიერ. შაქრო ხერხეულიძისაგან, რომელსაც ჰყავდა ყიზლარელი ქალი ნინო ლევან სიმონის ძის

კობახიძის ასული, მცირე რიცხვთა ყიზლარს-ქართველთაგან დარჩენილი ოჯახის ქალი იყო. ამ კობახიძის ქალს თან მოეტანა ეს წიგნიც ყიზლარიდან 1870 წელს ტფილისსა და მე, პეტრე უმიკაშვილს, გადმომცა“(2r).

(761)

1505

## შაჰნამე. XVIII

301 ფ.; 33×20; ქალაღი; ლედერინის ახალ ყდაში; ნაკლული (აკლია ბოლოში და შიგნითაც); რესტავირებული; პირველი სამი ფურცელი ძალიან დაზიანებული; მხედრული, სათურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; სხვადასხვა ჭვირ-ნიშნანი ქალაღი; [XVIII ს.]; გადამწერი—[კორნელი(?) ჩაჩიკაშვილი]; პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. [მამუკა თავაქალაშვილი, ზააქიანი.]

„... ნათქომი არის მამუკა...“

...განით საამის ანბავი ბარ...

[გებ]ვეწები გონიერთა, ვ[ინც არა ხართ თვისა მკვლელი,

ამას ყური მოუპყართ, ბრძენი იყოთ ანუ ხელი,

საქართველოს ეს ანბავი დარჩომოდა ძველის-ძველი,

თუმც იცოდეს ჩემგან უკეთ, რად არ მიყო ერთმან ხელი...“ 1r—3v.

წყდება: „... სალამი მისცა ხელმწიფეს, [ყელზედა] მოეხვეოდა, მათ ერთმანეთსა აკოცეს, [მჭვრეტელთა იამებოდა]...“

შენიშვნა: „ზააქიანის“ ტექსტი გამოცემულია. იხ. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, გამოცემა იუსტ. აბულაძისა, 1916. ტ. I. ხელნაწერი შეიცავს გამოცემის 1—30 (1r—2r) და 94—109 (3rv) სტროფებს (შდრ. ხსენებული გამოც. გვ. XVIII—XIX). ქართული ვერსიის ავტორისათვის იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართ. მწერლობის ისტორია, II<sup>3</sup>, გვ. 243—245. ხელნაწერის ნაკლული ადგილები აღდგენილია ი. აბულაძის გამოცემის მიხედვით.

2. [ბარდიმ ვაჩნაძე, საამიანი].

„... მოგებეთ და აამეთ, ყმაწვილია, არ აქვს თმენა.“—4r—56r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. იუსტ. აბულაძე, ხს. გამოც.). ხელნაწერში მოიპოვება გამოცემის სტროფები 138 (ბოლო სტრიქონიდან)—1081. ავტორისათვის იხ. კ. კეკელიძე, ხს. თხზ., გვ. 238—242.

3. [როსტომიანი] „აქა კარი პირველი როსტომისა. ესე არს დასაწყისი მანუჩარ გელმწიფისა და საამ ფალავნისა. ღმერთო, წარმართე საქმე ველთა ჩვენთანი და მოგვეც გონება ვრცელი და განძლიერება, ხოლო ველი მწერელისა მიწასა შიგან ლებების და ნაწერი მისი რჩების.“

ჰე შემოქმედო, ნუ წამწყემენდ, დამკსენ საწმილთა აღია,

თავი ეს არის როსტომთა, ბოლომდის ლექს მართალია...“ 56r—301v.

წყდება: „... ამ სოფელს კარგსა ვერას იქ, მკედარი ხარ, შერცხვენილია, პირი ჯამასპის მიაპყრა, მისგან გულ-დადაგულია...“

შენიშვნა: 1. ტექსტი „როსტომიანისა“ გამოქვეყნებულია „შაჰნამეს ქართული ვერსიების“ I და II ტომში. 56r—159v გამოქვეყნებულია I ტომში (სტროფები 1082—2941), დანარჩენი კი (159v—301v)—II ტომში (აბულ-ყასიმ ფორდოუსი, შაჰნამე,

ქართული ვერსიები, ტ. II, 1934; სტროფები 2942—5647). როსტომიანის ქართული ვერსიების ავტორების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ხს. თხზ. გვ. 225—237.

2. ხელნაწერი აღწერილია (იხ. E. Такашвили, Описание рукописей... I, გვ. 364—370).

3. იუსტ აბულაძის ხელნაწერის გადამწერად ნიანია კორნელი ჩაჩიკაშვილი (ხს. განოც. გვ. VIII—IX). ამავე დროს იგი აღნიშნავს (იქვე), რომ ეს ხელნაწერი შესრულებულია იმავე ხელით, რომლითაც ხელნ. A:—858, ეს უკანასკნელი კი გადაუწერია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს (შდრ. Джагашвили, Описание... გვ. 84). ხელნაწერის ხელი უფრო წააგავს კორნელისას (შდრ. ხელნ. H—181), ვიდრე ნიკოლოზისას.

4. ექთაყაიშვილის აღწერილობასთან შედარებისას ირკვევა, რომ ხელნაწერს ამაჟამად კიდევ აკლია ბოლოში 4 ფურცელი. ორი პატარა ფრაგმენტი ხელნაწერის ბოლოშია აკინძული (ფ. 302).

მინაწერი: 1. „მე, სომხითის მეღიქის შვილმა ნინიამ ეს როსტომიანი თხზ დღეს გარდვიკითხე და კიდევაც დავისწავლე. როგორც მე ამან მამო, ღმერთმა ამისი პირველათ მიქმელს ამოს თავის სარწმუნოებაზე. გიორგობისთვის იზ, ქკს უპო“ (112v).

2. „№ 3. როსტომიანი № 1505 შაქროხერხეულიძისაგან მისის მეუღლეს კობახიძის ქალს ყიზლარელს თან მოეტანა ტფილისს“ 24r (პ. უმიკაშვილის ხელით.)

(762)

1506

### კრებული. XVIII

189 ფ.; 22×17; ქალაღი, უყდო, თავ-ბოლო ნაკლული; ფფ. 1—4 მოვარდნილია. ფ. 184 შუაში ამოღლუჯილია. მხედრული, სათაურები სინგურით; კვირნიშნიანი ქალაღი; [XVIII]; გადამწერი—იოსებ კლიმიაშვილი (189r); პ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. [სწავლანი, გამოკრებული სიბრძნისაგან და იგავთა სოლომონისთა, ისო ზირაქისა, სამოციქულოსა და კათოლიკისაგან, რომელიცა ახარებს გულსა და განუსვენებს სულსა კაცისასა. იგავნი სოლომონისნი და სწავლა საყოველთაო, გამოკრებული მეფისა ვახტანგისაგან.] „გარდამავალთა, ხოლო მოძულეებული უფლისაგან შთავარდეს მას შინა. ნუ დასდებს საზღვართა საუკუნეთა, რომელი შეისმინეს მამათა შენთა...“ 1r—149r.

შენიშვნა: ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის“ (149v—151r). სათაური აღდგენილია ხელნ. H—370-ის მიხედვით.

2. „წამება წმიდათა წინაწარმეტყველთანი: იესო ქრისტე ძე ღმრთისა, ღმერთი ჭეშმარიტი, ვითარცა განვოციელდა, იშვა და ჯვარს ეცვა, აღდგა, კუალად მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკვდართა. გამოღებული საღმრთო წერილისაგან სულხან-საბა ორბელიანის მიერ. თავი 1. ესაია 29, 13. შევეარებული უფლისა. იაკობისნი ძენი და რჩეული ღმრთისა ერი და ნათესავი მათი ვითარ განუდგეს ღმერთსა...“ 152r—166v.

3. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. საქრისტინო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათჳს, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი.—სარწმუნოებისა მართლისა და უბიწოსა შეჯულისა, რომელი მოგვეცა წმიდათა მამათა მიერ, მოძღვარმან ჰკითხა ყრმისა ვისმე; ვითარმედ: შენ ვინ ხარ?...“ 167r—189v.

წყდებოდა: „მოდღუარბან: უკუეთუ სნეული ცნობილ იყოს და ზიარებო სურდეს, არამედ სნეულებითა ანთხევდეს და...“ 189v.

ანდერძი: „გინც აქიდამ გარდაწეროს და საბაას სახელი არ დაწეროს, ღმერთ-მან მისი სახელი აღმოვოცოს სასუფევლისაგან“ (166v.).

მინაწერი: 1 (ტექსტის ხელით, სინგურით): „ეჲ წიგნი იოსებ კლიმიაშვილი-ლისა არის, ქართლელი რუსიელი“ (189r)

2. „ეს ხელნაწერი წიგნი საბა ორბელიანის შედგენილია სამის ნაწილისა-გან, რომელიც მოვიხსენე „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნის წინასიტყვაობაში, 1871 წელს ჩემგან გამოცემულში. ეს წიგნი უნდა კარგათ გამოკვლეული იქმნას, სულხან-საბა ორბელიანის ხელითნაწერი ხომ არ არის ნაწერი, 1887 წ., პეტრე უმიკაშვილი“ (5r).

3. (ეს მინაწერიც პ. უმიკაშვილის ხელითაა შესრულებული): „№ 4. შაქრო ხერხეულიძისაგან, მისი მეუღლის ნინო კობახიძისა ყიზლარიდამ მოტანილი ტფილისს 1870 წელსა“ (5r).

4. „ეს სამოთხის კარი არის რომის კათოლიკეთა კატეხიზმო, რომელსაც უწოდებენ საქრისტიანო მოძღვრებას (ხალხში „ვინ დაგბადას“). იქნება რომ ეს იყოს ნათარგმნი ანუ გადმოკეთებული იტალიანურ ან სომხურ კათოლიკეთ კატეხიზმოსი. 1887. პ. უმიკაშვილი“ (167r).

5. „წაშლილია და შემდეგ დაწერილი; კათოლიკეთა ახსნის შესწორებაა წინააღ-მდეგ ზირველ ნაწერისა. პეტრე უმიკაშვილი“ (169v).

6. „ეს ფურცელი და ეს პირი ფრიად საკირთა ვიცოდეთ, რომელ განმარტებაჲ, თ, და იტაქისა მრწამსისა (სიმეფლო სარწმუნოებისა); რადგანაც განმარტება ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც რომის კათოლიკე ეკლესია განმარტებს, ამიტომ ამოუხევიათ. ტფილისი. 1875 წ., პეტრე უმიკაშვილი“ (184r).

(763)

1507

## დასტურლამალი. 1821

98 ფ. (II ფ+192 გვ.); 21×16; ქალაღი: ტყავადაკრული მუყაოს ყდა ფერადი ყდის საცავით (ყდა მოვარდნილია და გახეული); გვ. გვ. 173—184 ამოცვენილია; მხედრული, სათაურები სინგურით; ჳვირნიშანი 1819 (ფ. II) და 1821 წ. (გვ. 189); გადაწერის ადგილი—ტფილისი (გვ. 169); დაუწერელია 147, 176, 190—192. პ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

(დასტურლამალი მეფის ვახტანგისა).—„ეჲა შენ, ყოველთა მბადო, დიდება შენდა, რომელმან ყოველნი არაარსნი არსებად მოიყვანენ...“ გვ. 1—175.

შენიშვნა: 1. დასტურლამალი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) დასტურლამალი სამეფო (გვ. 1—146) და ბ) დასტურლამალი სადედოფლო (გვ. 148—175). ბოლოში (გვ. 177—188) დართულია ორივეს საძიებლები.

2. ხელნაწერი წარმოადგენს დედანს პ. უმიკაშვილის გამოცემისა (დასტურლამალი მეფის ვახტანგ VI-ისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886), რასაც მოწმობს თვით პ. უმიკაშვილის მინაწერი (გვ. 189), ცენზორის ხელმოწერა (ფ. II, გვ. 189), რიგი სასტამბო შენიშვნებისა ტექსტში (გვ. 146, 148, 173, 174, 175), და ფ. II-ზე დაკრული საღერბო მარკა.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание... II, გვ. 697—698.

ანდერძი: 1. „დასრულდა მისის უმაღლესობის სრულიად ზემოდასა საქართველოს მკვრობელის მეფის ვახტანგ ბაგრატიონის დასტურლამალი, რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოდ. დიდება ღმერთსა, მომცემსა ყოვლისა კეთილისა“ (გვ. 146).

2. „ადიწერა ქალაქსა შინა ტფილისს, წელსა განხორციელებიდაგან სიტყვსა ლტისა 1821-სა, ხოლო ქართულსა ქორთნიკონსა ფთ-სა, მარტსა თჳშსა 10-სა“ (გვ. 189).

მინაწერი: 1. „ეს წიგნი განსვენებულის პლატონ ეგნატენ-ძე იოსელიანისა არის. ამ წიგნიდამ (დედნიდამ) დაიბეჭდა პირველად დასტურლამალი 1886 წელსა ჩემის რედაქტორობით. პეტრე უმიკაშვილი, ტფილისი, 1886 წელსა 6 ივლისს.“ (189).

2. „გადავეცი წერა-კითხვის საზოგადოებას ქართველთა შორის. პეტრე უმიკაშვილი“ (გვ. 189):

3. გამოცემასთან[დაკავშირებული ტექსტოლოგიური ხასიათის მინაწერები პ. უმიკაშვილი ის ხელით: გვ. 7, 21, 104, 111, 161.

4. „ესე დასტურლამალი ვიყიდე ალექსიძის იოველისაგან მე, მეფის ძემ ბაგრატიან, 1821, თვესა ივლისის ზ. ს[ანქტ] პეტერ—ბ[ურგს]“ (გვ. 189).

5. „Дозволено Цензурою 29 марта 1886 года. Тип. Цензор“ (გვარი გაურკვეველია), ფ. II, გვ. 189.

(764)

1508

## კრებული. 1787

(332 გვ.); 33×20; ქალაღი, ტყავადაკრული მუყაოს ყდა; დაშლილი; მხედრული, სათაურები სინგურით; სხვადასხვაგვარი ქალაღი, ჰვირნიშნიანი, ერთ-ერთი სახის ქალაღზე ჰვირნიშანი 1786 (გვ. 281); ხელნაწერში ჩართულია ნაბეჭდი წიგნიდან ამოღებული ილუსტრაცია (გვ. 6); 1787 (7, 65, 121 გვ.); გადამწერი გიორგი ავალიშვილი (65, 121 და სხვ.); გადაწერის ადგილი—მოსკოვი (65). დაუწერელია: გვ. 205, 208—210, 268; პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. „ქარი პირველი. ამა ამბისა დასაწყისი მიჯნურთ ამბავი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის თეიმურაზისაგან იოსები-სა და ზილიხანისა და ლექსადვე მისგან თქმული...

არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთუფლებულად,

ბუნებით განუყოფელად, ღმთაებით შეერთებულად...“ გვ. 7—65.

2. „ქარი პირველი ლეილ-მაჯუნისა, ამბავი სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები ღვთივ გვირგვინოსანისა ველმწიფის მეფის თეიმურაზისაგან...

— ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემლობით, არსისა არა არსისა სიტყვით დამბადელ მქმნელობით...“ გვ. 67—121.

3. „... ვარდ-ბულბულისა გაბრჭობა, ნათქვამი... მეფის თეიმურაზისა...

— ჰე, არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი,

ცა, ქვეყანა, ზღვა და ველი, დარი მზისა მონათფერი... გვ. 123—142.

4. „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, ... თქმული... მეფის თეიმურაზისაგან.

ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალად კრებულნი.

ქვე კაცნი, სამოსელისგან სამოთხით გამოძებულნი...“ გვ. 143—164.

5. [შამი-ფარვანიანი], „შელაპარაკება და ბაასი მათ-მათი შესაფერი, მიჯნურობა და ფარვანასაგან თავის დაწვის გაწირვა. ლექსად ნათქვამი... მეფის თეიმურაზისაგან.

— ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იღუმალთ დაუფარო,

ვის სერაბინნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთა-მოუფარო...“ გვ. 165—178.

6. „[მაჯამა]. ქება და გალობა კელწიფისა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა, ნათქვამი... მეფის თეიმურაზისაგან.

— რადგან არ ვცხრები ქებასა, ვგონივარ ამით მისანი, აწ ჩემთა გულთა ლახვარი სათნო მაქვს სათათ(!)მისანი...“ გვ. 179—185.

7. [მაჯამა] „... ნათქვამი... თეიმურაზისა.

— კვლაც მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიუმან შემაშინაო, ყოველნი განვლით სოფელსა, არვინ დარჩება შინაო...“ გვ. 187—196.

8. „აქა ხელმწიფეს მეფეს თეიმურაზს გრემის სასახლეზედ ლექსები ეთქვა...

— ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განვადიდოთო, სამნი ნათელნი ერთად ვთქვათ, მამა, ძე, სული წმიდითო...“ გვ. 196—197.

9. „ანბანთ ქება, თქმული მისვე მეფის პატრონის თეიმურაზისაგან.

— აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო, აერსა ზედან საყდართა, დიდებით დამკვიდრებულო...“ გვ. 197—204.

10. „ქება და დიდება წმიდისა და ერთარსისა სამებისა, თქმული მეფის თეიმურაზისაგან.“ გვ. 204.

შენიშვნა: თვით ტექსტი მოყვანილი არაა, გადამწერს ცარიელი ადგილი დაუტოვებია (გვ. 204-დან 211-მდე), ოღონდ, გვ. 204-ზე სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურითაა დაწერილი (სულ 3 სიტყვა).

11. „ეს ერთი ლექსი ოდეს მეფე თეიმურაზ დავით გარეჯას მიბძანებულა, მეფის თამარის სახე უნახავს, მის მუნასიბად უთქვამს.

— მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა საჯესა ჰმონებენ, შეურაცხ-ჰყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ...“ გვ. 211.

12. [თეიმურაზ I]. აწამება წმიდისა ქეთეონ დედოფლისა, შაბაზ ყეენისაგან.

ღმერთო ცისა და ქვეყნისა საბრუნავითა მაქცეო,

ზე აღმართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო...“ გვ. 211—230.

შენიშვნა: ამ კრებულში მოთავსებული თეიმურაზ I-ის თხზულებანი გამოცემულია (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934).

13. „თხოვბანი სულთა და ჯორცთანი ურთიერთას თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ.

პირველად ღმერთი ვადიდოთ დასაწყის დასაბამისა, ანუ რას იტყვის პავლე და გრიგოლი დასაბამისა...“ გვ. 231—248.

14. „თავი და საწყისი უსჯულო მაჰმედის და ქრისტიანეთ გაბაასებისა ლექსად ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფისა შაჰნაოზისათა...

— სოლომონ თქვა: სიბრძნის პირველ, დასაბამად შენში ღვთისა, სამგვამონის ღვთაებისა, შემოქმედის მის ერთისა...“ გვ. 249—308.

15. „ქიდევე ეს ორი ლექსი იაკობ შემოქმედელის ნათქვამია, წაღმა-უკულმა წასაკითხავად მოყვანილიო.

— მგნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარ ლესულ ძლიერისა, ვმელ სამყაროს, ეთერ ბურჯის, ბრძენთ სფაადის შარვანდისა...“ გვ. 308.

16. „ეს ერთი ლექსი სვიმონ კოპაძის თქმულია, წალმა-უკულმა წასაკითხავად მოყვანილია ესეც.

— წმინდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, სრა აღმიწ(!), სრა აღმიწ(!), სრა-აღმიწ...“ გვ. 308.

17. „ეს ერთ ლექსად მოყვანილი ანბანთქება სულხან-საბა ორბელიანის ნათქვამი არის:

— აღმას ბასრი გალესული დაჰკვეთს ენათ ვაიმით ზმნათა...“ გვ. 309.

18. „ეს მეფის არჩილის ნათქვამია მისვე პასუხად.

— აღეძრა ბაგე, გული დავდვა, ეს ვის ზე შე თამაზობდეს...“ გვ. 309

19. „ეს ანბანთქებანი არიან თქმულნი მეფის არჩილის მიერ.

— ასულ ასულთა მჭვრეტნი დასულა, ესე ვინაა ჩემი დასულა...“ გვ. 309—311.

20. „ეს ანბანთქება უცხოოდ და ახალშემოდებულნი და არ აღვილად სათარგმანებელნი ბატონისშვილის ვახტანგის მიერ.

— ასრე არის აგებული, ამგებელსა აქაქებდეს...“ გვ. 311—319.

21. [იოსებ] „ტბილელის ნათქვამი.

— სიბრძნემ თავისა თავისისა სახლი იშენა გებული...“ გვ. 319.

